

# კლასიკური ანალიზური ფორმისათვის

მატერიალი: ელ. ანალიზური

ქენრი უორდსვორც  
ლონგფელსი

## ჰანიკატას სიმღერა

ინგლისურიდან თარგმნილი  
გივი გაჩეჩილაძის და  
მიქელ ჰაყარიძის მიერ

საქ. ალკა ცენტრალური კომიტეტი  
საბავშვო და ახალგაზრდობის  
ლიტერატურის განყოფილება  
თბილისი 1938



## ჰანიავასტას სიძღვარს

უხსოვარ დროიდან ამერიკაში ცხოვრობდა ძველი ქვეყნის ხალხებისაგან განსხვავებული ერი. ქრისტეფორე კოლუმბი ისე გარდაიცვალა, რომ არც გაუგია, თუ მის მიერ აღმოჩენილი ქვეყანა ინდოეთი კი არ იყო, არამედ ამერიკა, და იქ მოსახლე ტომები არ იყვნენ ინდოელები, როგორც მათ შეცდომით უწოდებენ დღესაც.

თეთრკანიანებს ახალ ქვეყანაში დახვდნენ მრისხანე მფლობელები, რომლებიც, ომისთვის ან სხვა შემთხვევისათვის გამზადებულნი, კანს წითლად იღებოდნენ. თეთრკანიანებმა მათ წითელკანიანები უწოდეს და დაიწყეს გააფთრებული ბრძოლა ამერიკის მკვიდრთა შესავიწროებლად. წითელკანიანებმა ადვილად არ დასთმეს არც მიწა-წყალი და არც მათებრი კულტურა და ტომთაგაყვებით (ნაჯახებით) და შვილდ-ისრით ხელში ვაჟკაცურად უხვდებოდნენ თეთრ დამპყრობელებს.

წყნარ ოკეანედან ატლანტიკაზე გაშლილი იყო ამერიკის ველური ქვეყანა. იქ, სადაც დღეს გიგანტური ქალაქები—ნიუ-იორკი, ჩიკაგო და სან-ფრანცისკოა.—გაუვალა ტყეები იყო, და მათ ნაპირებზე თავგამეტებულ მონადირეთა, ოქროსმადიებელთა და ტყისმჭერელთა საცოდავი ქოხები იდგა.

ინდოელები განიყოფებოდნენ მრავალ ტომად და გაფანტული იყვნენ ამერიკის მთელ ტერიტორიაზე. სულ ჩრდილოეთით სახლობდნენ ესკიმოსები, რომლებიც არ ეკუთვნოდნენ ინდოელების მოდგმას. მათ სამხრეთით, კანადაში, ცხოვრობდნენ ინდოელთა ჯგუფები ატაპასკები და ალგონკინები, განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომნი.

შეერთებული შტატების ტერიტორიაზე დღეს უმთავრესად ამოწვეტილნი ან დასაველთისაკენ მისრესილნი ატლანტიკის ნაპირის ინდოელები ბინადრობდნენ, ისინი, რომელთა ნაშთები იროკენებისა და დელაუარების სახით დღესაც არსებობენ. დროქვეყნების ტომი უმძლავრესად ითვლებოდა სხვა ტომთა შორის და ცხოვრობდა სწორედ იქ, სადაც ახლა ნიუ-იორკის შტატია. ამ ტომიდან გა-

მოვიდა ჰაიავატა, რომელიც (აქვე უნდა ითქვას) ისტორიულად არსებული ცნობილი პიროვნებაა. ამერიკის ჩრდილო-დასავლეთში, ორეგონსა და კალიფორნიაში, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაშიაც ცხოვრობდნენ ინდოელთა სხვადასხვა ტომები, მაგრამ ლონგფელლოს პოემის ასპარეზი ზემოდაწითელი ტომების მიწა-წყალზეა გაშლილი და ამიტომ მათ ნულარ შევებებით.

ოდესღაც ძლიერი ჩრდილო-ამერიკელი ინდოელები-საგან ღლეს 250.000 — 300.000 კაცი-ღა არის დარჩენილი. ისინი გაწყდნენ ომებში ევროპიელ კოლონისტებთან და ბრძოლებში ერთმანეთს შორის, შეტევით ბურჟუაზიული „ცივილიზაციისა“, რომელმაც მათ საწამლაი—არაყი და გადამდები ავადმყოფობანი მოუტანა. ერთ დროს კი ისინი ძვილად ასაღებ ძალას წარმოადგენდნენ და მხოლოდ ევროპელთა ცბიერებას შეეძლო მათი ძმევა. ერთ დროს მათ არაფერი იცოდნენ ევროპის შესახებ და დამშვიდებით ფლობდნენ თავის მიწას, არ იცნობდნენ ევროპის ცივილიზაციას, მაგრამ ჰქონდათ საკუთარი კულტურა, საზოგადოებრივი წყობილება, ჩვეულებანი და კანონები. მაგრამ ისინი ის აღარ არიან, რაც ოდესღაც უყოფლან. ისინი მხოლოდ აჩრდილი-ღა არიან მრისხანე წინაპრებისა, რომელთა საბრძოლო ძახილი ზარსა სცემდა მტრების ხეობებს, და გაბედულ ევროპიელ კოლონისტებს ცახცახს უტებდა. მათი თავისუფალი სული, ჩვეულებათა და საზოგადოებრივი წყობის უშუალობა და ტყეებისა და პრერიების სუფთა ჰაერის კვალი უფრო ხალხურ გადმოცემებსა და ლეგენდებში ამოიკითხება, ვიდრე მათ დამწვარ სახეებზე. მხოლოდ ეს გადმოცემები და სიმღერები ინახავენ ინდოელთა ტომების გმირებს-სახელებს, მათ ცხოვრებასა და საქმეებს, თვითონ ტომების ცხოვრებასა და ბუნებრივ გარემოცვას. ეს ლეგენდები თაობიდან თაობაში გადადიოდნენ, საუკუნეები ცვლიდნენ მათ სახეს, ავსებდნენ ახალი მოვლენებით და პიროვნებებით. მათ მღეროდნენ ლაშქრობისას და თოვლით დაფარულ ვიგე-მებში, ცე-ხლის პირას ზამთრის საღამოთი, იქ პოულობდნენ ცხოვრების სიბრძნეს, დასვენებას და გართობას.

ამერიკელმა პოეტმა ჰენრი უოდსვორტ ლონგფელომ (Henry Wodsworth Longfellow, 1807-1882) ამოარჩია საუკეთესო ინდიურ გადმოცემათა და სიმღერებს შორის, მისცა მათ საერთო და თანაბარი ფორმა, შექპრა ერთად და შექპნა „ჰაიავატას სიმღერა“ („The Song of Hiawatha“), ამერაკული ლიტერატურის ერთერთი უცნობილესი ნაწარმოები. რადგან ლონგფელომ მოახერხა ინდიური მასალის მთელი სიმდიდრე, პირველყოფილი პრეზიის უშუალობა და უბრალოება გადმოეცა მასში, მისი ეს

ნაწარმოები დღესაც საინტერესოდ და სრულყოფილად ითვლება.

წითელკანიან ინდოელები ამერიკის ხალხთა შორის რჩეულად ითვლებიან. განვითარების გარკვეულ საფეხურზე მდგომი ლიტერატურული ესთეტიკა, გააზრებული ცეკვები (სამხედრო, დიპლომატიური, მონადირული, მითოლოგიური, მოსაელის, მშობიარობის, ქორწინების, სამკურნალო და გასართობი), ქორალური და ინდივიდუალური მუსიკა, ორატორული ხელოვნება, სიმღერები, ლეგენდები და არაკები—ყოველივე ეს რესპუბლიკის ტიპზე აგებულ ინდოელთა ცხოვრების განუყოფელ ნაწილს შეადგენს. ლიტერატურული შემოქმედებისათვის, ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით, ინდოელებს აქვთ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი პირობა: სიყვარული ყვაილოვან გამოთქმებისადმი, უბრალო იდეათა მოკაზმვის მოთხოვნილება. თუ ინდოელთა ყოველ ცალკე ტომს საკუთარი ენა აქვს, სამაგიეროდ არსებობს ნიშნების საერთაშორისო ენაც, მეფი მიმიკური ლექსიკონი. ინდოელთა ენა, ისევე, როგორც ყველა პირველყოფილი ენა, მეტად ლარიბია საერთო და განყენებულ იდეათა გამოთქმებით და მეტად მდიდარი ცხოველი შედარებებით. ინდოელები ეუფლებიან სახეობრივ, სიმბოლურ მეტყველებას და უყვარბუ მეტაფორები. მათი სახელები, მამაკაცისა თუ ქალისა, ბუნებიდან ნასესხები შედარებებია. აი, რამდენიმე მგალითი:

**მამაკაცის სახელები:**

ოთხი დათვი.  
მატყუარა მგელი.  
თეთრი კამეჩი.  
წითელი დათვი.  
ირმის თაფი.  
ცხენის ჩონჩორიკი.  
მოძრავი პატივი.  
სისხლიანი ხელები.

**ქალის სახელები:**

ვარდის კოკორი.  
დახრილი ყვავილი.  
ატარებელი სვეტი.  
სურნელნაცხები ბალახი.  
მთის ბროლი.  
თეთრი ღრუბელი.  
მცურავი ირემი.  
ჩრდილოეთის ვარსკლავი.  
წმინდა შადრევანი.

სულ მარტივ იდეებსაც კი ინდოელები რიტორიკული, სახეობრივი ენით გამოხატავენ. მათი ლაპარაკი ხშირად ასეთია:

„შავი ღრუბელი ამოდის პორიზონტზე“ (ე. ი. გვემუქრება ომი), „ბილიკი უკვე დაქერილია“ (ომი დაიწყო), „ჩაეფლათ მიწაში ნაჯახი“ (ზავი დაედოთ), „თქვენ ლაპარაკობდით ბავებით, და არა გულით“ (თქვენ გინდოდათ ჩემი მოტყუება), „თქვენ დამიხურეთ ყურები“ (თქვენ შემატყობინეთ საიდუმლო), „ნუ უსმენთ ჩიტების მღერას“ (ნუ გჯერათ არაკებისა, რომელსაც მოგიხორბ-

ბენ), „დავანთოთ თათბირის ცეცხლი“ (შევიკრიბოთ სათათბიროდ), „ომის ბილიკზე არ ამოვუშვათ ბალახი“ (ე. ი. მთელი ცეცხლით ვიომოთ).

ენის ასეთი ფორმის გამო, რაც არსებითად ხელს უწყობს ლიტერატურულ შემოქმედებას, ინდოელთა პატარ-პატარა ნაწარმოებები დიდ ინტერესს შეიცავენ. იმავე ფორმის ინარჩუნებს ორატორული ხელოვნებაც, რომელიც ძლიერ არის მათში განვითარებული: მეტაფორულ ბრუნვებს, რაც მეტად აცოცხლებს მეტყველებას, ფიგურალურ ენას, რაც ყველაზე ჩამორჩენილ ინდოელებსაც კი ახასიათებს. ამ მხრივ პირდაპირ კლასიკურია ინდოელების ერთერთი ბელადის „სიტინგ ბულის“ („Sitting Bull“—„მჯდომარე ხარია“) მიერ წარმოთქმული (მაშინვე ჩაწერილი) სიტყვა მეცხრამეტე საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც იგი ამერიკული ჯარისკაცებისაგან დევნილი დანებდა ინგლისელებს.

ლიტერატურა ორგვარი აქვთ ინდოელებს: სამღერო, ე. ი. პოეზია, და სალაპარაკო, ე. ი. პროზა. აქვე უნდა ითქვას, რომ პირველი მოკლებულია ჩვეულებრივ რითმას და მეტრს, და ორივე კი სრულდება უმთავრესად მრავალრიცხოვანი შეკრებილობის წინ. სიმღერები სხვადასხვა გვარისანი არიან: რელიგიური, სამედირო, სიმღერები მიცვალებულთა მოსახსენებლად, სანტიმენტალური და სხვ. გარდა ამისა, ინდოელებს აქვთ ლეგენდები და გადმოცემები, ზოგჯერ პოეტური ფორმით შემოსილი, ზოგჯერ უბრალოდ მოსათხრობი კოცონების შუქზე. ზოგიერთ მათგანს კოსმოგონიური ხასიათი აქვს, ზოგი მსოფლიო წარღვნაზე მოგვითხრობს, ზოგიც წინაპართა ბრძოლებზე დევებთან და ურჩხულებთან, ერთერთი გადმოცემა მოგვითხრობს ჰაიავატას ამბავს, რომელიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ევროპიელთა შემოსვლამდე ამერიკაში. იგი ეკუთვნოდა იროკეზების დიდი ტომის შემადგენელ ერთერთ ტომს—ონონდაგას და ცხოვრობდა მეთხუთმეტე საუკუნეში. მისი ტომის სათავეში იდგა ძლიერი ბელადი, სახელად ატოტარო, ცნობილი თავისი მბრძანებლობით, სისასტიკითა და ცბიერებით. ჰაიავატას მოუხდა მის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობა. ამის გამო დევნილმა ჰაიავატამ თავი შეაფარა მეზობელ ტომებს და იქ შეჰქმნა მძლავრი „კავშირი ხუთი ტომისა“. ამ კავშირმა ხელები შეუქრა მეომარ ტომებს და მშვიდობიანი არსებობისათვის გზა გაუხსნა. მას განაგებდა ამორჩეული საბჭო, რომელიც ყველა ინდოელ ხალხს დესპანებს უგზავნიდა და სთხოვდა მშვიდობიანობის განმტკიცებისათვის კავშირში მონაწილეობის მიღებას. ჰაიავატას ამბავი ამის მეტი არ ვიცით. ვიცით მხოლოდ, რომ კავშირმა შეწყვიტა არსებობა მის შემქმნელ ტომებთან ერთად ევროპიელთა

შემოსვლის შემდეგ, ჰაიაეტა კი გადაიქცა ინდიურ ლეგენდებისა და გადმოცემების გმირად. მის შესახებ არსებული თქმულებები და ამბები შეკრებილია „ჰაიაეტას სიმღერაში“ და იქ განსწავლია მთელი კვეყანა, შორეული და პირველყოფილი.

ლონგველი ისტორიულ სინამდვილეს დაშორდა. ფანტასტიკურ მასალაში დამალულია ოდნავი ნიშნები ისტორიულ მოვლენებზე. თვითონ ჰაიაეტა ნახევარღმერთია, ზებუნებრივი და იღუმალი წარმოშობისა, ჯადოქრობისა და დიადი სულის მქონი, ინდიური რელიგიის ღმერთებისა და ნახევარღმერთების შთამომავალი. ლონგველს ჰაიაეტა მთელი ინდოელი ხალხის ისტორიად გადაქცია, არა მარტო მათ მცველად, არამედ მასწავლებლად და წინასწარმეტყველად, სიმართლისათვის მებრძოლად. ჰაიაეტა ასწავლის თავის მოძმეთ ხელოვნებას და ხელობას, ებრძვის უსამართლობას, ბოროტებასა და ძალადობას. პოემის პირველი თავები მოგვითხრობენ ადამიანის ბრძოლას ბუნებასთან, არსებობისათვის ბრძოლას, კაცობრიობის ისტორიულ განვითარებას. ჰაიაეტა, ანუ ადამიანი აჩუქებს ქვეყნიერებას პურს და მოკავშირე შაისის (სიმინდის) საშუალებით იგი კულტურის გზაზე გამოჰყავს. ადამიანი ეუფლება წარმოების საშუალებებს: ჰაიაეტა იგონებს ხელობას, პრიმიტიულ ტექნიკას. ადამიანი აშინაურებს ცხოველებს; ჰაიაეტა იმეგობრებს გარეულ მხეცებს. ჰაიაეტა ცოლს ირთავს: ჩვენს წინ იხატება სურათი სხვადასხვა ტომების ნათესაობრივი გაერთიანებისა საერთო შრომისა და ბრძოლისათვის. ჰაიაეტა იქერს ფრინველებს: ადამიანი ნადირობს. ჰაიაეტა იგონებს დამწერლობას: ადამიანი კულტურის ახალ სიმაღლეს ეუფლება, ჰაიაეტა მეჯისოგონს ჰკლავს, მკურნალი ხდება; ადამიანი ებრძვის დამპყვერებებს, ადამიანი უღმობელად ებრძვის ბუნების ბნელ ძალებს. პო-პოკ-კივისის დევნა მაჩვენებელია იმისა, თუ როგორი იყო პირველყოფილ საზოგადოებაში სამართლის ჩანასახი, რომელიც სდევნიდა ტომის ინტერესების დამრღვევს.

გარდა ამისა, პოემა გეაცნობს კაცობრიობის პრიმიტიულ რელიგიას, რწმენას სულკებისა და მოჩვენებებისას, ჩვენს თვალწინ ხდება ტომების თათბირები და ბჭობანი, დღესასწაულები და ნადიმები, ვეცნობით ძველ იარაღს და ტანსაცმელს. ამ მხრივ ლონგველს პოემა კაცობრიობის მხატვრული ისტორია. მასში აგრეთვე მოცემულია პეიზაჟი, გაცოცხლებული ბუნება, შორეული ტყეები და მდინარეები, ტბები და მთები, ლაქაშების ჩურჩული და მდინარის დუღუნი, სიციხით გარანდებული ზაფხული და ჩრდილოეთის ბოროტქარიანი ზამთარი. ლონგველს მოთხრობას მისცა სრულყოფილი პოეტური ფორ-



მა, მისცა ველურა ბუნების, ფერების, ბგერისა და სურ-  
ნელების სიმდიდრე.

მაგრამ, რაც მთავარია, რითაც ეს წიგნი ძვირფასი  
და ახლობელია საბჭოთა ახალგაზრდობისათვის — ეს არის  
პირველყოფილი პეიზაჟის ფონზე შექმნა ადამიანებისა,  
რომლებმაც ახლახან დაიწყეს არსებობა და უკვე შე-  
უძლიათ გასწირონ თავი ქვეყნიური ბედნიერების, ხალ-  
ხთა შორის სათნოებისა და მშვიდობიანობის მისაღწევად;  
შექმნა ისტორიული გმირის პიროვნების საფუძველზე ზე-  
ბუნებრივი ძლიერებით აღჭურვილი ბელადისა, რომელიც  
ხალხთა დიდა ქვეყნის განმტკიცებით იბრძვის მშვიდო-  
ბიანობისათვის, ებრძვის გარეშე და შინაურ მტრებს,  
ძალუქს საკუთარი ხელით მოსპოს ისინი, სურს აღაშენოს,  
აღადგინოს და აღორძინოს კვლავ ყოველი ერი, მოუ-  
ძებნოს მათ მტკიცე ხერხემალი და ფესვი. ჩვენთვის,  
ახალი ქვეყნის მშენებლებისათვის, რომლებიც ვზრუნავთ  
ჩვენს აყვავებულ სამშობლოში მცხოვრები ყოველი ერის  
აღორძინებისათვის, ებრძვიო გარეშე და შინაურ მტრებს,  
ვიბრძვით საყოველთაო და განუყოფელი მშვიდობიანობი-  
სათვის — ამით ძველ ინდიურ თქმულებებს ეძლევა ამაღლე-  
ბული სული და ახალი ცოცხალი აზრი. ამით ამერიკის  
მინდვრებისა და ტყეების შრიალს თან მოაქვს უშუალო-  
ბის პრინციპის აღორძინება, სიმტკიცე, ვაჟკაცობა და  
დაუტხრომელი ენერჯია ინდოელთა მრისხანე და საყვა-  
რელი ბელადისა.

1937

გივი გაჩეჩილაძე

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

მქვან რომ მკითხოთ, ეს ზღაპრები  
ლეგენდები და ამბები  
ტყის სურნელით სავსე მუდამ  
და შინდერების სველი ნაშით  
რომელ მხარემ შექმნა ასე  
ვიგვამების კვამლით სავსე  
ხეობების მოძახილის  
და ჩინჩერის ჩქერის მსვავსი  
პირქუს ავდარს რომ გვაგონებს  
ქექა-ქუხილს მაღალ მთაში.  
მე თქვენ გეტყვით, გიპასუხებთ:

„ღიღი მთები ჰქმნიდენ იმათ,  
ტყეები და შინდორ-კელი  
და ისინი შორეული  
ჩრდილოეთის ტბიდან ჰქროდნენ,  
მოდიოდნენ ოჯიბევის  
და დაკოტის ქვეყნებიდან,  
იმ ჭაობში ბინადრობდნენ,  
სადაც ლიბრი ყანჩა ცხოვრობს,  
ლერწმებს შორის რომ მიმოდის  
და შუპ-შუპ-ვა ეწოდება.  
ვიმეორებ. ეს ზღაპრები,  
ამბები და ლეგენდები,  
მე მიაზო ნაფადაჰამ  
ტკბილხმიანმა მომღერალმა.“

თქვენ რომ მკითხოთ, სად იპოვნა  
ეს საამო და ველური  
სიმღერები ნაფადაჰამ—  
მე თქვენ გეტყვით, გიპასუხებთ:  
„წყალში, სადაც ცხოვრობს ხავი,  
ტყის ფრინველთა საბუღარში,  
შინდერად, ველურ ზეზონებთან  
და კლდეებთან, სადაც არწივს  
თავის ბუდე აუგია.“

ეს ზღაპრები გაისმოდნენ  
ჭაობებში, სადაც მუდამ  
სიჩუმე და სევდა ბუდობს  
და უკაცო არის მხარე.

მას მღეროდა მანგი — იხვი,  
ჩიტოვეაკი — აკაურა,  
გარეული ბატი ვავა,  
მუშკოლაზა — ტბინის როქო  
და შუპ-შუპ-გა, ლურჯი ყანაა.

მაგრამ თქვენ რომ ისეც მითხოთ:  
„ნავადაპა ვინლა იყო?  
გვითხარ, გვითხარ ნავადაპას  
ვინაობა და ამბავი“.  
მე თქვენ კითხვას ვუპასუხებ  
და პირდაპირ გეტყვით ამას:

„თავაზენტას ერცელ დაბლობში,  
სადაც წყნარი ველი ჰყვავის,  
ანკარა წყლის ნაპირებზე  
ბინადრობდა ნავადაპა.

ინდოელთა სოფლის ირგვლივ.  
გაშლილიყო მინდორ-ველი  
და ყანების გვერდით ფიჭუნარს.  
აუყარა ცისკენ ტანი,  
აეწვდინა ცისკენ ხელი.  
ზაფხულის დროს ამწვანებულს  
თეთრად ეცქრა ზამთრის პირად,  
და მღეროდა მუდამ იგი,  
და ოხრავდა მუდამ ჩუმად.

„ღა მოჩანდა მხიარული  
მთის ანკარა ნაკადული,  
მოვარდნილი გაზაფხულზე,  
ზაფხულში კი — ვერცხლისფერი,  
შემოდგომით ნისლი იდებდა  
და ოდნავ-ღა ჩანდა ბინდათ,  
მაგრამ მალე ზამთრის ყინვა  
ატყვევებდა ბორკილებით.  
მის გვერდით კი ბინადრობდა  
მოწვევით ნავადაპა,  
ტავაზენტას ერცელ დაბლობში,  
სადაც მწვანე ველი ჰყვავის.

„იქ მღეროდა ის სიმღერას,  
ჰაჰავატას დიდ სიმღერას, —  
თუ ვით გაჩნდა ის ამ ქვეყნად  
ან როგორი ჰქონდა წესი,  
მარხვისა და ლოცვის წესი  
და ემსხვერპლა სიციცხლეში  
თავის ერის აყვავებას“.

თქვენ, რომელთაც ძლიერ გიყვართ  
ტყის ბინდ-ბუნდი, ფოთლის ენა,  
ჭრელ მინდვრებზე მზის ნათელი,  
გარინდებულ ხის ტოტებში

ნელი ქარას გამოჩენა,  
ღიღი წვიმის ნიაღვარი,  
ზამთრის თოვლი და ქარ-ბუქი  
და ფიქვანარის ხეივანში  
მდინარეთა ჩქარი რბენა,  
ქექა—გრგვინვა მალალ წთებში  
და აედარი, მთის აედარი,  
რომლის ურიცხვ მომახილებს  
კლდის ზანზარი იმეორებს,  
და არწივის ფრთების მსგავსად  
რომ ფარფატებს ხევეს შორის,—  
ამ თქმულებას თქვენთვის ვამბობ,  
ჰააჟატას ამ სიმღერას!

თქვენ, რომელთაც გიყვართ ხალხის  
თქმულებები და ამბები,  
იდუმალი ხმა წარსულის  
და ფიქრისკენ მოწოდება,  
წარსულ დღეთა ხმა მარადი,  
ხმა ლეგენდის, ხმა ბაიბლიის,  
სულ უბრალოდ რომ ჩურჩულებს  
სულ ბავშვურად და მარტივად,  
და ყური რომ ვერც კი არჩევს  
სიმღერაა თუ ზღაპარი,—  
ეს თქმულება თქვენთვის მომაქვს,  
ჰააჟატას ეს სიმღერა.

თქვენ, რომელთაც ნორჩი გული  
კეთილი გაქვთ და უბრალო,  
გიყვართ ღმერთი და ბუნება  
და გიღვივით გულში რყმენა,  
რომ ყოველი კაცის გული  
კაცის გული არის მხოლოდ,  
რომ ველურსაც კი აქვს ჩუმი  
სურვილები, სევდა, სწრაფვა,  
რომ უძლურის მკრთალი ხელი  
სიბნელეში რომ მოძრაობს,  
ღვთის მარჯვენა ხელს ეხება  
აპყრობილი კრძალვით ცისკენ,—  
ამ თქმულებას თქვენ მოგიძღვნით,  
ჰააჟატას ამ სიმღერას!

თქვენ, რომელნიც ხანდისხანად  
თქვენს უსაზღვრო ხეტილში  
ტყის შამბნარში, ან და მინდვრად  
წააწყდებით ნანგრევ ღობეს,  
ზედ რომ აკრავს რუხი ხავსი  
და წითელი ხრლით სავსე  
სისხლისფერი კოწახური,  
გადაკიდულ ხლარტებს აჩენს,—  
თქვენ, რომელთაც გავიწყლებათ  
ერთი წუთით თავი თქვენი  
დე თვალს ავლებთ დავიწყებულს

თითქმის წაშლილ საფლავის ქვას  
და წარწერას თითქმის გამქრალს  
სულ მარტივს და სულ უბრალოს,  
მაგრამ რომლის ყოველ ასოს  
თქვენს გულებში მოაქვს ოხვრა  
სევდა ჩუმი და ამბავი  
აქ ყოფნის და აქ არყოფნის,—  
შეჩერდით და წაიკითხეთ  
ჰაბაიეტას ეს სიმღერა!

---

## ზავის ჩიბუხი

ქრეჩივანის მაღალ მთებზე,  
წითელი ქვის მწვერვალებთან,  
შემოქმედი სიცოცხლისა—  
გიტჩე მანიტო ძლიერი,  
იდგა და ცად აღმართული  
უყიოდა იგი ერებს,  
თავს უყრიდა ყველა ტომებს.

ხადაც ტერფი დადგა ქვეყნის  
და სიცოცხლის შემოქმედმა  
იქ მდინარე აჩუხჩუხდა,  
და უფსკრულში, დილის შუქზე  
აელვარდა, ვით იშკუდა.  
თავის ხელით ქვეყნის მეფემ  
წყაალს უჩვენა გზა ირიბი,  
უთხრა: „ამ გზით ივლი მუდამ“.

ღა აიღო კლდის ნატეხი  
ყალიონი გამოძერწა,  
შემდეგ მორთო სურათებით;  
მდინარესთან, ნაპირებზე  
მან გამოსკრა ლერწმის ტარი,  
და ფოთლები მწვანე, მუქი  
მოაცილა და ჩიბუხი  
გამოტენა ხმელი ქერქით,  
ქერქით ხმელი ტირიფისა  
და აუშვა ტყისკენ კვამლი.

მისი სუნთქვით შტონი ხისა  
შეშრილდენ ურთერთს მოხვდენ,  
შემოედევათ ცეცხლის ალი.  
და მპყრობელმა ქვეყნის, მთიდან  
ყალიონი ზავის, კრელი,  
გააბოლა და ამ ნიშნით  
მან მოიხმო ყველა ტომი  
სამეგლისოდ, სათათბიროდ.

ღილა იყო, წყნარი დილა,  
ადიოდა ზანტად კვამლი,  
ჯერ ვით ბინდის ბნელი ზოლი,  
შემდეგ მუქი, ლურჯი ორთქლი;

მერმე როგორც თოვლი თეთრი  
შემოერთა ტყეში ტოტებს.  
მიდიოდა ზევით, ზევით  
და რის მიწვდა ზეცის გუმბათს,  
გაიფანტა ღრუბლის ფარა,  
შემოფარგლა ცის კამარა.

თავაზენტას, ეაჰმინგას,  
ტოსკალუზას ხეობიდან,  
და ფრიალო მალალ მთებშიც,  
ჩრდილოეთის ტბების პირად,  
დაინახა ყველგან ყველაჲ,  
შორეული კვამლის ზოლი:  
ეს პოკვანის კვამლი იყო—  
ყალიონის მოწოდება,  
კვამლი ზავის ჩიბუხისა.

და მისნები ყველა ერის  
იძახოდნენ: „ჰა, პოკვანა!“  
და ამ ნიშნით შორს რომ მოჩანს,  
ტირიფივით რომ იხრება,  
და თავისკენ ხელს რო გვიქნევს  
გიტჩე-მანიტო ძლიერი  
მოუწოდებს ყველა ერებს,  
სათათბიროდ იწვევს გმირებს.

ბილიკებით და ველებით  
მოდდიოდნენ მეგობრები.  
( ჩოკაოვები, კამანები,  
შოშონები, ომაჰები,  
პურონები, მენდენები,  
დელაგები, ლოპაუენი,  
შაეფებანი და პონები,  
ოჯიბევი, დაკოტები, )  
მოდდიოდნენ ყველა ერთად  
მათ იწვევდა ზავის კვამლი.  
რომ ეხილათ ქვეყნის მეფე  
პრერიების მალალ მთებთან.

ბლიონის ჰავდა ზეცას  
შემოდგომის ფერად ფოთოლს,  
როცა ჯარი იარალით  
შედგა დიდი ველის ბოლოს.  
ნადირივით ურთერთს შეხედენ  
და მოსისხლეთ თვალი ეძებს,  
გარდაუვალ შურისგებას  
წინაპართა ნაანდერძებს.

ბიტჩე-მანიტომ ძლიერმა  
ვინც დაბადა ყველა ტომი,  
აქ შეკრებულ ერისშვილებს  
გადახედა თანაგრძნობით,  
მშობლიური სევდით, ტრფობით.







მან იმათი რისხვა ავი  
თამაშის დროს ბავშვთა ჩხუბათ  
და ცელქობათ მიჩნია.  
და განაპყრო მან მარჯვენა  
რომ შემუსროს უზნეობა  
და ჩააქროს ვნება, შური  
ზეადმართულ ხელის ჩრდილში  
ესაუბრა იქ შეკრებილთ  
ღვთაებრივი, ტკბილი ხმითა,  
ჩანჩქერების რორ ჰგავს დუდუნს  
ღრმა უფსკრულში გადავარდნილს.

„ო, საბრალო, ჩემო შვილნო.  
მოისმინეთ დიდი სულის  
ცის და ქვეყნის შემოქმედის  
ბავშვთაგან წარმოთქმული  
სიტყვა ბრძნული, გაფრთხილება.  
მომოციო მიწა, წყალი  
სანადიროდ, სათევზაოდ,  
მე გაჩუქეთ დათვი, მელა,  
ბიზონების, ირმის ჯოგი,  
მშველნი კიდევ, წყალში წავი...  
მე ავაგე წყლები თევზით,  
ქაობები ფრინველებით.  
ნეტავ რაღა გაიძულებთ  
რომ ნადირობთ ერთმანეთზე.  
დავილაღე თქვენი შულლით,  
მე დამქანცა თქვენმა დავამ,  
ბრძოლამ, მუდამ სისხლის ღვაწლამ,  
მუდამ შურისგების ლოცვამ.  
თქვენი ძალა არის ზავი,  
უძლეულება — შური, მტრობა,  
გაუწოდეთ ურთერთს ხელი  
და იცხოვრეთ აწი ძმურად.  
მოგავლინებთ მე მოციქულს  
გამოიხსნის იგი ერებს,  
და გზას ხსნისას ის გიჩვენებთ,  
ის გასწავლით წმინდა შრომას,  
ის იქნება თქვენი მწყემსი;  
დარიგებას იმის ბრძნულსა  
მიაპყარიო გულისყური.  
გამზავლდება ყვილა ტომი,  
ბედნიერიო წლები მოვლენ.  
და თუ აღარ დამიჯერებთ  
თქვენ დაგლუპავთ მტრობა, სისხლი.  
მდინარეში ჩაწოდეთ,  
მოირეცხეთ ომის დიდი,  
თითებიდან სისხლის ლაქა,  
მშვილდ-ისარი ჩაფლეთ სადმე,  
გამოთალეთ ქვის ჩიბუხნი,  
გააქეთეთ ლერწმის ტარი,  
კრელი ფრთები დაამშვენეთ,  
და ეს ზავის ყალიონი

ააბოლეთ უდარდელად  
და იცხოვრეთ ასე ძმურად“.

მს თქვა დიდმა ქვეყნის მეფემ  
და მაშინვე მემორებმა  
ძირს დაჰყარეს საჭურველი,  
განიძარცვეს ტანსაცმელი,  
გაბედულად ჩადგნენ წყალში,  
განიბანეს ბრძოლის ფერი.  
იმათ ზევით მოდიოდა  
წყალი წმინდა და ანკარა —  
სად ცხოვრების ოსტატისა-  
ნატერფალი ანდა მიწას,  
მღვრიე წითელ ნაკადულათ  
მოდოდა ქვევით წვალი,  
შეღებილი სისხლისფერად.

როცა ტანი განიბანეს,  
აზოვიდნენ წულიდან გმირნი,  
გურუბებს მიწა დააყარეს,  
საჭურველი ჩადვეს საფლავს.  
გიტჩე-მანიტო ძლიერი —  
სული, დიდი შემომქმედი.  
მათ ღიმილით მიეგება.  
სიჩუმეში მემორებმა  
მოამტვრიეს კლდიდან ქვები,  
ჩიბუხები გამომერწყეს,  
და ლერწმები მოსკრეს ტარათ,  
დაამშვენეს ტარი ფრთებით  
და შინისკენ მამობრუნდენ.

ამ დროს მალა ღრუბელთ ფარა,  
როგორც ფარდა გადაიხსნა,  
და გაღებულ ზეცის კარში  
მიიმალა ქვეყნის მეფე;  
ცას მოედვა კვამლის ბინდი,  
წითელი ქვის ჩიბუხებით,  
დაფრქვეული ზავის ნიშნად.

---

## ოთხი პარი

„ქაზა, ვაშა მეჯეკივისა“  
მოხუცი და მეომრები  
გაპკივოდნენ, როცა იგი  
შინ დაბრუნდა და მოართვა  
მათ ვამპუმი, საღვთო ნივთი  
ჩრდილოეთის ქარის მხრიდან  
და ვაბასოს ქვეყნებიდან,  
სად კურდღელი მეფობს თეთრი.

მან მოპარა მიშე-მოკვას  
ის ვამპუმის ყელსაბამი,  
მან გაძარცვა დიდი დათვი,  
ერთა რისხვა — მთების დათვი,  
როცა იგი იწვა მძიმედ  
მთების მალალ მწვერვალებზე  
და ეძინა დიდ კლდესავით  
გადაუარულს რუხი ხავსით.

თურმე ჩუმაღ მიეპარა,  
მიეპარა ისე ახლოს,  
რომ წითელი ბრჭყალი მხეცის  
თითქმის მოხვდა და შეეხო.  
რომ ბირუტყვის ცხელი სუნთქვა  
ხელს უთბობდა მეჯეკივისს.  
მან ვამპუმის ყელსაბამი  
ჩამოაძრო ყურებიდან,  
თვალებიდან გადმოუღო  
და ცხვირიდან ყელსაბამი.  
დათვის ყურებს არ ესმოდათ  
და თვალებიც ვერ ხედავდნენ,  
მხოლოდ შავი ნესტოები  
ხელს უთბობდნენ მეჯეკივისს.

შემდეგ გურზი დაპკრა შუბლში  
და დაპკივლა ომის წესზე,  
მოქნეული დიდის ძალით  
შუბლში დაპკრა მიშე-მოკვას,  
თვალებს შორის დაპკრა გურზი!  
მძიმე მეხით რეტდასხმული  
წამოვარდა დიდი დათვი,  
მაგრამ მუხლი მოეკეცა

და აკენსდა დიაცივით;  
ვერ მოასწრო წინ გაწევა  
ჩაიჩოქა მიშე-მოკვამ,  
და ძლიერი შეჯიკივის  
მის წინ დადგა უმიშარი,  
დასცინოდა მას ხმამაღლა  
და ამბობდა თავ-აგდებით:

„შეი, დათვო! რა ყოფილხარ  
რა ტრაბახა და რა მხდალი.  
რას წუწუნებ დიაცივით,  
რას ოხრავ და რას წუწუნებ!  
დათვო! შენ ხომ კარგად იცი  
რა ქიშპობა აქეთ ჩენს ტომებს.  
მაგრამ ახლა ხომ დარწმუნდი  
რომ ჩენა ვართ უფრო შემძლე.  
შეეფარე ულრან ტყეებს,  
დაიმალე ახლავ მთებში.  
შენ რომ ასე დაგეძლიე  
ერთ კრინტსაც კი არ დაეძრავდი.  
შენ კი, დათვო, ისე კენსი  
მთელ ტომს არცხვენ მაგ ბლავილით.  
როგორც მხდალი ბებრუხუნა  
ან საბრალო შოგოდააა.“

ბღმართული გურზი ისევ  
კიდევ დაჰკრა მიშე-მოკვას  
შუბლის შუა დაჰკრა გურზი,  
გაუტეხა თავის ქალა,  
ზამთრის ცივი ყინულივით,  
მეთევზეს რომ ჩაუტყდებოდა.  
ასე მოჰკლეს მიშე-მოკვა,  
მაღალ მთების დიდი დათვი,  
ყველა ტომთა, შიშის ზარი,  
დიდი რისხვა ყველა ერთა.

„მაშა, ვაშა მეჯიკივისს.“  
ალტაცებით ქუხდა ხალხი:  
„ვაშა, ვაშა მეჯიკივისს.  
ის დღეიდან სამუდამოთ  
დასავლეთის იყოს ქარი,  
ის დღეიდან სამუდამოთ  
ზეცის ქართა იყოს მეფე,  
აღარ ერქვას მეჯიკივისს,  
დასავლეთის ერქვას ქარი.“  
ასე გახდა მეჯიკივისის  
მბრძანებელი ზეცის ქართა,  
დასავლეთის ქარი დარჩა  
მას თავისთვის, დანარჩენი  
დაურთოდა თავის შვილებს.  
აღმოსავლის ქარი მისცა  
ქაბუკ ვებონს მან პირველად,  
სამბრეთის კი — შავონდაზის,

და ბოროტ კიბიბონოკას —  
ჩრდილოეთის მკაცრი ქარი.

ღამაში და ახალგაზრდა  
სახე ჰქონდა კაბუქ ვებონს.  
იგი იყო, ვისაც მუდამ  
ძირს მოჰქონდა ლურჯი დილა,  
და ესროდა ვერცხლის ისრებს  
ხეობებში ჩასულ ღამეს;  
ვისაც ლოყა მოელვარე  
და ალისფერ ზოლათ ენთო,  
და ვისი ხმაც აღეძებდა  
ნადირსაც და მონადირეს.

მარტო იყო ცაში ვებონ.  
თუმცა მხოლოდ, მხოლოდ მისთვის  
იმღეროდნენ ფრინველები,  
და მინდვრებში იშლებოდნენ  
ყვავილები მხოლოდ მისთვის,  
თუმცა მისთვის ხმაურობდნენ  
ტყეები და მდინარენი,  
მაინც ვებონს ფლობდა სევდა,  
მაინც მარტო იყო ცაში.

მართელ დილით, როცა სოფელს  
კვლავ ეძინა ღამის ბინდში,  
და მდინარეს აჩრდილივით  
დასდგომოდა ნისლი ჩუმად,  
მან მიწისკენ ჩაიხედა  
და უეცრად მოჰკრა თვალი,  
რომ მინდორში წყლის ნაპირას  
ქალი მარტოდ მიშავალი  
ჰკრეფდა ლერწამს და სოუდას.

ღა მას შემდეგ ყოველ დილით  
ჩასტეწროდა ცისფერთვალეებს  
თვალეები კი - ღრმა ორი ტბა  
მას უმზერდნენ ლერწამებს შორის.  
და ის ქალი, მარტოდ-მარტო,  
მუდამ მას რომ მოელოდა  
შეუყვარდა ვებონს გულით.  
რადგან ორივე მარტოდ იყვნენ  
ვათი — ცაში, ქალი — ქვეყნად.  
არ აკლებდა სატრფოს აღერსს,  
მზის ღიმილით შეიქცევდა,  
ხან ართობდა მაცდურ სიტყვით,  
ხან ოხერით და ხან სიმღერით,  
ხან შტოების ჩურჩულს შლიდა  
და ყვავილთა სურნელებას,  
სანამ მკვერდზე არ მიიყრდნო  
არ ჩააცვა ძოწის ფერი.  
და ვარსკვლავად არ აქცია,  
აბრთოლებულ ცის ვარსკვლავად.

და მას შემდეგ მუდამ ჩანან  
ცაში ერთად მიმავალნი  
ვებონი და ვებონ-ანონი,  
ან ვებონი და ცისკარი.

შინულოვან მთებში სადაც  
მუდამ დაჰქრის ზამთრის ქარი,  
სად ვაბასოს ქვეყნებია,  
და კურდღელი შეფობს თეთრი,  
ქაბიბონოკას აქვს ბინა.  
ოგი ხატავს ყვითელ ფოთლებს  
ჩამოცვენილს შემოდგომით,  
და აპრელებს წითელ-ყვითლად.  
ის აგზავნის ცივ ქარბუქებს  
და აწივლებს შიშველ ტერეში.  
მდინარეებს, ტბებს და წყაროს  
ყინულიან ბორცის ადგებს,  
მეთოვლიას, იხვებს, ყანჩას  
სამხრეთისკენ სდენის ყველას,  
აძებნიებს მათ ბუდეებს  
შავონდაზის სამეფოში.

ქაბიბონოკამ ავგულმა  
შიატოვა ერთხელ ბინა,  
ყინვიდან და ქარბუქიდან  
სამხრეთისკენ გაეშურა,  
და იმისი თეთრი თმები,  
დაფენილი თოვლის ფიფქით  
თან მოსდევდნენ ყინვის ველზე  
ზამთრის შავი ნაკადრებით.  
იქ, გაყინულ ქაობებში,  
ისლებსა და ლერწმებს შორის  
დაინახა მან შინგების —  
მიტოვებულ ტბებში მარტოდ  
დარჩენილი ტბების იხვი.  
ქარგი ხანი იყო უკვე  
რაც გაფრინდნენ მისი ძმები  
შავონდაზის სამეფოში.

ქაბიბონოკამ ავგულმა  
დაიძახა ვაბრაზებით:  
„ვინ მიბედავს მე ურჩობას?  
ვინ გაბედა აქ დარჩენა,  
როცა ვაგა და შუჭ-შუჭ-ვა,  
ბატები და ლურჯი ყანჩა,  
უკვე დიდი ხანი არის  
სამხრეთისკენ გადაფრინდნენ.  
მე შივანგებ იმის ვიგვამს,  
მე დავანგრევე იმის კერას“.

და იმ ღამით შეუტია,  
მიუვარდა მტერს მრისხანედ,  
ააყენა თოვლის ბუქი,

ბუხრის მიღში იწყო სტვენა,  
შეარყია მტრის ვიგვამი,  
ჩამოგლიჯა კარის ფარდა,  
შინგებისი არ შეშინდა,  
შინგებისი არ შეშინდა.  
მას საზამთროდ ჰქონდა შეშა,  
შენახული მრავლად თევზი,  
და ანთებულ ცეცხლის პირად  
მზიარული იჯდა ტფილად,  
სიცილით და სიმღერებით.  
განრისხდა და დაეძგერა,  
შეუფარდა მაშინ ქოხში,  
შინგებისი შეერთა თუმცა,  
მისი ცივი სუნთქვა იგრძნო,  
მანც კიდევ არ შეწყვიტა  
არც სიმღერა, არც სიცილი.  
გაასწორა მხოლოდ კუნძი  
ცეცხლი უფრო გააღვივა,  
მზიარული ტკაცუტყუით  
ნაპერწყლები მიმოჰჟანტა.

ქაბიბონოკას შუბლიდან,  
თოვლისფერი მისი თმიდან  
თოვლის წვეთმა იწყო დენა,  
ლაქებივით ცეცხლის ფერფლში  
როგორც ადრე გაზაფხულზე  
სახურავის თავზე თოვლი,  
ან მატუკის ტოტებიდან  
წერილ წვეთებად თოვლი წვეთავს.  
როცა მეტი ვერ გაუძლო  
ვერც სიცხეს და ვერც სიმღერას,  
გამოვარდა კარში ისევ  
და დაიწყო ხეტიალი,—  
ტბებზე, წყლებზე, მინდორ-ველად  
გაამაგრა ყველგან თოვლი,  
მოუმატა სისქე ყინვას  
და ეძახდა მტერს საომრად  
ქაობში და ყინვის ველად.

შინგებისი შეუპოვრად  
გამოვიდა საბრძოლველად  
და შიშველი არ გაექცა  
რიტრაჟამდე ქაობებში  
ჩრდილოეთის ქართან ბრძოლას.  
ქაბიბონოკა, უძლური  
შერცხვენილი და ნაცემი,  
აჩქარებით გაეშურა  
ჩრდილოეთის სუსხის მზარეს,  
სად ვაბასოს ქვეყნებია  
და კურდღელი მეფობს თეთრი.  
მის უკან კი მოისმოდა  
სიცილი და სიმღერები.



შაგონდაზის სრულს და მიძიმეს,  
შორს სამხრეთში ჰქონდა ბინა,  
სადაც მზისგან დასიცხული  
ზაფხულია მუდამ მეფედ.  
ის გზავნიდა ყველგან ჩიტებს --  
ლურჯფრთებიან ოვეისას  
ან ოპეჩის, წითელგულას,  
თეთრმკერდიან მერცხალს, შოშოს,  
გარეულ ბატს, ველურ ვაჟას;  
აგზავნიდა ჩრდილოეთით  
ნესეს, თამბაქოს, ყურძნის მტევნებს.

ჩიბუხიდან ასულ კვამლით  
ის ავსებდა ორთქლით ზეცას,  
ჰაერს ნისლით და განცხრობით;  
წყალს აძლევდა ზარმაც კამკამს,  
ხრიოქ ბორცვებს აბინდ ქადა,  
და ზაფხულით ჰქროდა ნაზით  
ჩრდილოეთის ქვეყნებისკენ  
თხილამურის დამზრალ თვეში.

უზრუნველი შაგონდაზი.  
მხოლოდ ერთხელ ნახა სევდა,  
მხოლოდ ერთხელ ნახა ჩრდილი.  
ერთხელ, როცა ჩრდილოეთით  
უმზეროდა გაშლილ ველებს,  
შორს უსაზღვროდ გასულ ველზე  
თვალი მოჰკრა წარბეცე ასულს  
კოხტა ქალწულს მარტოდ, ველად,  
ქალს სამოსი ჰქონდა მწვანე,  
თმები, როგორც შუქი მზისა.

დღითი-დღე თვალს არ აცლიდა,  
დღითი-დღე სულ უფრო მეტად  
ენებით ოხვრა უწყო გულმა,  
სიყვარულით გათბა გული,  
ოქროსთმიან ქალის ნდობით.  
მაგრამ მეტად ზარმაცობდა  
ვერ ბედავდა ქალთან მისვლას,  
მხოლოდ შორით უმზეროდა,  
მხოლოდ იჯდა და ოხრავდა  
პრერიების ქალწულისთვის.

ბოლოს ერთხელ დილით ადრე  
შეამჩნია, რომ შეცვლოდა  
ქალს თეთრფერად ოქროს თმები,  
თითქოს ფიფქით დაეფარა.  
„ოჰ, ჩემო ძმავე, ჩრდილოეთის  
სამეფოდან მოვარდნილო.  
შენ მომტაცე მე ქალწული,  
შენ ჩასკიდე იმ ქალს ხელი,  
შენ მოხიბლე ის ქალწული  
ჩრდილოეთის ქვეყნის ამბით.“

სად ვაბასოს ქვეყნებია,  
სად კურდღელი მეფობს თეთრი“.

საყოდავი შავონდაზი  
ქვითინებდა მწუხარებით,  
და სამხრეთის ქარს მიჰქონდა  
ცხელი ოხვრა მინდორ-ველად,  
შავონდაზის ვენების ოხვრა;  
და ჰაერი თოვლის მსგავსად  
სულ აივსო უცებ გინგლით,  
და ქალწული ოქროს თმება  
მის თვალთაგან მიეფარა.  
და ვერასდროს შავონდაზიმ  
ველარ ნახა ის ქალწული.

საყოდავო შავონდაზი.  
შენ ქალისთვის არ ოხრავდი,  
შენ ქალწულს კი არ უმხერდი  
სანატრელს და საოცნებოს,  
ის ბურბურას ყვავილია,  
შენ რომ ასეთ ვნებით გსურდა  
იმ ერთ ზაფხულს, რომ უზღერდი  
სიყვარულით სავსე თვალით  
და რომ გაჰქრა უცნაურად  
შენი ოხვრით გაფანტული,  
ის ბურბურას ყვავილია,  
ოჰ, საბრალო შავონდაზი.  
ასე იქმნა ოთხ ნაწილად  
გაყოფილი ოთხი ქარი,  
ასე შეხვდათ ყველა ვაჟებს  
ცის კუთხეში ცალკე მხარე,  
თავისთვის კი შეჯგუფების  
დასაელეთის დარჩა ქარი.

## ჰადავათას ბავშვობა

და ზაფხულზე ერთ საღამოს,  
სავსე მთვარე როცა იდგა,  
(ეს უხსოვარ დროში მოხდა,  
ვისლა ახსოვს დრო და წელი)  
ძირს მთვარიდან ჩამოვარდა  
მშვენიერი ნოკომისა,  
ცოლი, მაგრამ არა დედა.

ის ხალისით თამაშობდა,  
მეგობრებთან ქანაობდა  
ხის ტოტებზე, ვაზის ლერწმზე  
მეგობარმა ერთმა შურის,  
მტრობის ალით აგზნებულმა  
ეს ლერწები ვაზის მოსკრა,  
და ზაფხულის ერთ საღამოს,  
გულწასული შიშით ქალი  
მშვენიერი ნოკომისა  
ჩამოვარდა მუსკოდებზე,  
ყვავილოვან და რბილ ველზე.  
და ამბობდა ხალხი სოფელად:  
„ჰა ვარსკლავი მოსწყდა ციდან“.

რბილ ხავსზე და რბილ ბალახზე,  
თაფალუნულ ყვავილთ შორის,  
მუსკოდებზე და ჩუმ ველზე  
ნოკომისა გახდა დედა.  
შვილს უწოდა დედის ერთა,  
და დაარქვა მას ვენონა.  
ვით ზამბახი მინდორ-ველის  
გაიფურჩქნა იქ ვენონა,  
მოქნილი და თვალ-ტანადი,  
როგორც მთვარის ნაზი შუქი  
და ვარსკლავის შორი სხივი.

ნოკომისა ხშირად ასე  
არიგებდა ვენონასა:  
„გეშინოდეს, შოერიდე  
დასავლის ქარს – მეჯგეივისს.  
არაფერი გაუგონო,  
არ იარო მარტო ველად  
და არ დაწვი ზამბახთ შორის“.

ბარ უსმენდა მას ვენონა,  
უკუაგლო რჩევა ბრძნული,  
და როს ღამე იყო ბნელი —  
მეჯგეივის მიეპარა,  
და ჩურჩულით დააფინა  
ბალახი და ია ველზე,  
სად ვენონა ტურფა ქალი  
ყვავილთ შორის იწვა მარტო.  
მეჯგეივის უპოვნია,  
დაუწყვია გაიძვირას  
თვალთმაქცობა ტკბილი სიტყვით,  
სანამ ვნებით არ დაათრო.

ასე გაჩნდა ჰამაეატა,  
საოცარი ტურფა ბაეფი,  
და ამ ვერაგ მეჯგეივის  
ამ უგულუო მეჯგეივის  
ნოკომისას ქალი მალე  
მოუვდია უპატრონოთ.  
და ვენონას გულისკემა  
შეწყდა ამის შემდეგ მალე;  
ვერ გაუძლო გულმა სევდას.

ღა მოსთქვამდა ღიღხანს ღედა,  
დასტიროდა შვილის ცხედარს:  
„შენ მაგიერ ნეტავ რატომ  
არ დაეხუქე მე თვალბი,  
და არ ჩამდევს საშარეში,  
ვაპონოვინ, ვაპონოვინ“.

ღიადი ზღვის ნათელ წყალთან  
გიტჩი-გუმის ნაპირებზე  
ბაეშგიზიდან ჰქონდა ბინა  
ნოკომისას, ვარსკვლავთ ქალსა.  
ნოკომისას ვიგვამს უკან  
ულრანი ტყე იდგა ბნელი,  
ხშირი შავი ნაძვის ტეერი.  
ნაპირების კრელი ტალღა  
ელვრებოდა ქვიშას მკერდზე,  
ელვარებდა მზეზე ქაელი  
ღიადი ზღვის ნათელ წყლისა.

ღა იქ სადაც ტყის და ზღვების  
მღუმარება იდგა მუღამ  
ბაეშგის უვლიდა ნოკომისა,  
ის ურწყევდა ცაცხვის აკვანს  
შიგ დაფენილს ხავს-ბალახით,  
არტახებით შემოკრულსა.  
ურწყევდა და დამღეროდა:  
„თუ იტირებ დათვის გაგატან“  
ურწყევდა და თან მღეროდა:  
„გეკა, ჩემო ბუს ბახალაჟა...“  
რა ანათებს ნეტავ ვიგვამს.

ვინ უცქერის ნეტავ ვიგვამს,  
გიკა, ჩემო ბუს ბახალავი“

მარსკლალების და ცის ამბავს  
უყვებოდა ნოკომისა;  
ბავშვს აუხსნა ცლომილთ წესი,  
იშუქდა და მისი თმები,  
ცაზე ოქროს ნაკვალევი.  
სულთა ცეკვა სასიკვდილო,  
მათი ჯარი ბროლის გზაზე  
გაფრენილი ჩრდილოეთით.  
როცა ყინვა თოშავს არეს,  
ბავშვს აჩვენა მოკრიალე  
ჩვენების და სულის გზები,  
გზები თეთრი ბნელ ზეცაზე.


ტფილ ზაფხულზე, საღამოთი  
კარის ზღურბლზე იჯდა ბავშვი,  
ყურს უგდებდა ნაძვის შრიალს;  
ყურს უგდებდა ტალღის ცემას,  
სიმღერების უცხო ზეგრას:  
„მინე — ვაჟა“ მღერის ფიქვი  
„მეღვე — ოშკა“ მღერის ტალღა.

ხედავს—მწერი ვა-ვა-ტეაზი  
ნაბერწყლებს რომ ისვრის, ფრინავს,  
სიბნელეში ჰქრება, ბრწყინავს,  
იკარგება ბურქნარებში.  
უმღეროდა ლექსებს მწერებს  
ნოკომისამ რომ ასწავლა.

„ვა — ვა ტეაზი, ვა — ვა ტეაზი.“  
შენ პატარა, ცეცხლის მწერო.  
შენ ნამცეცავ, თეთრო ალო.  
დაუარე კიდევ ცოტა,  
გამინათე ხტუნიაო,  
შენი აღის ნაბერწყალით,  
სანამ ძილი მომერყევა,  
დავხუჭავდე სანამ თვალებს“.

ანათებდა ტბების სარკეს  
და მოსჩანდა ტბის სარკეში  
გამოსული ცაზე მთვარე.  
მთვარეს აჩნდა ჩრდილის ლაქა;  
ბავშვი ჰკითხავს: „ეს რა არი“.  
ნოკომისა ეტყვის უმაღლ:  
„ნეომარმა ერთხელ ავმა,  
გაისროლა ცისკენ ქალი,  
ბებერი და შავი ქალი.  
დარჩა ქალი იქ მთვარეზე  
და იქ დარჩა როგორც ლაქა“.

ცისარტყელა როცა ნახა  
გაკვირვებით ჰკითხა ისევ:





„ეს რა არის ნოკომისა?“  
ნოკომისამ უპასუხა:  
„ყვეელნარი არის ზეცის;  
როცა კრელი ტყის ყვაეილნი,  
ჭაობების ქოთანები  
და ჭკნებიან აქ მიწაზე, —  
ყვაეილობენ მერმე ცაზე“.

ბუს ძახილს თუ გაიგებდა  
და ლამეში იმის ხარხარს,  
კითხულობდა შიშით: „რაა.  
ნოკომისა ეს რა არის“.  
ნოკომისა კი ეტყოდა:  
„შეკრებილან ბუნი, შვილო,  
და ლაუბობენ თავის ენით,  
ბახალეების ისმის ჩხუბი“.

და პატარა ჰაავეატამ  
შეისწავლა ფრინველთ ენა,  
სახელეუბი-საიდუმლო:  
როგორ, როდის ქსოვენ ბუდეს,  
ან ზამთარში სად არიან;  
საუბარი ჰქონდა მათთან  
და დაარქვა ფრინველთ კრებულს,  
„ჰაავეატას მართეეეები“.

შეისწავლა ნადირთ ენა,  
მიწვდა იმათ საიდუმლოს:  
წავი როგორ იღებს ბინას,  
სად ინახავს ცოყვი კაკალს,  
და, რად ცელქობს ნიაშორი,  
თუ ბაჟია რატომ ფრთხილობს.  
საუბრობდა და ეტყოდა:  
„ჰაავეატას ძმები ხართო“.

არაკების მთქმელმა ააგუშ  
ნოლაქლაქემ და ტრანახამ,  
მოგზაურმა, მონაპირემ  
ნოკომისას მეგობარმა,  
გაუკეთა მშვილდი ჭაბუქს,  
გამოთალა იფნის მშვილდი  
და ისრები მუხის ტოტის,  
წამოაგო ბასრი წვეტი,  
გაუკეთა ლამბა ტყავის.

შემდეგ უთხრა ჰაავეატას:  
„ბაბა, შვილო, წადი ჩქარა  
ტყეში სადაც ნადირები,  
ბუნაგობენ, ბინადრობენ,  
იქ მოჰკალი შენ ირემი  
ტოტებივით რქა ნაყარი.“



მწილელ—ისარი ჰაავეატამ  
წამოიღო გაბედულად,  
გაეშურა სადაც ჩიტნი  
კიკიკობდნენ, ფრენდნენ ლალად.  
„არ გვესროლო ჰაავეატა“! —  
დამღეროდნენ ათას ხმაზე  
წითელგულა, ოპჩემბი .  
„არ ისროლო, ჰაავეატა“ —  
სტუნდა ლურჯი ოვეისა.

ხედავს ხეზე აჯიღომო —  
ციყვი ძირს და მალლა დახტის.  
მუხის მუქი ფოთლებიდან  
იციინის და ამბობს ასე:  
„არ გვესროლო, ჰაავეატა“!

და ბაქია თეთრი, ხტუნვით  
ბილიკიდან გადგა განზე  
და ორ ფეხზე აიშართა  
და ღიმილში იყო შიშიც  
როცა უთხრა მონადირეს:  
„შემიბრალე, ჰაავეატა“!  
ჰაავეატა არ უსმენდა,  
ირმისათვის ფიქრობს მხოლოდ,  
ის ნაკვალევს ეძებს ყველგან,  
კვალს მიმავალს მდინარისკენ  
კვალს დარჩენილს სადმე ფონთან.

და მდინარის პირად, ბუჩქში  
ჩაესაფრა იგი ირემს.  
თვალი მოჰკრა ორ თვალს ტყერში,  
რქებს წამოდგმულს კახტა თავზე,  
და აღერილ კისერს, როცა  
ნესტოვებით ყნოსდა ჰაერს.  
ჰაავეატამ რილო-ჩრდილში  
როცა ნახა ეს ნადირი  
ვერხვის ტოტის ფოთოლივით  
აცახცახდა მისი გული,  
მთლად სხეული აუტოკდა  
როცა ნადირს მოჰკრა თვალი.

დაიჩოქა ერთ მუხლზე და  
დაუმიზნა ვაჟმა ირემს,  
ოდნავ ტოტი გადისარა  
და ფოთოლი აკანკალდა,  
რომ ნადირმა მაშინათვე  
იგრძნო მტერი, მონადირე.  
დაჰკრა ფეხი, დაიხია  
და ყურები დააცქვიტა  
რაღაც საფრთხის მომლოდინემ.  
აღმათ, იყო მისი წერა —  
როგორც ბზიკი აბზულიდა  
და ჩაესო როგორც ბზიკი.

მდინარესთან ხეებს შორის  
განგმირული ეგლო ფონთან,  
არ უცემდა ირემს გული.  
მაგრამ ჰაააავატას გული  
რა რიგ ცემდა, ფართხალეზდა;  
როცა ზურგზე აიკიდა,  
წამოიღო სახლში დავლა.  
და შინ შოსულ მონადირეს  
შეეგებენ ტაშის ცემით  
ნოკომისა და ააგუ.

ამ ირემის კრელ ტყავიდან  
შეუკერეს ვაჟს ნაბადი;  
მოიწვიეს მეზობლები,  
შემოკრიბეს მთლად სოფელი,  
ჰააავატას სასახელოდ  
გააჩადეს დიდი ლხინი;  
და აქებდენ ჰააავატას:  
ძლიერი, კარგი გმირი,  
სან-ჯი-ტეპე, მან-გო-ტეაზი.



## ჰამავაბა და მუჯეჰივის

ქიზაზის წლებმა განვლეს,  
დაეჟეცა ჰამავაბა,  
მონადირის მარჯვე ქცევა,  
მოხუცების მთელი სიბრძნე,  
შრომა, ყრმათა თამაშობა—  
შეისწავლა მან ყოველი.

მარდი იყო ჰამავაბა.  
გატყორცნილი ისრის წვერი  
დარჩებოდა მუდამ უკან  
თუ კი იგი დასაწევად  
დაიძვროდა იმავ წუთში.  
მძლავრი იყო ჰამავაბა.  
გაისროდა ათჯერ ისარს  
ისეთ ძალით და სისწრაფით,  
რომ შეათე გასროლისას  
ჯერ პირველიც ცაში იყო.

ირმის ტყავის ხელთათმანებს,  
ჯადოს ძალის მინჯიკეგონს  
ჩაიცვამდა როცა ხელზე —  
მას შეეძლო პიტალო კლდის  
ქვიშად ქცევა, მთების ნგრევა.  
ის იცვამდა მოკასსინებს,  
ირმის ტყავის მოკასსინებს,  
მათაც ჰქონდათ ჯადოს ძალა  
და შეეძლო გადაედგა  
ბიჯი თუნდაც ერთი ეჯი.

იგი მოხუც ნოკომისას  
აწუხებდა ხშირი კითხვით,  
თუ ვინ იყო მისი მამა,  
და გაიგო ლამაზ დედის  
იღუმალი ბედის წერა,  
ფერაგობა მისი მამის  
და აენტო ჯაგრით გული,  
ნაკვერცხალად გული ენთო.

მამინ უთხრა ნოკომისას:  
„შე შევდივარ მამაჩემთან,  
მინდა ერთი ვინახულო

დასავლეთის ქარის კართან  
მზის დასავლის კარი-ბეჭეში“

და ქობიდან გამოვიდა  
შორი გზისთვის გადაცმული.  
თათმანებით, მინჯიკეონ,  
ჯადოსნური მოკასინით,  
ირმის ტყავის კობტა პერანგს  
მას ვამპუში უმშვენებდა,  
და მდიდრული სამკაული.

თავს ჯაგარი შეუმკობდა,  
და არწივის კრელი ფრთები.  
ხელში ეპყრა მშვილდ-ისარი  
ირმის ძარღვით მოკმული,  
გამოთლილი იფნის ხისგან,  
ზურგს კაპარკი გადაეგდო,  
და გავესოთ მუხის ის-ეებს  
ის იასპით მოქედოლებს,  
მოქარგულებს კრელი ფრთებით.

ნოკომისა აფრთხილებდა:  
„ნუ მიღიხარ, ჰაავეატა,  
დასავლეთის ქარისაკენ.  
მამა-შენის სამეფოში,  
თორემ მოგკლავს ჯადოქრობით  
ან დაგლუპავს ვერაგობით“.

შაგრამ ყურიც არ ათხოვა  
უშიშარმა ჰაავეატამ,  
ეჯიანი ნაბიჯებით  
მიეფარა სწრაფად ტყეში.  
ზეცა ბნელად მოეჩვენა,  
ეხატვოდა მიწაც ბნელად  
ჰაერი კი შეხუთულად,  
გავსებულად ორთქლით, კვამლით.  
ველებსა და უღრან ტევრებს  
წაეკიდათ თითქოს ცეცხლი,  
რადგან გული ცხელი ჰქონდა,  
ნაკვერცხლად ენთო გული.

ასე გაჰყვა იგი ბილიკს  
დასავლეთით, დასავლეთით.  
დაიტოვა უკან მშველი,  
ქურციკი და ბიზონები,  
გადასურა ესკონაბა,  
გადალაბა მისსისიპი,  
პრერიების დიდი შთები,  
მელიის და ყვავის მხარე.  
შაეფებათა ტომის ბინა,  
და მიადგა კლდიან გორებს  
დასავლეთის ქარის მხარეს,  
სადაც მაღალ მწვერვალებზე

სჯდა მოხუცი მეჯგვივის,  
ბრძანებელი ზიცის ქართა.

და მამის წინ წარსდგა მამონ,  
რიდით საესე ჰაავატა,  
იქ ველურად იშლებოდნენ,  
ღრუბლებივით მამის თმები,  
და ბრწყინავდენ თმები, როგორც  
ახვეტილი ქარით თოვლი,  
ან იშკუდას ცეცხლის თმები,  
ვარსკვლავების ცეცხლის თმები.

ზაეხარდა მეჯგვივის  
ჰაავატას ნახვა გულში:  
ჰაავატას სახით მის წინ  
სიკაბუქის წლები აღსდგენ,  
და ვენონას სილამაზეც,  
სამარიდან აღსდგა მკვდრეთით.

„ზაგიმარჯოს, ჰაავატა“.  
მიესალმა მეჯგვივის:  
„დასაელეთის ქარის მზარეს  
დიდი ხანი გელოდები.  
სიქარმაგე ვულგრილია  
სიკაბუქე—ცეცხლიანი  
შენ კი ისევე მომავგონე  
გარდასული ყრმობა ჩემი  
და ვენონას სილამაზე.“

ზრავალი დღე ისაუბრეს,  
ზრავალი დღე ისხდენ ერთად  
ზრავალს მძლავრი მეჯგვივის  
თავს იქებდა თავის შვილთან,  
ტრაბახობდა ვაჟაკობით,  
უამბობდა ძველ-ძველ ამბებებს,  
რომ ის იყო უშიშარი  
და უკვდავი ტანი ჰქონდა.

წყნარად იჯდა ჰაავატა,  
და უსმენდა მამის ტრაბახს,  
პირზე ღიმილს იჯდა წყნარად,  
აღელვებებს არ იჩენდა.  
ერთი სიტყვაც არ წამოსცდა,  
არც შეხედდა ალმაცერი,  
მაგრამ გული ცხელი ჰქონდა,  
ნაკვერცხალად ენთო გული.

მერე უთხრა: „მეჯგვივის,  
არაფერი არის ნეტავ  
ქვეყნად შენთვის საშიშარი?“  
და პასუხად მძლავრმა მამამ,  
მოწყალემ და დიდებულმა  
უთხრა: „ქვეყნად არაფერი,

გარდა აგერ იმ დიდი კლდის,  
იმ ვაებზე, იმ კლდის გარდა,  
და შეხედა ჰაავატას... —  
გამოკლილი, ბრძნული თვალით,  
მამობრივი სიყვარულით,  
გადაჰხედა სიამაყით  
მის ლამაზ და მაღალ სხეულს  
უთხრა: „ჩემო ჰაავატა!  
არაფერი არის ნეტავ,  
ქვეყნად შენთვის საშიშარი?“

მაგრამ ფრთხილი ჰაავატა  
დაფიქრებით ერთ წუთს შესდგა,  
შესდგა თითქოს დაიქვეებით  
და თქვა: „ქვეყნად არაფერი  
გარდა აგერ იმ ლერწმის,  
იმ ეპოქის, ლერწმის გარდა“.  
და როდესაც მეჯიციის  
აღდა ლერწმის მოსაგლეჯად,  
ჰაავატამ დაიყვირა  
მოგონილი შიშის ზარით:  
„კაგო! კაგო! ხელს ნუ ახლებ!“  
„კარგი“, — უთხრა მამა-მისმა:  
„ფიქრი ნუ გაქვს, ხელს არ ვახლებ“.

მერე ისევ გააგრძელეს  
იმით ვრცელი საუბარი,  
და შეეხნენ ლამაზ ვებოსს,  
შავონდაზის, სრულს და მძიმეს,  
კაბიბონოკის ავეულსა.  
შემდეგ ისევ ნახ ვენონას,  
ჰაავატას ლამაზ დედას,  
მის საოცარ დაბადებას,  
და მის სიკვდილს, რაც შეილიშვილს  
უთხრა მოხუც ნოკომისამ.

და შესძახა ჰაავატამ:  
„ო, ცბიერო, მეჯიციის  
შენ მოკალი, შენ, ვენონა,  
შენ მოწყვიტე ის ზამზახი,  
და გასთელე ტლანქი ფეხით.  
ალიარე! სცანი, სცანი.“  
მაშინ ძლიერს მეჯიციის  
დაეუფლა მწუხარება  
და თანხმობის უბმო ნიშნად  
მის წინ დადგა თავდახრილი.

წინ წამოდგა ჰაავატა,  
ანთებული მკაცრი მზერით  
მაღალ კლდეზე დასდო ხელი,  
თათჰანებით, მინჯიცივონ,  
მოამტვრია მას მწერვალი  
დაამსხვრია ნამტვრევებად.

და-ყარა ბრავით მამას,  
სევდით სავსე მეჯგეკივისს,  
რადგან გული ცხელი ჰქონდა,  
ნაკვერცხალად ენთო გული.

მაგრამ ქართა მძლავრმა მეფემ  
ქვები სუნთქვით დაიბრუნა,  
მრისხანების ქარიშხალით  
დაუბრუნა ჰაფავატას.  
მერე ლელი ამოგლიჯა  
ტოტებითა და ფესვებით,  
იქ მდინარის ნაპირიდან,  
ამოგლიჯა მან ეპოკვა  
და ხმა-მალლა გულიანად  
გააცინა ჰაფავატა.

ღა დაიწყო ხელჩართული  
ცხარე ომი კლდეებს შორის:  
თვით არწივი ომის, კონაჟუ,  
საბუღრიდან გადმოფრინდა,  
და ჩამოჯდა ზევით კლდეზე,  
მათ მახლობლად ფრთების რხევით.  
ვით დიდი ხე ქარიშხალში  
ქანაობდა იქ ლერწამი,  
როგორც სეტყვა მოცივოდნენ  
იქ ვავბიკას ნამსხვრევებში.  
დედამიწა ტანხარებდა  
და შორეულ მთებში ექო  
ავდარივით მქუხარებდა,  
პასუხობდა: „ზემ — ვავა“!

ღა იხევდა მეჯგეკივისს,  
დასავლეთით ჰქონდა პირი,  
ის იხევდა ბრძოლით უკან,  
დასავლეთის მალა მთებზე,  
განაფენილი შვილის მიერ,  
დასავლეთის ქარის კართან,  
მზის დაისის კარი-ბჰისკენ,  
დედა-მიწის საზღვრისაკენ,  
სადაც ლამით დღის მნათობი  
იძირება დიდ სივრცეში  
ვით ფლამინგო საბუღარში  
შორს, სევდიან კაობებში.

„მხლა შესდექ, ჰაფავატა!“  
დაიძახა ბოლოს იმან:  
„შესდექ, ჩემო ჰაფავატა,  
შენ არ ძალგიძს მოკვლა ჩემი,  
შენ არ ძალგიძს უკვდავთ მოკვლა,  
მე გამოცდა მსურდა შენი,  
შენი ხერხის და გაბედვის,  
და მიიღებ კიდევ ჯილდოს.“

„ღაუბრუნდი მშობელ მხარეს,  
იქ იცხოვრე და იზრომე,  
ამოსწმინდე მდინარენი,  
ჯადოქრები ამოხროცე,  
მღვდის მსგავსი ვენდიგონი —  
და გველები, კინებიკი,  
როგორც ერთხელ შე მოვკალი  
დიდი დათვი მიშე-მოკეა.  
და როდესაც ახლოს მოვა  
აღსასრულის მძიმე წუთი,  
და პოგოკი მოვანათებს  
სიბნელიდან ბოროტ თვალებს,  
შე გაგიყოფ ჩემს სამეფოს  
და გახდები სამუდამოდ  
ჩრდილო-დასავლეთის ქარის  
პიფადინის ქარის მეფე.“

ასე მოხდა საშიშარი  
დიდი ბრძოლა შა-შას დროში,  
ის შორეულ დროში მოხდა  
დასავლეთის ქარას მხარეს,  
მისი კვალი ახლაც მრავლად  
დასტუბია მთებს და ხევებს,  
და დღესაც კი მონადირე  
ხედავს ლერწაშს წყლის ნაპირას,  
ხედავს ნამსხვრევს ვაგბიკისას  
ჩამოცეწილს ყოველ ხევში.

სამშობლოსკენ გაეშურა  
უშიშარი ჰააავატა;  
დაიფიწყა მწვავე ბრაზი,  
დაიფიწყა შურის ფიქრი,  
დაუწყნარდა ანთებული  
შურისგების ფიქრით გული,  
და გარშემო ყველაფერი  
კვლავ აყვავდა მხიარულად.

მხოლოდ ერთხელ უკლო ნაბიჯს,  
მხოლოდ ერთხელ შეისვენა,  
შეიარა ძველ ოსტატთან  
ისრის წვერთა შესაძენად,  
დაკოტებინს ქვეყანაში,  
სადაც მოქუეს მინნეპაპი,  
ჩანჩქერების წმინდა წყალი,  
ხეობაში, მუხებ შორის.  
იქ მოხუცი ბინადრობდა  
ისრის წვერთა მკეთებელი,  
ცხოვრობდა და მუშაობდა,  
აკეთებდა ისრის წვეტებს  
ქალკიდონის, კაჟის ქვისგან  
ან მაგარი იასპისგან,  
კობტა ნარიფს, მახვილ წვეტსა.



ღა ცხოვრობდა მასთან ქალი,  
ფეხმარდი და კინიანი  
როგორც წხეფი, როგორც ტალღა  
მინნეჰაპას ჩანჩქერების.  
შაე თვალებში უელავდა  
მზის ნათელი, რისხვის ჩრდილი,  
მისი თმები ნაკადს ჰგავდნენ  
და სიცილიც ჰგავდა მღერას,  
და მოხუცმა მონინდომა  
იმ მდინარის სასახელოდ,  
დაერქმია მინნეჰაპა  
მოცინარე წყალი მისთვის.

მაგრამ განა ჰაჰაიატამ  
დაკოტების ქეყანაში,  
შეიარა მხოლოდ კაჟის,  
ქალკიდონის და იასპის  
ისრის წვეტთა შესაძენად.  
იქნებ სურდა ქალის ნახეაც,  
მოცინარე წყალის ნახეა,  
ფარდის უკან მიმალულის;  
ან შრილის გაგონება,  
მისი კაბის შარი-შურის  
გაგონება ფარდის უკან;  
როგორც უყვართ მინნეჰაპას  
ბრწყინეა ფარულ ტოტებს შორის,  
როგორც მწევანე ტოტებს უკან  
ხმაურობა უყვართ წყალის.

მინ მოგვითხროს, რა ზრახვები  
ტრიალებენ ჰაბუჟ გულში.  
ვინ მოგვითხრობს, რა სიზმრები  
ჰქონდა გულში ჰაჰაიტას.  
სალამოთი ნოკომისას  
მან უამბო ყველაფერი,  
როგორ შეხვდა თავის მამას  
და ებრძოლა მეჯეკივისს,  
მაგრამ სიტყვაეც არ წამოსცდა  
არც ისრებზე, არც იმ ქალზე.

---

## ჰადავატიის მარხვა

ქოჩივათით ახლა ამბავს  
თუ ვით ტყეში, უღრან ტყეში  
ჰადავატა მარხულობდა,  
ლოცულობდა და ითხოვდა:  
არა მტერზე გამარჯვებას,  
არა მარჯველ ნადირობას,  
არა სახელს და დიდებას,  
ის ითხოვდა ყოფილიყო  
ყველა ერთი ბედნიერი.

ღაიწყებდა სანაძ მარხვას,  
გაიშენა ტყეში ბინა,  
დიადი ზღვის ნათელ წყალთან;  
გაზაფხულის ციხკრის თვეში,  
და ფოთლების ნათელ თვეში  
გაიკეთა მან ვიგვამი.  
შემდეგ უცხო ოცნებებით,  
და ჩვენებით გარინდულმა  
გადიხადა შვიდეული.

მარხულობის პირველ დღესა  
გაიარა ჩემი ტვერი,  
შეხვდა კურდღელს და მის სოროს,  
შეგებნა ტყეში ირემს,  
ყურს უგდებდა ხობის კაკანს,  
ფულუროში ციყვის შრომას;  
დაინახა ფიჭვის ჩრდილში  
რომ ომიში ქსოვდა ბუნდეს,  
გაფრენილი ბატის გუნდი  
ჩრდილოეთის ქაობისკენ;  
დააყურა იმათ ძახილს  
და აღმოხთა შემდეგ სევდით:  
„შენ სიცოცხლის შემოქმედო,  
ნუთუ ჩვენი ბედ-იღბალი  
და ცხოვრების მოკლე დღენი  
ამათზეა დაყრდნობილი?“

შეორე დღეს მუსკოდზე  
ნაპირების ბილიკს გაჰყვია,  
იქ იპოვა მანომინი  
და მინაგა — მოციკის ბუჩქი,

მადამინი — მარწყვი, ხენდრო,  
მოცხარი და შაბომინი;  
ბიმაგუტი — ვაზის ლერწი  
რომ მიჰყვება ტოტებს კლაკენით  
სურნელების ტკბილის ფრქვევით.  
„გიტჩი-მანიტო, ძლიერო,  
უმიელო სევდით სავსემ  
დაიძახა ჰაჰაუტამ, —  
„ნუთუ ჩენი ბედ-იღბალი  
და ცხოვრების სწრაფი დღენი  
ამათზეა დაყრდნობილი“!

მესამე დღეს ღრმა ფიქრებში  
გართული და სევდით სავსე  
იჯდა ტბასთან, სადაც ტალღა  
გამქვირვალე მინას ჰგავდა.  
დაინახა: ნამა ხტოდა,  
მარგალიტის შხეფებს ჰყრიდა,  
ნავარდობდა მარდი ზუთხი  
და ფანტავდა ტალღის შხეფებს,  
მარგალიტის მარცლის მსგავსებს.  
დაინახა მასკენოზა,  
მდინარეში ოკაპაის,  
და შოგაში, ზღვების კიბო.  
„გიტჩი-მანიტო ძლიერო, —  
დაიძახა სევდით სავსემ —  
„ნუთუ ჩენი სიხარული  
და ცხოვრების სწრაფი დღენი  
ამათზეა დაყრდნობილი“.

მეოთხე დღეს სანამ ბინდი  
არ დაეცა არემარეს,  
ის ვიგვამში იჯდა მარტო  
ძილფხიზელი და ულონო.  
ეხვეოდა ფიქრის ნისლი,  
ოცნებათა მკრთალი ლანდი;  
ელვარებდა როგორც ოქრო,  
ნაკადულის შორი ტალღა;  
და ხანძარი წამოსული  
დასავლეთის მაღალ ციდან,  
ვღებოდა მთელ ქვეყანას.

და დაისის წითელ ბინდში  
როს ხანძარი სწევდა ზეცას,  
დაინახა ვიგვამისკენ  
მიმავალი ახალგაზრდა;  
თვალტანადი, კოხტა თავზე  
ათასნი ფერის ფრთებით,  
თმა ზუჭუჭი თმა ოქროსი,  
ტანსაცმელი ყვითელ-მწვანე.

ძარის ზღურბლთან შედგა მაშინ  
დიდხანს სევდით, თანაგრძნობით

უცქეროდა ჰაფეატას,  
ჰაფეატას გამხდარ სახეს.  
როგორც ოხვრა შეაონდაზის  
ულრან ტყეში, ისე ისმის:  
„ჰო, ჩემო ჰაფეატა!  
შეისმინა ზეცამ შენი  
ლოცვა, რადგან შენ ისურვე  
არა მტერზე გამარჯვება,  
არა მარჯვე ნადირ ობა,  
არც სახელი და დიდება,  
შენ ითხოვე ყოფილიყო  
წარმატებით ყველა ერი  
და დიადმა ქვეყნის სულმა  
გამოგზავნა მონდამინი —  
ადამიანთ მეგობარი.  
და ის გეტყვის: შრომით, ბრძოლით,  
მოთმინებით მოიპოვებ,  
რასაც ლოცვით მოითხოვდი.  
ადექ, მწვანე სარეცელი  
რბილი ფოთლის შიატოვე  
და მონდამინს შეებრძოლე“.

ლოცვით, მარხვით და ოცნებით  
დაქანცული ჰაფეატა,  
ძირს დაგებულ ფოთლებიდან  
წამოიჭრა მაშინათვე.  
და დაისის მიმქრალ შუქზე  
გამოვიდა ვათან იგი  
საბრძოლველად, საჭიდაოთ.  
და როგორც კი სტაცა ხელი,  
ისევე იგრძნო სიმხნე დიდი,  
და გაეცსო ისევე გული  
იმედებით, მტკიცე ძალით.

ტრიალებდნენ ერთად ველზე,  
ეხვეოდათ ოქროს სხივი  
შებინდების მაღალ ციდან,  
და თანდათან მატულობდა  
ჰაფეატას მკლავის ძალა.  
როს დაეშვა ღამის ბინდი  
და შუპ-შუპ-გამ კაობიდან  
სივედიანი ხმა გამოსცა  
შიმშილის და ტანჯვის კენესა.

მონდამინმა ჰაფეატას  
გაუღიმა, უთხრა: — „მოვრჩეთ,  
ხელისათვის მოემზადე  
ხელახალი გამოცდისთვის.“  
ეს თქვა, გაჰქრა მონდამინი;  
გადაიქცა იქნებ ღრუბლად,  
ან ვით ბინდი გაჰქრა ცაში,  
ვერ გაეგო ჰაფეატას;  
ნახა მხოლოდ რომ ეს გაჰქრა

და დაქანცა ქიდაობით;  
ხედავს ქვევით ლამის ნისლში  
ოდნავ მოჩანს ტბების სარკე  
და ზევით კი ვარსკვლავები.

ბმნაირად ორ სალამოს  
როცა ციდან ეშვებოდა  
დასავლეთის ზღვების წყალში  
მზე ვით დიდი ნაკვერცხალი,  
ატანილი ლაქვარდ ცაზე  
ქვეყნის მეფის კერიიდან, —  
მოდრიდა მონდამინი,  
გაჩნდებოდა ჩუმად, უხმოდ:  
ასე ჩნდება ველად ცვარი,  
ასე იღებს ცვარი სახეს,  
როცა ოდნავ შეეხება  
ხის ფოთლებს და მწვანე ბალახს,  
მაგრამ რჩება უხილავი  
გაჩენა და წასვლა მისი.

იქვე მოლზე მოქიდავით  
უცქეროდა ჰზე დაისის;  
როს ჩამოწვა ლამის ბინდი,  
და შუჰ-შუჰ-გამ ქაობიდან  
დაიძახა ისეთ ხმაზე,  
თითქოს ერთად აწუხებდა  
შიმშილი და სევდა მწარე,  
მონდამინი ფიქრს მიეცა,  
იდგა ძვირფას კაზმულოშით,  
ლამაზი და ტანად სარო;  
ქუდში უცხოდ კიაფობდა,  
ირხეოდა ქრელი ფრთები,  
მაღალ შუბლზე უბრწყინავდა  
ოფლის წვეთი, როგორც ცვარი.

და შეჰყვია: „ჰაჰაჰაჰა!  
გაბედულად შენ მებრძოლე,  
სამჯერ მედგრად დამეტაქე;  
და მპყრობელი სიცოცხლისა  
მოგანიქებს გამარჯვებას“.  
თან ღიმილით დაუმატა:  
„გათავდება ხვალ ეს ბრძოლა —  
ქიდაობა, შარხვა ძნელი;  
ხვალ უთუოდ მომერვევი;  
მომიმზადე სარეცელი,  
რომ უძრავად მწოლიარე  
გაზაფხულის წვიმის შხედმა  
გამაგრილოს და მზის სხივი,  
ტანს მითბობდეს სალამომდე,  
ტანსაცმელი ვვითელ-მწვანე,  
ჩემი ქუდი ქრელი ფრთისა,  
გაბედულად შემომგლიჯე,

შემდეგ დამფალ მიწაში და  
მიწა რბილი დამაყარე,  
და ჩემ ღრმა ძილს უდარაჯე,  
რომ არაეინ მომეკაროს,  
სარეველა ბალახებმა  
საფლავზე არ გადიარონ,  
რომ კავაგი — ეს ქილყავი  
არ ჯღებოდეს ჩემ საფლავზე.  
და ჩემ ღრმა ძილს უდარაჯე,  
მოუცადე გაღვიძებას,  
მზის სხივს სანამ შევეგებო.“  
ეს თქვა, გაჰქრა მონდამინი.

ზრძნობდა კარგად ჰაავეატა,  
რომ წაართვა ძილმა თვალი,  
როგორ სევდით დამღეროდა  
მელამურა, ვაგონგასა  
მიტოვებულ ტყეში ვიგვამს;  
ვაიგონა როგორ რბოდა,  
საუბრობდა ტყესთან ჩუმად  
სიბოვიშა მოლაქლაქე,  
ვაიგონა სუნთქვა ტოტის,  
მისი რხევა ქვევით მაღლა  
ქარის ფრთებზე ქანაობა;  
ყველაფერი ეს ესმოდა  
როგორც შორი შარი-შური  
ღრმად მძინარე ჰაავეატას.

მეშვიდე დღეს დილით აღრე  
შემოვიდა ნოკომისა,  
მოუტანა ჰაავეატას  
საკმელი და თან ატირდა,  
რომ შიმშილი მოჰკლავს, ალბათ,  
თუ არ კამა ჰაავეატამ.

არ მიიღო არაფერი,  
ტუჩი აღარ მიაკარა,  
მხოლოდ უთხრა: „ნოკომისა,  
მომიკადე საღამომდე,  
ჩამოწვება სანამ ბინდი  
და შუჰ-შუჰ-გა შემოსძახებს  
რომ დღე უკვე მიიწურა!“

შინ დაბრუნდა ნოკომისა  
ტირლით და შიშით დიდიდით,  
ეშინოდა რომ მოჰკლავდა  
ჰაავეატას მარხვა ძნელი.  
ის კი იჯდა სევდით სავსე  
და უცდიდა მონდამინსა.  
ხედავს დასავლეთის მხრიდან  
წამოვიდა ტყეზე, ველზე  
ჩრდილები და სხივი ნელა  
ჩამოეშვა ციდან ზღვაში,

ისე როგორც შემოდგომის  
ძირს ფოაოლი წყალში სცვივა,  
ჯერ ცურავს და მერმე ნელა  
იძირება, იკარგება.

მონღამინი მალე გაჩნდა, –  
დგას კარებთან და პაბუკი  
მას ღიმილით მიეგება;  
თავს უმშენებს მოფრიალე,  
მოელვარე კრელი ფრთები,  
თმები რბილი ოქროსფერი  
ტანსაცმელი ყვითელ-მწვანე.

მით მძინარე შეხვდა მოსულს,  
ადგა ტანჯვით სახე მკრთალი,  
მაგრამ ისევ გაბედულად  
დაეჟიდა მონღამინსა.

ბუკრელდა მებრძოლს თვალი,  
და შეერთდა მიწა და ცა,  
როგორც ნამა ებრძვის ბადეს,  
გააფთრებით ჰგლეჯს ფაცერებს  
რომ გაიშვას ისევ თავი;  
სწორედ ასე ჰააგავატას  
გული სცემდა, ფართხალეზდა;  
თითქოს ცეცხლის რგოლებია  
ისე ჩანდა ცის ტატანი,  
მოტრიალე მასთან ერთად;  
და მზეების დასთა დასი,  
უცქეროდა იმის ბრძოლას,  
და უეცრად ბრძოლის ველზე  
დარჩა მარტო ჰააგავატა.

ზააოცა ჰააგავატა  
ამ ველურმა შეტაკებამ,  
და ტოკავდა დაძაბული,  
ძირა ეყარა კრელი ფრთები,  
დაფლეთილი ტანსაცმელი,  
უსულო და უმოძრაო,  
ეგდო მის წინ მონღამინი,  
და მკედარს თავზე დასდგომოდა  
შებინდების ოქროს ზეცა.

ჰააგავატამ ბრძოლის შემდეგ  
მონღამინის ნაბრძანები,  
ყველა წესზე შეასრულა:  
ტანთ გახალა საჭურველი,  
დამტვრეული ფრთები მოხსნა;  
დამარხა და საფლავს მიწა  
მიაყარა, მოასწორა...  
და შუკ-შუკ-გამ—ლიბრმა ყანჩამ  
ჩაბნელებულ კაობებში,  
სევედიანი ხმა გამოსცა —

- გოდების და ტანჯვის კვენსა.

შინისაქენ, ნოკომისთან  
შემობრუნდა ჰააჟატა,  
სწორედ იმ დღეს მას ჰიდილის  
შვიდეული შეუსრულდა.  
დაიხსოვა ის ადგილი,  
სადაც ბრძოლა ჰქონდათ დიდი,  
არ დატოვა მოუვლელად  
მან სამარე მონდამინის,  
სადაც იწვა მშვიდათ იგი  
ხან წვიმის და ხან სხივის ქვეშ.

ღლიდან დღემდე დარაჯობდა  
იმ სამარეს ჰააჟატა,  
რომ ჰქონოდა კარგად მიწა,  
რომ მოესპო სარეველა;  
და დეენიდა სტეებით, ჩხუბით  
კაგავის და მის ამაღას.

ბოლოს გაჩნდა სამარეზე  
უცნაური რამე ყლორტი,  
კიდევ ერთი და მეორე.  
და ზაფხულის დამლევამდე,  
ოქროსფერი რბილი კავით  
მალაღი და მოხდენილი  
აქ სიმინდი აიშხვართა.  
და შესძახა ჰააჟატამ  
ალტაკებით: — „მონდამინი  
ადამიანთ მეგობარი —  
მონდამინი; მონდამინი“!

ხწრაფ მოიხმო ნოკომისა,  
დაუძახა მაგუსაც,  
და უამბო ბრძოლა დიდი,  
ჩვენება და გამარჯვება...  
ამოილო ტარი მწუანე  
ზეციური საჩუქარი —  
ეს საკვები ყველა ტომის.

შემდეგ გვიან შემოდგომით  
როს გაყვითლდა ჩალის ღერო,  
რომ გაყვითლდა და გამაგრდა  
ტაროებზე მარცვლის თვალი,  
ტაროები ჩამოტეხა,  
ხმელი გარსი მოაშორა,  
როგორც ერთხელ მონდამინსა  
ტანთ ვახადა ტანსაცმელი...  
და პირველად მან ზეიმი  
მონდამინის ვადიხადა,  
ყველამ ნახა ეს ახალი  
დიად სულის საჩუქარი.



## ჰამაჰატას მეგობრები

ჰამაჰატას ორი ჰყავდა  
გულითადი მეგობარი,  
ვინც მეგობრულ ერთგულებით  
სხვებისაგან ირჩეოდა,  
და ვისთანაც მისი გული  
იყო სევდა-სიხარულში:  
მუსიკოსი ჩამბაბაბოს  
და კვანდინდი მძლავრი გმირი.

მათ ვიგვამებს შორის ბილიკს  
ბალახიც კი ვერ წაშლიდა,  
ბოროტ ხმებს და ჟორიკანებს  
ამ გულითად მეგობრებში,  
არ შეეძლოთ დაეთესათ  
უნდობლობა, მტრობა, შური.  
მუდამ სამნი ბჭობდნენ ერთად,  
და შიშველი, ღია გულით  
სწყვეტდნენ, თუ ვით ემსახურონ  
ყველა ტომთა აყვავებას.

ჰამაჰატას საყვარელი  
მეგობარი ჩამბაბაბოს,  
მომღერალთა შორის ყველგან  
პირველი და არვის დარი,  
შემძლე იყო, ვით ვაჟკაცი,  
მაგრამ ნაზიც, როგორც ქალი,  
ტირიფივით ტანმოქნილი,  
მძლავრი — რქიან ირემივით.

ჩოს მღეროდა — ის მთელ სოფელს  
შემოკრებდა სასმენელად,  
ყველას, ქალებს და მეომრებს  
იზიდავდა თავისაკენ,  
და ხან სევდით, ხან კი ვნებით  
აღელვებდა იმათ სულებს.

ღერწმისაგან გააკეთა  
მან ისეთი საღამური,  
რომ ყოველთვის მის ტკბილ ხმაზე  
ტყის ჩიტები სწყვეტდნენ მღერას,  
ნაკადული, სიბოვიშა,  
სწყვეტდა თავის ჩხრიალს ტყეში,

ალარ ხტოდა მუხის შტოზე  
ცილქი ციყვი, აჯიდომო,  
და ვაბასსო, ტყის კურდღელი  
წამომჯღარი იყო სმენად.

ზაირინდა სიბოვიშა  
და შესძახა: „ჩაბაბაბოს!  
შემასწავლე ამ ჩემ ტალღებს  
მდინარება ნაზი ეღერიო!“

შურით სავესე ოეეასამ  
ჩამოსძახა: „ჩაბაბაბოს!  
შემაჩვიე მეც მავ ბგერებს,  
შეშლილსა და ველურ მღერას!“

და ოპეიცი მხიარული  
უძახოდა: „ჩაბაბაბოს.  
დამასწავლე მეც სიმღერა  
ნაზი, ტკბილი, მხიარული!“

მელამურა ვაფონეასა  
ჭვითინებდა: „ჩაბაბაბოს!  
შემაჩვიე მეც მწუხარე,  
და სეველიან სიმღერებსა!“

მთელ ბუნებას სურდა მისგან  
გადაელო ხმების სიტკბო,  
ყველა გულებს ანაზებდა,  
სიმღერების მისის ძალი,  
რადგან იგი უმღეროდა  
მშვიდობას და ლალად ყოფნას,  
სილამაზეს და სიყვარულს,  
სიკვდილსა და უკვდავებას,  
შორს, პონიშას საშეფოში,  
კურთხეულთა კუნძულებზე.

და ის იყო ჰააფატას  
უკეთესი მეგობარი,  
მომღერალთა შორის ყველგან  
პირველი და არვის დარი;  
და უყვარდა ჰააფატას  
სიმღერები და სიქველე.

მას კვაზინდიც, მძლავრი გმირი,  
ჰყავდა ძვირფას მეგობარად,  
უმძლავრესი მოკვდავთ შორის,  
გულწრფელი და გულუბრყვილო,  
და უყვარდა ჰააფატას  
მისი ძალი და სიკეთე.

მს კვაზინდი ბავშვობისას  
დინჯი იყო, უზრუნველი,

სხვა ბავშვებთან არ უყვარდა  
არც თამაში და არც ყოფნა.  
ნადირობა, თევზაობა  
არ უყვარდა სხვების მსგავსად,  
მაგრამ მუდამ მარხულობდა  
და თავის ღმერთს სთხოვდა შველას,  
და ვედრებას უგზავნიდა  
მუდამ თავის მთარგველ სულებს.

„ქვაზინდ!“ — ერთხელ უთხრა დედამ,  
შენ არასდროს მე არ მშველი!  
ზაფხულობით დაწანწალებ,  
ტყეებში და მინდორ-ველად, —  
ზამთარში კი სახლში ზიხარ  
ცეცხლის პირად მოკრუნჩხული.  
ზამთრის სუსხში სათევზაოდ  
მე მივდივარ, ვამტვრევ ყინულს, —  
შენ ამასაც კი არ მშველი! —  
კართან გდია ჩემი ბადე,  
დასველდა და იყინება,  
გაინძერი, მენადიზნი,  
გასწურე და მზეში დასდე!“

ზანტად ადგა, თუმც უსიტყვოდ,  
მიატოვა ცეცხლის პირი.  
გამოვიდა ვიგვამიდან  
წამოავლო ბაღეს ხელი,  
და გაყინულს ხელი მაგრად  
მოუქიროა, ვით ბზის კონას,  
და ადვილად, ვით ბზის კონა,  
დაამსხვრია დიდი ბადე.  
მის მძლავრ თითებს არც შეეძლოთ  
უფრო ნაზად გაეწურათ.

„ქვაზინდ!“ — უთხრა ერთხელ მამამ:  
ნადირობას შენ არ მშველი.  
ვერც მშვილდი და ვერც ისარი  
შენ ვერ გიძლებს, ამტვრევ მუდამ.  
წამომყვიი ჩემი დაველა  
ტყიდან სახლში მაინც ზიდე!“

ხეობაში გააჰყენენ ბილიკს,  
ნაკალულის მიჰყენენ დენას,  
სადაც ირმის და ბიზონის  
ჩანდა შლამზე ნაკველევი,  
სანამ ზღუდეს არ წააწყდენ,  
ნახეს: ხეებს წამოქცეულს,  
გარდიგარდმო გადმოყრილებს,  
გზა შეეკრათ გასაველელი.

„უკლეიქეთო!“ — თქვა მოხუცმა:  
ამ ძელებზე რა გაგვიყვანს,

აქ ვირთხაც კი ვერ გაძვრება,  
აქ ვერც ციყვი გადახტება!“  
და მაშინვე ამოიღო  
ჩიბუხი და იქვე ჩაჯდა;  
მაგრამ მისი დამთავრებაც,  
ვერ მოასწრო და შეხედა,  
რომ ბილიკი ხეებისგან  
გაწმენდილი იყო უკვე.  
თურმე კვაზინდს ორთავ ხელით,  
მარჯვენითა და მარცხენით,  
ისრებივით უსროლია  
ფიქვისა და ნაძვის ხენი.

„კვაზინდ!“ — უთხრეს კაბუკებმა  
ერთხელ მინდვრად თამაშისას: —  
რას გვიყურებ დაუღვევრად,  
მიყრდნობილი მაგ დიდ ლოდზე?  
მოდო, ერთად ვიქიდავოთ,  
და შურდულით ვტყორცნოთ ქვანი!“

პრაფერი უპასუხა  
მათ კვაზინდმა თურმე მაშინ,  
მხოლოდ ნელა მოტრიალდა  
და მოავლო იმ ლოდს ხელი,  
ამოგლიჯა ძირიანად,  
მოიქნია მძლავრად ერთი,  
და გასტყორცნა მდინარეში,  
გადააგდო პოვეტინში,  
და მას მუდამ ზაფხულობით  
გამოაჩენს ხოლმე წყალი.

მართელ თურმე მდინარეში,  
აქაფებულ პოვეტინში,  
მისცურავდა მხიარულად  
მეგობრებთან ერთად იგი,  
და უეცრად თვალი მოჰკრა  
წყალში ამიკს, წავის მეფეს,  
ძლიერ ტალღებს რომ ებრძოდა  
ხან ჩაძირვით და ხან ცურვით.

ფიქრის უმაღლესად  
აქაფებულ წყალში იგი,  
ჩაიყლაბა მდინარეში;  
მორევებით დაედევნა  
შიგ მიმალულ წავის მეფეს,  
და იქ ისე დიდხანს დარჩა,  
რომ შეზინდენ მეგობრები,  
დაიგმინეს: „ველარ ენახავთ  
ჩვენს დალუბულს მოამეს კვაზინდს“.  
მაგრამ მალე გამოსცურდა  
საზეიმო სახით იგი,  
და ბრწყინვალე მხრებზე მკვდარი  
ეგლო წავთა დიდი მეფე.

და ეს ორი ჰყავდა მუღამ  
ჰაჯაეტას მეგობარი;  
მომღერალი ჩაბაბაბოს  
და კვაზინდი, შილაერი გმირი;  
მუღამ სამი ბქობდენ ერთად  
და შიშველი, ღია გულით,  
სწვეეტდნენ, თუ ვით ემსახურონ  
ყველა ტომთა აყვავებას.

---

## ჰადავატას ნაწი

ქრშის ხეო, მომეც ქერქი!  
ყვითელი და ხმელი ქერქი;  
არყის ხეო, ველზე მდგომო,  
ამართულო ნაკადულთან.  
ქერქისაგან შევკრავ ნავსა,  
მსუბუქ ჩიმონს გაეკეთებ;  
წყალში ისე შეცურდება,  
ვით ფოთოლი შემოდგომის,  
ყვითელი და გადამქანარი  
და ყვითელი ტბის ზამბახი.  
არყის ხეო, მოიხსენი  
ეს ნაბადი თეთრი ტყავის:  
ხომ ზაფხული მოვა მალე,  
და მზე ციდან დაგწვავს სხიყით,  
რალად გინდა ეგ ნაბადი“.

და მქუხარე ტოკამინთან,  
და უსიერ ტყეოა ტევრში,  
ეს წამოთქვა ჰააფატამ,  
როცა ყველა ფრინველები,  
კიკიკიკობდნენ და უმღერდნენ  
ფოთლის თვეს, და მზე ამდგარი  
იძახოდა: „მე ვარ გიზის,  
ვარ გიზის—მე მზე დიდი“.

ფესვებამდე აცახცახდა  
არყის ხეზე ყველა ტოტი,  
და მორჩილი ოხერით უთხრა:  
„ჰა, ნაბადი ჰააფატა“.

ტოტებს ქვევით, ფესვებს ზევით,  
ხის ტანს დანა შემოავლო,  
შემოსერა ჰააფატამ,  
ჩამოღინდა ხეზე წვენი;  
მერე ქერქი კენწეროდან  
ფესვებამდე გასჭრა დანით,  
აუწვია პირი სოლით,  
მოაცილა ფრთხილად ქერქი.

„ო, კედარო, მომეც შტონი,  
ტოტი მტკიცე და ღრეკალი,

მომესმარე გავაკეთო  
ნაფი მტკიცე და მაგარი“.

ღა კენწერო კედარისა  
შეშფოთებით შეშრილდა,  
ატყდა კენესა, ბრძოლა დიდი;  
მაგრამ მალე თქვა მორჩილად:  
„აჰა, შტონი ჰაავეატა“.

როცა მოსჭრა შტონი კედარს,  
ტოტებიდან შეკრა ჩარჩო,  
და მოღუნა როგორც მშვილდი:  
შეკრა როგორც ორი მშვილდი.

„მომეც ფესვი ო, ტემრეკო,  
ბოკკოვანი ძირი მომეც,  
შევეკრავ ფესვით ჩემ მსუბუქ ნავს,  
ისე შევეკრავ ამ ფესვებით,  
რომ წყალი ვერ შემეპაროს  
ვერ გაეჟონოს წყალმა ნავში.“

ძენწეროდან ფესვებამდე  
აკანკალდა ხე—ტემრეკი,  
მაგრამ მალე მძიმე ოხვრით  
წასჩურჩულა სევდიანმა:  
„ყველა გქონდეს ჰაავეატა“.

ამოთხარა მან ძირები  
ამოაძრო ბოკკო ფესვებს,  
და შეპკერა მკვიდროდ ქერქი  
და მოარგო მკვიდროდ ჩარჩო.

„მომეც ნაძვი, ფისი შენი,  
მომეც ფისი, წვენი შენი,  
ნაწიბურებს ნავში შევეკრავ,  
გამოვეტენი კარგად ფისით,  
რომ შიგ წყალი არ შევიდეს  
არ გაეჟონოს წყალმა ნავში“.

როგორც ქეიშა წყლის ნაპირზე  
აშრილდა ისე ნაძვი.  
თავის შავი მორთულობით.  
უპასუხა ნაძვმა კენესით,  
უპასუხა თვალზე ცრემლით:  
„აჰა ფისი ჰაავეატა“.

შეაგროვა ნაძვის ცრემლი,  
და აიღო ნელა ფისი.  
ნავის ყველა ნაწიბური  
გამოტენა კარგად ფისით  
და დაუზმო ტალღებს კარი.

მგ ეკლები მომეც, ზღარბო,  
მომეც, ო კაგპ, შენი ნემსი,

ჩემი ტურფა ნავის ყელსა  
დავამშვენებ ფერად მძივით  
დავამშვენებ ვარსკვლავითა“.

ფულუროდან ჰააჟაეტას  
გამოხედა ზანტად ზღარბმა;  
ვით ისრები მოელვარე,  
ფულუროდან მან ეკლები  
გამოსტყორცნა, გადმოყარა,  
და ზუზუნით უთხრა ასე:  
„ჰა, ეკლები, ჰააჟაეტა.“

მს ეკლები მან აკრიფა  
ისრებივით როელვარე;  
და შეღება წითლად, ყვითლად,  
ლურჯად, მწვანედ ეს ნემსები,  
მარცვლეულის ფერად წვენიო.  
შემდეგ მორთო უცხოთ ნავი:  
გაუკეთა კრელი ღვედი,  
და ძვირფასი ყელსაბამი,  
და ვარსკვლავი ორი მკერდზე.

ააშენა ასე ნავი  
მდინარესთან მინდვრის პირად  
და დაბურულ უღრან ტევრში;  
ამ ტყეების მთლად სიციოხლე  
საიდუმლო ყველა მისი  
ხის ტოტების დრეკადობა,  
და კედარის ძლიერება,  
და სიმჩატე არყის ხისა  
ჩააქსოვა კაცმა ნაეში.  
ნავი წყალზე ირხეოდა,  
ვით ფოთოლი შემოდგომის  
და ყვითელი ტყის ზამბახი.

არ გააჩნდა ნავს ნიჩაბი,  
ნიჩაბი არ სკიბდებოდა,  
ნიჩაბად ჰქონდა ამ ნავს აზრი,  
ნებისყოფა ჰქონდა საკედ;  
გაუსწრებდა თუკინდ ქარსაც  
და ყველა გზა ჰქონდა ხსნილი.

როცა მორჩა ნავზე შრომას  
დაუძახა ნერე კვაზინდს:  
„მომეზმარე მეგობარო,  
რომ მდინარის კალაპოტებს  
მოვაცილოთ ხერგი, ლეკი“.

და კვაზინდი ჩაბტა წყალში,  
როგორც წავი გადავარდა,  
და თახვივით იწყო ყვინთვა.  
ხან წვდებოდა წყალი წელზე,  
ხან უწევდა ნიკაპამდე,



შიროდა და ყვინთაობდა,  
ჰყრიდა ზევით ხერგს და ჯირკებს  
და პეშვებით ქვიშას სველსა  
ფეხებით კი ლექს და ბალახს.

ზადაცურა ჰააიატამ,  
ტაკვამინოს ზვირთებს გააყვა  
და ნაკვალევს მეგობრისას,  
გადღუარა მორევს, ჩქერებს  
ნატბორეებს, ლექს და რიყეს.

და გასცურეს ზევით, ქვევით,  
ყველგან იყვნენ, ამოჰყარეს  
ფესვები და ჯირკნი წყლიდან,  
ქვიშა, რიყე დანალექი  
სულ გაწმინდეს წყალზე გზები  
პირდაპირი, უშიშარი:  
სათავიდან შეროჟულამდე,  
პოვეტინის მდინარემდე  
ტაკვამინოს წყლის ყურემდე.



•

✓

## ჰადავათას თევზაობა

ქოილმარა, გიტჩი-გუმში,  
ღიაღი ზღვის ნათელ წყალში,  
ხელში გრძელი სამქედურით,  
ნაძვის ქერქის გრძელი ბაწრით  
თევზთა მეფის, დიდი ზუთხის,  
მიშე-ნამას დასაქერად,  
არყის ხისგან შეკრულ ნავით  
მისცურავდა ჰადავათა.

ზამპვირვალე წმინდა წყალში  
უყურებდა მცურავ თევზებს  
ძირს, სიღრმეში, ნავის ქვევით;  
მზის შუქივით მოთამაშე  
იქ ქორქილა ჩანდა, სავა,  
და შოგამი, კიბორჩხალი,  
ვით ობობა შლიდა ფეხებს  
ქვიშიან და სპეტაკ ფსკერზე.

თავთან იჯდა ჰადავათა,  
ხელში ნაძვის სამქედურით;  
დილის სიო თამაშობდა  
თმებზე ლალად გაშლილ ფრთებში,  
ვით მატუქის წვრილ ტოტებში.  
იქვე გვერდით კობთა კუდით  
იჯდა ციყვი, აჯიღომო,  
მის ბეწვებში ლალად სიო  
თამაშობდა, დილის სიო,  
როგორც მინდვრის ბალახებში.

ძირს კი ფსკერის თეთრ ქვიშაზე  
ურჩხულივით იწვა ნამა,  
მიშე-ნამა, თევზთა მეფე;  
ლაყურებით სვამდა ჰაერს,  
მთვლემარე ფრთებს ოდნავ სძრავდა,  
მძლავრი კუდით ჰგვიდა ქვიშას.

იარაღით შეკაზმული  
თეთრ ქვიშაზე იწვა იგი,  
ყოველ მხარეს ჰქონდა ფარი,  
ძვლები ფარი ეღო შუბლზეც,  
საიმიღო საქურველი;

საომარი ფერადებით  
წითლად, ყვითლად, ლაქვარდფერად  
მორთულციკო ის მხედრულად,  
ქვიშის ფსკერზე იწვა იგი  
მეწიამულ ფრთებს ოდნავ სძრავდა,  
როცა ზევით ჰააგავატამ  
მოაცურა თავის ნავი  
ხელში ნაძვის სამკედღურით.

„აჰა, საზრდო,--ჰააგავატამ  
ძირს სიღრმეში ჩამოსძახა:  
აჰა, საზრდო, მიშე-ნამა,  
ამოცურდი ზევით წყლიდან,  
შევეჯიბროთ ჩვენ ერთმანეთს“.  
და ჩაუშვა სამკედღური  
გამჭვირვალე წმინდა წყალში  
და ამაოდ პასუხისთვის  
მოლოდინში იჯდა დიდხანს,  
და უძახდა უფრო მალა:  
„აჰა, საზრდო, თეგზთა მეფევე“!

მიშე-ნამა იწვა მშვიდად;  
მოვლემარე ფრთებს ოდნავს სძრავდა,  
შეჭყურებდა ჰააგავატას  
და ისმენდა იმის ძახილს,  
იმის ზედმეტ ხმაურობას,  
მაგრამ ბოლოს მოეწყინა  
და უბრძანა მან კენოზას,  
ქარყლაპიას, მასკენოზას:  
„გამოსტაცე საზრდო თავხედს,  
დაუღეწე სამკედღური“!

ჰააგავატას ხელში უცებ  
-მოელუნა სამკედღური,  
და მოსწია მან თავისკენ  
ისე სწრაფად, ისე მძლავრად  
რომ ხის ნავი ყალბზე დადგა,  
ნავი უცებ დადგა წყალზე  
ვით არყის ხე, კენწეროში  
მოთამაშე ცელქი ციყვით.  
მაგრამ როცა ჰააგავატამ  
დაინახა ზღვის სიღრმიდან  
ახლოვდება ქარყლაპია,  
უსირცხვილო მასკენოზა,  
გაბრაზებით ჩამოსძახა:  
„იზა, იზა! შეგრცხვეს, თეგზო.  
შენ ხარ მხოლოდ ქარყლაპია,  
უსირცხვილო მასკენოზა.  
მე კი ნამას ვუძახხოდი!“

ღარცხვენილი მასკენოზა  
დაუბრუნდა ისევე სიღრმეს,  
და ძლიერი მიშე-ნამა





კვლავ უგუდღოვს მიუბრუნდა,  
მოუხეშავ მთვარე-თევზას:  
„გამოსტაცე საზრდო თავხედს,  
დაუღეწე სამჳედღური!“

ძანაობით ადგა ნელა  
უგუდღოში, მთვარე-თევზა,  
და ჩაველო ანკესს კბილი  
ჩამოსწია მთელი ძალით,  
დატრიალდა მასთან ერთად  
ისე სწრაფად, ისე მძლავრად,  
რომ ხის ნაეიკ წყლის მორევში  
დატრიალდა, დაბზრიალდა,  
სრიალეზდენ სალტეები  
აწყდებოდენ ზღვის ნაპირებს,  
და შორიდან თავს იქნევენ  
საუდა და ტბის ლერწამი.

შაგრამ როცა ჰაავატამ  
დაინახა, ზღვის სიღრმიდან  
ახლოვდება მთვარე-თევზა,  
მძიმე, ნელი უგუდღოში,  
ჩამოსძახა ძირს დაცინვით:  
„იზა, იზა! შეგაცხვეს, თევზო.  
შენ ხან ბრავეი მთვარე-თევზა,  
უსირცხვილო უგუდღოში.  
მე კი ნამას ვუძახოდი!“

ძანაობით, ნელა, ბრწყინვით  
ძირს დაბრუნდა მთვარე-თევზა  
და ისევე მიშე-ნამამ  
გაიგონა ჰაავატას  
გამომწვევი შეძახილი,  
მთელ დიდ ზღვაზე გაფანტული  
თავხედური ხმაურობა.

შაშინ უკვე გაჯავრებით  
წამოვარდა მიშე-ნამა,  
აცახცახდა მთელი ტანით,  
აეღარუნდა საჭურველიც,  
საომარმა ფერადებმა  
ზღვის სიღრმიდან იწყეს ბრწყინვა,  
ამოვარდა ზედაპირზე,  
მზის ნათელში გაიღვავა,  
და ხახაში ჩაუძახა  
ჰაავატას თავის ნავით.

ჩოგორც ძელი შავ ჩანჩქერში,  
ჩაიყლაბა მისი ნავი,  
ჩოგორც ღრუში ან დარანში  
ჩაიყლაბა ჰაავატა,  
სიბნელეში გადავარდა,  
მაგრამ უცებ ულოდნელად

ხელში მოხვდა ნამას გული,  
იგრძნო დიდი გულისცემა.

ღა ჩასკიდა მრისხანებით  
მან თევზის გულს მაგრად ხელი,  
მოუჭირა ისე მძლავრად,  
რომ ძლიერი მიწე-ნამა  
აკანკალდა მთელი ტანით,  
აფართხალდა და შეხფებით  
ააღლევა წმინდა წყალი,  
ბოლოს დაცხრა, დაიღალა  
ვერ გაუძლო გულის ტკივილს.

ზარდი-გარდმო გასდო მაშინ  
ჰაავეატამ თავის ნაფი,  
რომ ამ განგაშს და ღრიანტელს  
ის გარედ არ გადმოეგდო,  
და ზღვაში არ დაეღუპა.  
იქვე (იქვე, აჯიღომო,  
დაიტრია და ბანსობდა,  
და შეელოდა მხიარულად  
ჰაავეატას მძიმე საქმეს.

ჰაავეატამ უთხრა იმას:  
„ო, პატარა მეგობარო.  
შენ ყოჩაღად მომეხმარე;  
მაშ მიიღე მეგობრულად  
შენ მადლობა ჩემგან დიდი,  
და სახელად სამუღამოდ  
შენ გეწოდოს აჯიღომო,  
და ბავშვებმაც ამიერთ  
დაგიძახონ ეგ სახელი“.

ღა ხელახლად აფართხალდა,  
აცახცახდა მიწე-ნამა,  
მერე შესდგა—და ტალღებმა  
ნაპირისკენ გაიტანეს;  
და როდესაც ჰაავეატამ  
გაიგონა, იგრძნო ქვიშა,  
მიხვდა მაშინ რომ თევზების  
მკვდარი მეფე უმოძრაოდ  
იღო დიად ზღვის ნაპირზე.

მაგრამ უცებ შემოესმა  
ფრთების ცემა და ფარფუტი,  
ჩხავილმა და რალაც ხმებმა  
მთლად გაავსეს ზღვის მიდამო,  
შეამჩნია შხის სინათლევ  
მიწე-ნამას ნიქნებს შორის  
და მუვირალა მეთოვლივებს,  
მან კაიოშკს მოჰკრა თვალი,  
ზევიდან რომ დასცქეროდენ  
მოელვარე მკრელი თვალით,

და ერთმანეთს უძახოდენ:  
„ჩვენი ძმაა, ჰააჰაჰა“!

ჰააჰაჰატამ ალტაცებით  
მოუწოდა ჯურღმულიდან:  
-ო, კაიოშკ, ჩემო ძმებო!  
მე მოეკალი მიშე-ნამა,—  
მაშ მიშველეთ, რომ ამ ბნელი  
ტყეობიდან გამოვიდე,  
ბრჭყალებით და ნისკარტებით  
ამოთხარეთ გასავალი,  
და ამისთვის ხალხი ყველას -  
ამიერიტ სამუღამოდ  
თქვენ კაიოშკს დაგიძახებთ“!

და ხმაურით, ველურ გუნდათ  
ფრინველები ნამას ნეკნებს,  
ნისკარტებით და ბრჭყალებით  
დაემგერენ დასაბღღენელად,  
და დამლუბებელ ტყეობიდან,  
სიკვდილისგან ნამას კუქში  
წყლის საშიში სამარისგან  
იხსნეს ჩემი ჰააჰაჰაჰა.

ის ვიგვამის ახლოს იდგა,  
შემღვარიყო წყლის ნაპირას  
და ეძახდა ნოკომისას  
ნოკომისას თავს უქნევდა,  
აჩვენებდა მიშე-ნამას,  
ზღვის ქვიშაზე დაგდებული  
ულმერთოდ რომ დაეწეწათ  
გაუმაძღარ მეთოვლიებს.

მე მოეკალი მიშე-ნამა!  
უძახოდა: დაგმარცხე!  
ხელად, კეთილ მეთოვლიებს  
ხელში როგორ ჩაუგდიათ!  
არ დააფრთხო, ნოკომისავ,  
ჩემი კარგი მეგობრები,  
მათ მე მიხსნეს სიკვდილისგან  
მიშე-ნამას საშიშ კუქში,  
შეიცადე მზის ჩასვლამდე,  
მათ ნადიმი დაასრულონ,  
ამოიესონ ჩინჩახვები  
და როდესაც გადაფრინდნენ  
ბუდეებში, ქაობისკენ,  
მოიტანე ქვაბ-ქოთანი.  
მოაგროვე ზამთრის ქონი“.

ნოკომისას მზის ჩასვლამდე  
იქ მოუხდა, ზღვისთან ყოფნა.  
და როდესაც მკრთალი მთვარე  
ამოვიდა მდღემარ ზღვაზე,



მაშინ მაძლარ მეთოვლიებს  
მოაგონდათ ბუდეები  
კუნძულებზე, ლერწმებს შორის;  
აიშალნენ ხმაურობით  
და ჩამავალ მზის ნათელში  
დიღხანს ჩანდნენ მათი ფრთები.

ჭაფავატამ ჩაიძინა;  
მაგრამ მოხუც ნოკომისას  
არ ეძინა მთელი ღამე,  
მუშაობდა მთვარის სხივზე  
და კაკაჩი ღამის შუქში,  
სანამ მზემ ის არ შეცვალა,  
გააწითლა ცის ტატნობი,  
სანამ ისევ დაუბრუნდა  
კაიოშკის გუნდი ნადიმს,  
შორეული კუნძულიდან  
დილის ნადიმს დაუბრუნდა.

სამი დღე და სამი ღამე  
ფრინველები, ნოკომისა,  
ორნივე გულით მუშაობდნენ;  
ამოაძრეს ნამას ქონი;  
სანამ შიშველ ნეკნებს შორის  
ზღვის ზვიროთებმა იწყეს ცემა,  
და წულის ნაპირს დაუტოვეს  
მიშე-ნამას ჩონჩხი მხოლოდ.

## ჰადავატა და მარგალიტის მთა

**ტიტნი-ვაჟის** ნაპირებზე  
დიდი ზღვების ბროლის წყალთან,  
ნოკომისა თმაქალარა  
გამოვიდა, გულმოსული  
ხელს აშვერდა დასავლისკენ.  
იმ მხარისკენ, სადაც ღრუბელს  
მოსდებოდა ძოწის ფერი.

რისხვით მზე გზას იკაფავდა  
ეშვებოდა ზღვაში მზე და  
ცეცხლს უნთებდა ღრუბლებს ძალა;  
ბელადები ბრძოლის შემდეგ  
ველზე სწევან ბალახს ასე  
თუ მტერს ზურგი დანახვის,  
და მთოვარე, ეს ღამის მზე,  
ამოვიდა საფარიდან,  
მზეს გაქცეულს დაედევნა,  
მიჰყვებოდა კვალს სისხლიანს  
განათებულს მწუხრის ხანძრით.

ნოკომისას სუსტი ხელი  
გაეშვირა დაისისკინ  
და ეტყოდა ჰადავატას:  
„მეჯისოგონ — ჯადოქარი  
და სიმდიდრის ავი სული,  
ვისაც ყველა ტომის ენით  
მარგალიტის ფრთა ეწოდა,  
იქ ცხოვრობს და... იქ ტბებია  
ფისის შავი ტალღებითა,  
ატყორცნილი ღრუბლებამდე,  
იქ საშინელი ნაპრალეებში  
იკლანება ელავს ცეცხლით  
კინებიკის, გველთა ხროვა,  
მეჯისოგონს რომ არტყიან  
მცველებად და ფარეშებად.“

მერაგულად მოჰკლა იმან  
როს მთვარიდან ჩამოვარდა  
და მიწაზე დღე და ღამე  
დაეძებდა მამაჩემი.

ეს ბოროტი მეჯისოგეონ  
სნეულეზას აჩენს ქვეყნად,  
ის გვიგზავნის ციებზასა  
ქაობიდან სუნთქავს ნისლით,  
და ნესტიან დაბლობების  
აორთქლებით წამლავს ჰაერს.

ხელთ აიღე, ჰააავატა,  
შენი შეილდი და ისრები  
წვეტიანი, მოელვარი,  
პოგავოგონ, მძიმე გურზი,  
და თათმანი — შინჯიკეგონ,  
და ნავს მჩატეს არყის ხისას  
გაუქონე თხელი გვერდი,  
მიშე-ნამის ყვითელ ქონით,  
რომ აღვილად შენმა ნავმა  
გადაცუროს ქაობები;  
მიდი მოჰკალ ჯადოჰარი —  
ამოიგე მამის სისხლი,  
ნოკომისას მტერი მოჰკალ  
და დასაჯე ხალხის მტერი“!

სწრაფად ქველი ჰააავატა  
შორი გზისთვის გაემზადა;  
მჩატე ნავი ჩადგა წყალში  
შემოჰხვია ნაზად ხელი:  
„იქით გასწი, ჩემო ნავო,  
საიმედო მეგობარო,  
სადაც ვნახავთ ცეცხლის გველეშს  
ფისის შავ ტბებს ვნახავთ სადაც“.

ზაჰკროლა მჩატე ნავი  
და გულადი ჰააავატა  
იმღეროდა ლაშქრულ ლექსებს;  
ცაში კინაჟუ — ომი ჩანდა  
ეს არწივი მონავარდე,  
ძლიერი და ფრთებგამლილი,  
და ბელადი ფრთოსანთ ჯიშის  
გაჰკიოდა ველურ ხმაზე  
და ირაოთ ფრენდა მაღლა.

ზაწოლილნი ქაობებში,  
დაინახა მალე გველნი,  
ვებერთელა ჭრელი გველნი  
რომ ელავდენ მდინარეში;  
გზაზე ტანით ქსოვდენ რგოლებს  
და შხამავდენ ირგვლივ ჰაერს  
ცეცხლოვანი ამოსუნთქვით,  
რომ არავის შესძლებოდა  
მათ ბატონთან აზლოს მისვლა.

უშიშარმა ჰააავატამ  
მაღალი ხმით ასე უთხრა:

„გზა მიეცი, ო კინებო,  
გზა მიეცი ჰააგატას!“  
აიშალნენ და მრისხანედ  
უპასუხეს ჰააგატას  
სისინით და ცეცხლის ფრქვევით:  
„უკუ იქა; შოგოდაა.  
ნოკომისას დაუბრუნდი!“

და აინთო ჰააგატა;  
მოიმარჯვა თავის მშვილდი  
და ისრები წვეტიანი  
დაუშინა, უზოგველად  
ელეტდა წყალში გველთა ხროვას,  
მშვილდის ლამზის დაძვრება  
დაძაბულის მაგარ მშვილდით  
სასიკვილო იყო კენესა;  
და ისარის ჩქარი სტეენა  
სიკვილის და ძლევის მღერა.

მძიმეთ სისხლით ნაღებ წყალში  
ტორტმანობდა გველთა ხროვა,  
დახოცილი, გაფანტული.  
ჰააგატა გამარჯვებით  
მისცურავდა და მღეროდა:  
„გასწი ჩემო მჩატე, ნავო  
შავი ფისის ტბებისაკენ!“

ნავს რომ უფრო სწრაფად ტბები  
გადელახა, გაუცურა  
გაუქონა ნავს ფერდები  
მიშე-ნამას ყვითელ ქონით,  
და მარტოკა სანამ სხივი  
მოხედებოდა ცის კამარას,  
მისცურავდა ამ მკვლარ ზღვაში,  
რომლის შავი ზედა პირი  
დამბალ ფოთლის და ზამბახის  
ქერქით იყო დაფარული;  
უსიციკებლოდ და ნრისხანედ  
ელვარებდა მის წინ წყალი  
მთვარის სხივით მოხაზული.  
ციმციმებდა ცეცხლი წყალზე  
დანთებული ბნელ ღამეში,  
მიცვალბებულ სულთა ხელით.

და მღუმარე არე-მარე  
მთვარის სხივით იყო სავსე;  
და ეყარა კაობებზე  
ლამის ჩრდილის ნაოქები;  
მწერები კი ჰააგატას  
უმღეროდნენ ბროლის პანგებს;  
ციცინათლებს ფერხულები  
გაემართათ ბნელ ღამეში:  
სურდათ რომ გზა აბნეოდა

ჰააავატას უღრან ტყეში,  
სქელი წყლიდან მღვრიე თვალით  
მას დაჰინდამ შემოხედა,  
მიატქერდა მსუბუქ ნავსა,  
აქვითინდა, გაჰქრა მერმე;  
მყისვე ირგვლივ არე-მარე  
ახმაურდა ასგზის სტვენით,  
და შუჰ-შუჰ-გამ შორეული  
ლერწმებიან ნაპირიდან  
ანცნო ყველას კივილითა  
მობრძანება დიდი გმირის.

ასეთი გზით ჰააავატა,  
ასეთი გზით დასავლეთით  
მიტურაედა მთელი ლამე,  
სანამ მკრთალი საესე მთვარე  
არ მოსცილდა ლაჟვარდ ზეცას.  
როს ჰაერი მზემ ვაათფო,  
და სხივებმა ღასწვეს მზრები,  
დაინახა მის წინ ბორცვზე  
მარგალიტის იდგა ქოხი —  
მეჯისოგვონს ედგა ბინა.

ძელაჲ მიმართა თავის ნავსა,  
უთხრა: „გასწი“ — და სიმარდით,  
გამარჯვებით დიდებულად  
გასრიოლდა ყვავილთ შორის,  
წყლის ნაპირის სოუღაზე  
ზამბახებზე და ლერწმებზე  
გაღიარა ჰააავატამ,  
და ნაპირზე ისე შესდგა  
რომ ფეხიც არ დაისველა.

და მშვილდს ნაცადს სტაცა ხელი  
დამაგრა ქვიშაზე და  
მიამჯინა მშვილდზე მუხლი,  
მოხიდა და სარჩა მსტვენი  
მარგალიტის სტყორცნა ვიგვამს;  
და ეს იყო მოციქული  
საბრძოლველად გამოწვევა:  
„ჰა, გამოდი მეჯისოგვონ,  
აქ მოგელის ჰააავატა“.

სწრაფ გამოჩნდა მეჯისოგვონ  
მარგალიტის ვიგვამიდან;  
გამოვიდა მხნი, ძლიერი  
მხარგრძელი, და ტანად სარო,  
მოლუშული, სახით კუშტი,  
და თავიდან ფეხებამდე  
აღქურვილი იარალით,  
მოკაზმული სამკაულით,  
შეფერილი ყვითლად, ლურჯად  
როცა ზეცა უთენია

თავზე კოხტად წამოედგა  
ფრთები გრძელი არწივისა.

„ძარვად გიკან, ჰაავეატა.“ —  
დაიძახა მან დაცინივით,  
ჭგავედა ზეცის ქეჭა-გრკინვას,  
ეს ძახილი უყვარია.—  
უკან, უკან, შოგოდააა,  
წალი გიჯობს დიაცებთან,  
და შენ ბებერ ნოკომისთან.  
თორემ მ-გ ყლავ აქვე, ახლავ,  
როგორც მოვეკალ მამა მისი!“

„შშიშრად და უკრძალველად  
უპასუხა ჰაავეატამ:  
„ტრახახით და უქმებ სიტყვით  
ნუ გგონია მახვილს მცემდე,  
საქმე სჯობს ხომ უქმ სიტყვასა,  
და ისარი უფრო გაჭკვეოს,  
დამცინავი ვიდრე სიტყვა.  
ტრახახობას სჯობს საომრად  
გამოიღო ახლავ ხელი.“

და დაიწყო ბრძოლა დიდი  
მზის ქვეშეთს რომ არ ენახა;  
დილიდან და საღამომდე  
ის მთელი დღე გრძელდებოდა,  
რადგან ჰაავეატას მიერ  
განატყორცილი ისრის დასტა  
სულ ამოდ შეებრძოლა  
მარგალიტის მაგარ ჯაფშანს;  
ვერას გახდა ვერც ნაცადი  
ხელთათმანი-- მინჯიკეკონ,  
და ვერც მძიმე შუბი მისი.  
ის ამსხვრევდა მაგარ კლდესაც  
მაგრამ რგოლს ვერ მოერიო,  
ამ ჯადოსნურ ჯაფშნის რგოლებს.

ბოლოს მზე რომ ვადიხარა,  
დაქრილი და დაქანცული,  
გაბზარული მძიმე გურზით  
შემოფლეთილ ხელთათმანით,  
და კაპარკში სანი ისრით  
ჰაავეატა უიმედოდ,  
ჩამოეყრდნო დრეკად მშვილდზე,  
დაბერებულ ნაძვის ჩრდილ ქვეშ;  
ტოტებიდან ხავის ჰქონდა  
დაჟიდული და გაბმული,  
და მოტეხილ ჯირკვზე იქვე  
ყვითლად ჩანდა სოკოები,  
მიცვალებულთ ფეხსაცმელი.

და კოდალამ, მემემ მწვანემ  
გადმოსძახა ჰაავეატას:  
„დაუშინე ჰაავეატა,  
ჯადოქარის თავის კეფას  
მოახვედრე თავის კეფას  
მოახვედრე ნაწნავებში,  
მხოლოდ ასე მოკლავ იმას.“  
და ისარი ფრთებთან,  
და ისარი კაეის წვერა  
მღერით, სტენით გადაფრინდა  
იმ დროს, როცა მეჯისოგვონ  
ხელს კიდებდა მძიმე ქეფას;  
და კეფაში შოხედა უმაღ  
ნაწნავების მოხედა ძირში.  
შეტორტმანდა, დაბარბაცდა  
მეჯისოგვონ, ვით ბიზონი  
ვით პიზეკი, განგნირული  
გადმოთოვილ ბორცვის ფერდზე.

პირველ ისარს მოჰყვა კიდევ  
გადაფრინდა მეორეცა,  
გაეჭანა უფრო სწრაფად  
და ჩაერკო უფრო ღრმად,  
და მუხლები ჯადოქარის  
როგორც ლელი აცახცახდა,  
და ვით ლელი გაილუნა.

და აფრინდა კვლავ ისარი  
უფრო მჩატე, უფრო სწრაფი.  
დაინახა ჯადოქარმა  
სასიკვდილო ცეცხლის მზერა,  
და მოესმა ხმა ბნელიდან,  
და პოგოკის მოწოდება.  
უსულა და უსიტოცხლო  
ძირს დაეცა მეჯისოგვონ,  
ჰაავეატას წინ დავარდა.

და კეთილმა ჰაავეატამ  
დაისველა სისხლით ხელი,  
მაღალ ფიქვის ტოტებიდან  
დაუძახა კოდალასა,  
და იმ სისხლით შეუღება  
აქოჩრილი ბუმბლი თავზე  
ნიშნად მისი ბრძნული რჩევის,  
და ატარებს დღესაც მემემ  
თავზე წითელ ფრთების ქოჩორას.

შემდეგ ნიშნად გამარჯვების  
ჯადოქართან ბრძოლის ნიშნად,  
შემოგლიჯა გვაშს ჯავშანი  
და დაავდო უპატრონოდ  
წყლის ნაპირზე მისი ნეშტი.  
მგლო მკვდარი წყლის ნაპირას







სანახევროდ დამარხული  
მიშვერილი თავით წყლისკენ.  
მალლა ცაში ტრიალებდა,  
დასტკეროდა გვამს არწივი,  
დასტურავდა ნელა-ნელა  
ძირს თანდათან ეშვებოდა.

ჯადოქარის ვიგვამიდან  
ჰააგვატამ თავის ნაეში  
გადიტანა მთლად საუნჯე  
და ვამპუმი რაც კი ნახა;  
ბიზონების წავის ბეწვად  
ყარყუმე და სამურები,  
მარგალიტი, კაპაჭები,  
მშვილდ — ისარი მოვერცხლილი —  
და ზემით შინისაქენ  
გამოსტურა და ამბობდა  
ვამარჯვების სიმღერებსა.

შინ, ნაპირზე მიეგებნენ  
მას მოხუცი ნოკომისა,  
ჩააბააბოს და კვაზინდი,  
და ხალხიც გმირს შეეგება  
მღერით, ცეკვით და ყვირილით:  
„გაუმარჯოს ჰააგვატას,  
მეჯისოგენის დამმარცხებელს,  
ჯადოქარის დამმარცხებელს“.

შერე მუდამ იგონებდა  
სიყვარულით ჰააგვატა  
მწვანე მემე — კოდალასა.  
ამ ფრინველის სასახელოდ,  
დიდი ბრძოლის სამახსოვროდ,  
წითელ ქოჩრის ბუმბულითა  
მემეს ალისფერა ფრთებით  
მორთო თავის უალიონი.  
სიმღიდრე კი ჯადოქარის  
დაურიგა თავის მოძმეთ,  
დაურიგა თანასწორად.

## ჰადავატას ნიშნობა

„**როგორც** ისარს მშვილდის ლამზა,  
ეგრეთ მოდრეკს ცოლი ქმარსა,  
თუმცა მოდრეკს, მაგრამ მაინც  
მორჩილია ისევ მისი,  
თუმც მოზიდავს, მაგრამ მაინც  
ისევ მისკენ გაქანდება,  
ცალკერძ ყოფნა ორივესთვის  
ურგია და უსარგებლო!“

ასე ქაბუე ჰადავატას  
მოუვლიდა ფიქრი ხშირად,  
და სტანჯავდნენ სურვილები,  
იმედები, შიში, ვნება,  
~~მინეპაჰას ოცნებები,~~  
მოცინარე წყლის ოცნება,  
შორს ქვეყნებში რომ დასტოვა,  
დაკოტების უცხო მხარეს.

ზამოცდილი ნოკომისა  
აფრთხილებდა აჰადავატას:  
„მოიყვანე შენივე ერის  
და მეზობლის ქალი ცოლად,  
აღმოსავლეთს ან დასავლეთს  
არ წახვიდე საძებნელად,  
როგორც კერა მშობლიური  
ძვირფასია მეზობელი,  
უცხოელის სიღამაზე  
მთვარის ცივი სინათლეა  
და ვარსკვლავის შორის სხივი.“

ასე ბუობდა ნოკომისა,  
მაგრამ ჩემი ჰადავატაც  
პასუხობდა: „ო ნოკომის  
ტკბილი არის მშობლის კერა,  
მაგრამ უფრო უტკბილესი  
მთვარის ცივი სინათლეა  
და ვარსკვლავის შორი სხივი!“

მაშინ მკაცრად შეუერთა  
ნოკომისამ: „აქ არ გვინდა

ზარმაცი და ზანტი ქალი,  
არც ფეხები უსარგებლო,  
არც ხელები უქმად შუოფი,  
მოიყვანე ცოლად ქალი,  
რომ სურვილით გასძრას ფეხი,  
სიყვარულით იმუშაოს“.

ჰაავეატამ გაილიმა:  
„დაკოტების ქვეყანაში  
ცხოვრობს ისრის მკეთებელი  
და ჰყავს იმას ერთი ქალი,  
რომლის დარი ვერ მონახო  
ულამაზეს ქალთა შორის;  
მას მოვიყვანე შენს ვიგვამში  
და იქნება ის მორჩილი  
და გამგონე შეილი შენი;  
ის იქნება ვარსკვლავების  
შორი სხივი, მთვარის შუქი,  
მაგ ვიგვამის ცეცხლის კერა,  
მზე ღაღი ჩემი ერის“.

მაგრამ მაინც სულ თავისას  
იძახოდა ნოკომისა:  
„არ შეუშვა ჩემს ვიგვამში  
დაკოტების ქვეყნის ქალი;  
დაკოტები აეგებია,  
მათთან ხშირად გვაქვს ჩენი ომი,  
არ გამჭრალა ჩენში შური,  
კრილობებიც დარჩა ღია“.

ზაიციანა ჰაავეატამ:  
„სწორეთ მისთვის, მაგ მიზეზით  
მე დაკოტის მინდა ქალი,  
რომ წეერთდნენ ეგ ტომები,  
დავიწყებას მივცეთ შური,  
კრილობებიც დაიხურონ“!

და გასწია ჰაავეატამ  
დაკოტების ქვეყნისაკენ,  
ულამაზეს ქალთა მხარეს,  
ტყეების და მინდვრის გზებით,  
უღაბური ადგილების  
დაურღვეველ სიჩუმეში.  
ჯადოსნური მოკასინით  
მიჯი ჰქონდა ერთი ეჯი,  
მაგრამ გული წინ გარბოდა  
და გზა გრძელი მოეჩვენა.  
მაგრამ ბოლოს შემოესმა  
ხმა ჩანჩქერის, მხიარული,  
გაიგონა მინნეჰაპას  
შეძახილი სიჩუმეში:  
„რა კარგია“ — თქვა თავისთვის,  
ეს ხშიანი მოწოდება“.

ტყის ნაპირას, სადაც ჩრდილი  
მზის სხივებთან თამაშობდა,  
ჰაფიატამ მოჰკრა თვალი:  
ირმის ჯოგი სძოვდა ბალახს,  
წასჩურჩულა მშვილდს: „არ შესცდე“.  
ისარს უთხრა: „არ მიმტყუნო“.  
და როდესაც ისრის წვერი  
ხარ-ირემის გულში ჩაჯდა,  
წამოიგდო დავლა მხარზე  
და ფეხს უფრო აუჩქარა.

იქ, ვიგვამში კარის ზღურბლთან  
იჯდა ისრის მკეთებელი,  
აკეთებდა ქალკიდონის  
და იასპის ისრის წვეტებს;  
იქვე გვერდით უჯდა ქალი  
მობღენილი მინნაჰაჰა,  
იქვე იჯდა ტურფა ქალი  
და ლერწმიდგან ქსოვდა ქილობს;  
მოხუცს ძველის მოგონება  
და წარსული აფიქრებდა,  
ქალს კი ფიქრი მომავალის.

იგონებდა ის მოხუცი  
სიჰამუკეს, წარსულ დღეებს,  
როცა ისიც ასეთ ისრებს  
სანადიროდ მოიხმარდა,  
ხოცდა ირმებს და ბიზონებს,  
მუსკოღეზე, ვრცელ მინდვრებში,  
ახვედრებდა ბატებს ფრთაში,  
სამხრეთისკენ გადაფრენილს;  
იგონებდა ძველ მებრძოლებს,  
მეომრების დიად რაზმებს;  
მის ისრებს რომ ყიდულობდენ;  
აჰ, ვერასდროს ველარ ნახავთ,  
თქვენ მეომრებს იმათ დარებს.  
ახლა ჯაცებს ქალის ენა  
იარალათ გაუზღიათ.

ტურფა ქალი იგონებდა  
ერთხელ ნახულ მონადირეს,  
მაღალსა და უცხო სახით  
გაზაფხულზე მოსულ კაბუქს,  
ოჯიბვის ქვეყნებიდან  
ისრის წვერთა შესაძ ნად;  
მათ ვიგვამში, რომ ჩამოჯდა  
იტრიალა დიდხანს კართან,  
და შინსიკენ მიმავალმა  
მისკენ ჩუმად მოიხედა.  
მამამაც ხომ ბევრჯერ აუო  
მისი სიბრძნე და გმირობა.  
ნეტავ კიდევ მოვა იგი  
მინნაჰაჰას ჩანჩქერებთან?..

დადგა ხელი და თვალებზე  
ოცნებები დაეკიდა...

შეგბ თითქოს მოვლანდათ  
ნაბიჯების ხმა ტყვიიდან,  
ხმა ტოტების — და უეცრად  
სიარულით აღეწილი  
მხარზე ჩრმით, შუა ტყვიდან  
მათ წინ წარსდგა ჰაავეატა.  
შეანათა თავალებით  
მას მოხუცმა მკაცრი თვალი,  
გვერდზე მისდო სამუშაო,  
შემოუშვა თავის სახლში  
და საღამით ადგა ფეხზე  
«გამარჯვება, ჰაავეატა»!

მინნეჰაპას ფეხით დასდო  
ჰაავეატამ თავის ტვირთი,  
გადმოიღო ხარ ირემი;  
და ქალწულმაც აიხედა,  
დარცხენილი ნაზი მზერით,  
უთხრა ნელი მოფერებით  
«გამარჯვება, ჰაავეატა»!

შართო იყო ის ვიგვამი  
ირმის ტყავით ანაგები,  
შეღებილი თეთრი ფერით  
და მორთული დაკოტების  
კერპებითა და ხატებით.  
მას მალალი ჰქონდა კარი,  
ისე ფართო, ისე დიდი,  
რომ როდესაც ჰაავეატა  
შიგ შევიდა — გრძელი ფრთები  
მხოლოდ ოდნავ მოხვდენ ფარდებს.

მაშინ ადგა მინნეჰაპა,  
ფეხზე ადგა ტურფა ქალი,  
სამუშაო განზე დასდო  
და მოართვა მათ სადილი,  
მოიტანა წყაროს წყალი,  
საქმელები თიხის ქურქვით,  
წყალი ცაცხვის ხის თასებით  
და მიუგდო სტუმარს ყური,  
მოუსმინა მამის პასუხს,  
მაგრამ ბაგე არც კი გახსნა,  
არ წარმოთქვა ერთი სიტყვაც.  
დიად, თითქოს სიზმრად იყო,  
გაიგონა სტუმრის თბობა,  
გაიგონა ნოკომისას,  
ჰაავეატას ღეღობილის,  
საოცარი მან ამბავი;  
ჰაავეატას მეგობრების  
ამბებიც და ის სიკეთე,

ბედნიერი რომ გაჰხადა  
ოჯიბეის შორი მხარე,  
მშვიდი, წყნარი, კმაყოფილი.


„მრავალი წლის შუღლის შემდეგ  
სისხლიანი ომის ნაცვლად  
მშვიდობაა ოჯიბეის  
და დაკორის ტომებს შორის.“  
ჰააიატამ ასე თქვა და  
მერე ნელა დაუმატა:  
„რომ ეს ზავი დიდხანს შეგვრჩეს,  
გაიზარდოს მეგობრობა,  
და კეშირიც გაჩლეს მტკიცე,  
გამატანე შენი ქალი,  
მინნეჰაჰა მომიც ცოლად,  
უნაზესი ქალაა შორის.“

პრაფერი თქვა მოხუცმა,  
წუთით ფიქრებს მისცა თავი,  
თან ჩიბუხი გააბოლა;  
ამაყურად გადახედდა  
ჰააიატას, ქალს კი — ნაზად,  
და პასუხი უთხრა ცივი:  
მინნეჰაჰას ნება არის;  
შენ რას იტყვი, მინნეჰაჰა?

და ლაზიზი მინნეჰაჰა  
უფრო მეტად გახდა ნაზი,  
იქვე იღგა დარცხვენილი  
ველარც „ჰო“-ს ველარც „არა“-ს  
ვერ ამზობდა, მაგრამ ბოლოს  
გაწითლდა და ჰააიატას  
გვერდით დაჯდა ნელა-ნელა.  
თქვა: „მოგვევები, ჩემო ქმარო“!

ასე მოხდა ეს ნიშნობა.  
წაიყვანა ასე ქალი  
ჰააიატამ დაკორების  
შორიული ქვეყნებიდან.  
ვიგვაშიდან ქალთან ერთად  
გამოვიდა წასასვლელად,  
და ხელით-ხელს ჩაკიდულმა  
გამოსწია ტყით და ველით.  
მიატოვეს მათ მოხუცი,  
კარების წინ მარტოდ მდგარი  
და შორიდან გაიგონეს  
მინნეჰაჰას ხმაურობა,  
შორიული მოწოდება:  
„ოჰ, მშვიდობით, მინნეჰაჰა!“

მოხუცი კი ისევ მარტოდ  
დაუბრუნდა სამუშაოს,  
მზიან კარის წინ ჩამოჯდა







და ბურტყუნით თქვა თავისთვის:  
„ასეთია მუდამ ქალი!  
ეფერები, ზრდი ალერსით  
და, როდესაც მოესწრები  
იმის გაზრდას, მოხმარებას,  
მოვა უცხო მოყმე ვინმე  
ქრელი ფრთებით მოკაზმული,  
ხელში ლერწმის საღამურით,  
მიმოივლის უცხო სოფელს,  
ამოარჩევს კობტა სასძლოს,  
ულამაზეს ქალთა შორის  
და ის ქალიც მას მიყვება  
მარტოდ მისთვის სტოვებს ყველას“.

მათ გზა ჰქონდათ მხიარული  
ტყეებში და ხეობებში,  
მდინარეზე, მაღალ მთებზე,  
ბორცვებზე და მინდორ-ველად.  
დრო გარბოდა და გზა მოკლე  
მოეჩვენა ჰაფავატას,  
თუმცა ნელა მიდიოდა  
მინნეჰაჰას გულისათვის.

აქაფებულ ჩანჩქერებზე  
გადაჰყავდა მკლავით ქალი,  
და მსუბუქად აჩნდა იგი  
ვით ბუმბულის სამკაული.  
ეს ბილიკებს სჭრიდა მისთვის,  
არიდებდა დახრილ ტოტებს,  
და ღამით კი ტოტებისგან  
აუშენა ალაჩუხა;  
ალაჩუხში გაუშალა  
მწვანე ფოთლის სარცელი,  
და დაანთო კართან ცეცხლი  
ფიქვის შშრალი კოკოლასგან.

ნიავეჰარნი, რომ ნიადაგ  
მიმოჰქრიათ ტყედ და ველად,  
მიჰყეებოდენ ჰაბუკ მგზავრებს  
ღამის ყველა ვარსკვლავები,  
მათ ძლივს ფხიზლად დარაჯობდენ  
მუხის ხიდან აჯიდომო  
მიჯნურთ ხარბად დაჰყურებდა  
და ვაბასსო, ტყის კურდღელი  
გაურბოდა იმით ბილიკს,  
ბნელ სოროში მიმალული  
უმზეროდა მიჯნურთ ჩუმად,  
გაოცებით უჭურებდა  
წამომჯდარი ორთავე ფეხზე.

მათ გზა ჰქონდათ მხიარული  
ფრინველები სტვენდნენ ტკბილად  
ბედნიერი სიმღერებით;

უმღეროდა ოვეისა:  
„ბედნიერო ჰააავატა!  
შენი ცოლის გულში მხოლოდ  
სიყვარული არის შენი!“  
უმღეროდა მათ ოპეჩი:  
„კეთილშობილ ქმარის გული  
არის შენი საკუთრება,  
ბედნიერო მინნეჰაჰა!“

ზაჩრდილული ტოტებს შორის  
მზე ალერსით შორი ცოდან  
უძახოდა: „ო, ბავშვებო,  
სიყვარული მზის შუქია,  
სიძულვილი მძიმე ჩრდილი,  
სიცოცხლე კი ათამაშებს  
მზის შუქსაც და მძიმე ჩრდილსაც  
შენ ცხოვრება სიყვარულით  
მართე მუდამ, ჰააავატა“.

ღამით მთვარემ ჩაიხედა,  
მათ ბინაში და ააესო  
ის ნათელი იდუმალით,  
წასჩურჩულა: ო, ბავშვებო,  
დღე შფოთია, ღამე — მშვიდი  
ქმარი არის მბრძანებელი,  
ცოლი — სუსტი და მორჩილი,  
შენ ცხოვრება მოთინებთ  
მართე მუდამ, მინნეჰაჰა!

შიახწიეს ასე ვიგვამს,  
ასე მოხუც ნოკომისას,  
დაუბრუნდა ჰააავატა  
დაკოტების ქვეყნიებიდან,  
ულამაზეს ქალთა მხრიდან;  
მოიყვანა მინნეჰაჰა,  
უნაზესი ქალთა შორის,  
მოიყვანა ვარსკვლავების  
შორი სხივი, მთვარის შუქი,  
მათი სახლის ცეცხლის კერა,  
მზე დიადი მათი ერის!

## ჰადავათას საქმარწინო ნადიმი

ქე ვიმღერებ, ვით ცეკვაელა  
პო-პოკ-კივის მშვენიერი  
და ლამაზი ენდიზი  
სალამურის უტკებს ხმაზე,  
ვით მღეროდა ჩაბაბაბოს  
სატრფალო, სვედის ლექსებს  
და ვით მოჰყვა ტრაბახს, ზლაპრებს.

ჩენი ააგუ—ეს ოსტატი  
ზლაპრების და არაკების,  
რო? ნადიმი ყოფილიყო  
კიდევ უფრო მხიარული,  
ყოფილიყო დროს ტარება  
და სტუმრები კმაყოფილი.

ნოკომისას დიდებული  
ჰქონდა ლხინი და ქორწილი,  
სასმისები იყო ცაცხვის  
თეთრზე თეთრი და კრიალა;  
რქის კოვებში შოეტანა  
შავზე შავი და კრიალა.

ნოკომისამ იმ დღეს ყველას —  
მეზობლებს და მოკეცეებს,  
დაუგზავნა პოსაწვევად  
ნედლი შტონი ტირიფისა.  
შეიკრიბნენ მეზობლები  
საზეიმოდ მოკაზმულნი:  
ძვირფას ბეწვით, კრელი ფრთებით;  
შეღებინი მრავალ ფერად,  
ქრელ ვამპუშში და მძივებით.

ჯერ სუფრაზე მოიტანეს  
ორაგული, თართი, ზუთხი,  
რაც ამ დღისთვის საგანგებოდ  
დაამზადა ნოკომისამ;  
მერე ირმის პემიკანი  
და ბიზონის შემდეგ ტვინი,  
მშელის ფეხი და ხარის ბეჭი,  
ფლავი, შოთი, ქარვის ფერი  
დანაყული სიმინდისა.

ზღრილი, ნაზი პაავაეტა  
მინნეჰაპა, ნოკომისა  
სუფრაზე არ ჩამომჯდარან,  
მხოლოდ სტუმრებს მასპინძლობდენ  
და დუმილით მსახურობდენ.

სადილი კი რომ გათავდა,  
დარდიმანდი ნოკომისა  
მიწვდა წავის საესე გუდას,  
და სტუმრების ჩიბუხები,  
ჩიბუხები მათი ქვისა  
გამოტენა თუთუნითა,  
სურნელოვან ბალახებით  
და ტირიფის წითელ ქერქით.

მერმე უთხრა ნაზად, ტკბილად:  
„დაუარე, პო-პოკ-კივის,  
მათხოვარის შლეგი ცეკვა,  
რომ ნადიმი საქორწინო  
იყოს უფრო მხიარული,  
იყოს ლხინი, დროს ტარება  
და სტუმრები კმაყოფილი.“

და ლამაზი პო-პოკ-კივის  
უღარდელი აენადიზნი,  
ოინბაზნი, მოცინარი,  
ჩხუბის თაეი, მოქეიფე,  
წამოიქრა მამინათე  
და შეკრებილთ წრეში დადგა.  
მარდი იყო ის ცეკვაში,  
ფალავანი სასახელო,  
შეჯიბრის და თამაშისა,  
რე გინდ ძნელი თამაშისა,  
იყო დიდი ხელოვანი.

ხოფლად ყველა პო-პოკ-კივისს  
სთვლიდა ოხერ-დალუპულად,  
მოთამაშედ და ზარმაცად,  
მშიშარათ და უნიათად.  
დაცინვას და მეტსახელებს  
არ იმჩნევდა აენადიზნი,  
რადგან იყო კობტა, ტურფა  
და უყვარდათ რადგან ქალებს  
მშვენიერი პო-პოკ-კივის.

მდგა თეთრად მოკაზმული,  
ტანთ ჩაეცვა თეთრი ბეწვი  
რბილი ბეწვი ირემისა,  
მოქარგული ვამუშითა,  
ზღარბის მაგარ ჯაგარითა,  
უხლებოდა კულზე ღინღლი  
მოელეგარე გედის ღინღლი;  
თხის ბეწვიან მოკასინებს,

მოხატულად ესხა მძივი,  
ქუსლებზე კი მელის კუდი;  
ხელთ ეკაეა უალიონი  
და მარაო გადაშლილი.

შითქლ, ყვითელ საღებავით  
ლურჯითა და ალის ფერით  
ელვარებდა მისი სახე;  
და დაზეთილ თმის ნაწნავებს  
გადაყოფილს ქალურადა,  
ჩაქსოვილი ჰქონდა ვარდნი  
და სურნელი ბალახები.  
ასე იყო მოწყობილი  
მორთული და მოკაზმული  
მშვენიერი პო-პოკ-კივის.  
სიმღერის და საღამურის  
დოლისა და ტაშის ხმაზე,  
ადგა ნელა პო-პოკ-კივის  
და დაიწყო უცხო ცეკვა.

შერ ცეკვავდა ნელა, დინჯად,  
ტრიალებდა ხეებს შორის,  
ხან ფარავდა ჩეროები,  
გადიოდა მერმე მზეზე  
ის ფოცხვერის რბილი თათით,  
მერმე უფრო ჩქარა, ჩქარა,  
დატრიალდა, დაბზრიალდა  
და ვიგვამის ირგვლივ ხტოდა,  
გადიელო წრეში მჯდომელთ;  
ისე სწრაფად ჰქროდა, ხტოდა  
რომ ფოთოლი, ქარი, მტვერი  
მოცეკვავეს გაჰყვა უკან.

შემდეგ გიტჩე-გუმის პირად  
ქვიშნარიან ნაპირებზე  
ის გაიქცა, როგორც გიეი,  
და ველური ძალით სცემდა  
მოკასსინებს დედამიწას.  
ქარი უკვე ჰგავდა გრიგალს,  
სტეენდა ქვიშა აფრენილი,  
ვით ქარბუქი უდაბნოში.  
და ნაპირებს გადეფარა  
ნეგო-ვოჯუს გორაკები.  
ასე, მარდი პო-პოკ-კივის,  
ასრულებდა გლახის ცეკვას.  
როცა მორჩა გამობრუნდა,  
ისევ დაჯდა სტუმრებს შორის,  
დაჯდა წყნარად ღიმილითა  
და მარაოს ნელი ქნევით.

შაჰავატას მეგობარსა  
ჩაჰბაჰაბოსს სთხოვეს შემდეგ:  
„ჩაჰბაჰაბოსს, სთქვი სიმღერა

ვნებისა და ტრფობის ლექსი,  
რომ ნადიში სკაორწინო  
იყოს უფრო მხიარული,  
იყოს ლხინი, დროს ტარება  
და სტუმრები კმაყ "ფილი".

მშენიერმა ჩაბაბაბოს  
საქვა სიმღერა ნაზო, ტყბილი.  
ის მღეროდა მღელვარებით  
ვნებისა და ტრფობის ამბავს;  
სულ შესტკერდა ჰააეატას,  
სულ უტკერდა მინნეჰაჰას  
და ამბობდა ამ სიმღერას:

"ზოხოვ, ონევე! გაიღვიძე  
ამოსულო ტყის ყვაეილო,  
მწვანე მინდვრის ჩიტუნიავე,  
მომღერალო ტევრის ჩიტო!

"თვალი მსგავსად შეელის თვალებს  
არის ისე სასიამო,  
როგორც ცვარი ზამბახისთვის  
სალამოს ჟამს მინდოარ-ველზე!

"ტყბილი არი სუნთქვა შენი,  
როგორც ყვაეილო სურნელება,  
როგორც მათი სუნთქვა დილის  
ჩამოცვენილ ფოთლის თვეში!

"მე ხომ ვეტრფი მთელი გულით  
ძვირფასის გულს, ძვირფასის გულს,  
ასე კვირტი იწვევს მზისკენ  
ნათელ ღამის მსუბუქ თვეში!

"ო, ონევე! ჩემი გული  
შენ ვიმღერის აღტაცებით.  
ასე მღერის, ოხრავს ტოტი  
მარწყევების და ქოლის თვეში!

"შენ თუ სეედა შემოგბურავს,  
დაბნელდება ჩემი გულიც,  
ვით მდინარე, როცა ჩეროს  
ზედ დააგდებს ცის ლქუბელი!

"თუ ძვირფასო, გამიღიმებ  
ატოკდება ისე გული,  
ისე როგორც მზეზე ტალღა  
აქოჩრილი ცივი ქარით!

"ღე ღიმილით ელვარებდეს  
ღეღამიწა, ზეცა, წყალი --  
მე კი ვიღარ გავიღიმებ  
თუ ვერ ვხედავ გულის ტოლსა!

„მე შენთან ვარ, შენთან, შენთან  
შემომხედე გულ მდღელარეს!  
გაიღვიძე, გაიღვიძე  
ო, ონევე, გაიღვიძე“!

მშენიერი ჩაბაბაბოს  
დამღეროდა ენების ლექსებს,  
და ტრაბახა ბერი ააგუ  
გასაკვირი მოარაკე,  
ყურს უგდებდა მღერას შურით.  
მის შეშურდა რომ სტუმრები  
სიმღერებმა გაიტაცეს.  
მაგრამ შემდეგ ღიმილმა და  
ჩათი თვალის მოძრაობამ  
დაარწმუნა ჩენი ააგუ  
რომ სულყევა მოუთმენლად  
მოულოდა მის არაკებს  
და სიცრუით სავსე ზღაპრებს.

ჩენი ააგუ ტყვილის გულად  
და ტრაბახა იყო მეტად.  
საოცარი საქმეები,  
გაბედული ეშმაკობა  
მხოლოდ მისი თაოსნობით  
და გმირობით მოხდებოდა.  
თავის თვალით, თავის ყურით  
ნინახი და გაგონილი  
ჰქონდა იმას ყველაფერი.

ააგუს ყური რომ დაუგლოთ  
და იმას რომ დაუჯეროთ  
მშვილდოსანი იმისთანა  
ხომ არ იყო სხვაგან ვინმე,  
და არავის არ მოეკლა  
მასზე მეტი შველ-ირემი,  
და არც თევზი დაეჭირა,  
არც წყლის წავი ხაფანგითა.

ან ვინ არის სხვაზე უფრო  
სოფლად ცქეტი და ფეხმარდი,  
ვინ გასცურავს სხვაზე შორს და  
ვინ ყვინთაობს გაბედულად?  
ვინ შემოვლო მთა და ბარი  
საოცრება ვინ რა ნახა,  
თუ არ ჩენმა, ააგუმ, ააგუმ,  
გასაკვირმა მოარაკემ.

და სახელი ააგუ გახდა  
სასაცლოდ და ანდაზად;  
თუ ტრაბახა მონადირე  
დაიწყებდა ტყვილის ჩმახვას,  
ან მეტროლი შესტოპავდა  
ბრძოლის ველით შინ მოსული,



ასტეხავდა ყველა ძახილს:  
„მაგუ მაგუ“, ჰა ახალი  
მაგუ კიდევ გაჩენილა!“

მაგუ იყო, სწორეთ ისა  
ცაცხვის ქერქი რომ აილო,  
შეპკრა ირმის ძარღვებითა  
და აკვანი მოუშზადა  
ახლად შობილ ჰააფატას.  
შემდეგ იმას ბავშვს ასწავლა  
იფნის შვილდის გაკეთება  
და გამოთლა მუხის ისრის.  
და ასეთი იყო მაგუ,  
საძაგელი, უშნო მაგუ  
გასაკვირი მოარაკე.

შას მიმართა ნოკომისამ:  
„მოგვიყვივი, ჩემო მაგუ,  
ზღაპარი და არაკები,  
საუჯხოვო, გასაკვირი,  
რომ ნადიმი საქორწინო  
იყოს უფრო მხიარული.  
იყოს ლხინი, დროს ტარება  
და სტუმრები კმაყოფილი!“  
უპასუხა მაგუმ სწრაფად:  
„გაიგონებთ დღეს სულუველა  
მოთხრობას და უცხო ამბავს.  
ვით მოვიდა ამა ქვეყნად  
შორეული ვარსკვლავიდან  
ჯადოქარი ოსსეოი!“

## მწუხრის ვარსკვლავის ვაჟი

ქმ მზე ჩადის ვრცელი წყალის  
გაუნძრეველ ზედაპირზე?  
თუ წითელი დიდი გედი  
დაუჭრია მისწერ ისარს,  
ნელა ცურავს სისხლის ფერში,  
სისხლის ფერით ღებავს ტალღებს,  
ავსებს ჰაერს გრძელი ფრთების,  
მეწაბული უცხო ბრწყინვით?

ღიად, ეგ მზე იძირება,  
ნელა ჩადის გიტჩი—გუმში,  
ზეცა იწვის ცეცხლის ფერად  
ზღვა აღისფერ ღვარად ბრწყინავს!  
არა, ეგ ხომ გედი სცურავს,  
იძირება ზღვის ტალღებში,  
ცისკენ იწვდენს ფრთებს დაპრილი  
და ზღვის ტალღებს წითლად ფერავს.

მწუხრის ვარსკვლავს მკრთალი შუქი  
წითელ ფერში უცახცახებს,  
ღნება ბინდში დაკიდულთ.  
არა, დიდი სულის მკერდზე  
ეგ ვამჟღე მბრწყინავს ახლა,  
დიდი სული ღამის ბინდში  
ზეცას ჩუმად გადაივლის.

ღიდხანს, დიდხანს უფურცბდა  
მზის დასავალს აღტაცებით  
უწყნარი მაგვ და ბოლოს კი  
დაიძახა: „ნახეთ, ნახეთ,  
ეგ ხომ მწუხრის ვარსკვლავია  
ღვთიური და წმინდა შუქი!  
თქვენ მოისმენთ ახლა ამბავს—  
გასაოცარ ოსსეოსას,  
მაგ მნათობის ვაჟის ამბავს!

---

„შხსოვარს დროს, როცა მოკვდავთ  
უფრო ახლოს ჰქონდათ ზეცა,  
და ღმერთებიც ამ კვეციერ  
ხალხთან იყენენ უფრო ახლოს

ჩრდილოეთში ბინადრობდა  
მონადირე თურმე ერთი.  
ჰყავდა იმას ათი ქალი,  
ტანწერწეტი, როგორც ძეწნა;  
მხოლოდ ერთი, სულ უმცროსი  
ოვინი რომ ერქვა, იგი,  
მეოცნებე, ჩუმი ქალი,  
სილამაზით სჯობდა ყველას.

„შველა ქალი დაქორწინდა,  
ყველა გაჰყვა მამაც მიბრძოლს,  
ოვინიმ კი ვერ იშოვნა  
მალე ქმარი შესაფერი.  
ყოველ ლამაზ, ქაბუკ საქმროს  
ის დაცინვით ისტუმრებდა,  
ბოლოს ისიც დაქორწინდა,  
და ოსსელს გაჰყვა მოხუცს,  
ღარიბს, უშნოს, სუსტს და მახინჯს  
ციყვივით რომ ახყვებდა.

„მაგრამ სული იმ ოსსელს,  
ჰქონდა ნაზი და ქაბუკი,  
ის ვარსკვლავის ვაჟი იყო,  
შელამების ნაზ ვარსკვლავის,  
სათუთის და ვენებიანის.  
მთელი ცეცხლი, მთელი გრძნება,  
ელვარებდა, სილამაზე,  
ყველაფერი ჰქონდა გულში,  
საუბარში ჰქონდა ყველა.

„საქმროები, ოვინი რომ  
უპასუხოდ გაისტუმრა,  
ვამპუშებით, კობტა ფრთებით,  
და ფერებით მოკაზმული,  
უთითებდნენ ოვინის და  
თან უწყალოდ გასცროდნენ,  
მაგრამ ქალი მიუვებდა:  
„რად ვინდომო ეკ ქამრები  
ფერები და კობტა ფრთები,  
ვერც დაცინვით დაჰალონებთ  
მე—ბედნიერს ოსსელსთან!“

„მრთ უღარო ბნელ საღამოს  
სანადიმოდ მიდიოდნენ,  
მხიარულად ათნი დანი,  
მიღიოდნენ ქმრებთან ერთად,  
და ოსსეოც მათ მისდევდა,  
ახალგაზრდა ცოლით გვერდზე;  
ხუმრობდნენ და იცინოდნენ —  
ეს ორი კი იყო ჩუმი.“

„ღასავლეთის ცას ოსსეო  
გაჰყურებდა თითქოს ლოცვით,

ჩერდებოდა და ვედრებით  
უუურებდა მწუხრის ვარსკვლავს,  
მოცახცახე მწუხრის ვარსკვლავს,  
ენებიან და ლამაზ მნათობს,  
და ისმოდა მისგან მაშინ  
იდუმალი ხმა ჩურჩულის:  
„აჰ, შოყენ ნემეშინ, ნოზა!  
შემიბრაღე მამაგ ჩემო!“

„ზაიგონეთ“? — თქვა უფროსმა:  
„ცეცდრება თაჟის მამას!  
რა ცუღია რომ მოხუცი  
არ ეცემა შარა-გზაზე,  
რომ არ იმტერეღს უცებ კისერს!“  
და სიცილი უღიერი  
გაისმოღა შემკრთალ ტყეში.

„შათ ბილიკზე, ტყის სიღრმეში  
ეგღო ერთი დიღი მუხა,  
ქარიშხალით მოგღეჯიღი,  
ხაესიანი დიღი მუხა,  
ძვეღ ფოთღებში ჩამარხული,  
ღამპალი და ღრუიანი.  
და ოსსეღმ როცა ნახა,  
იმ დახრული მუხის ტანი  
ღაიკიღღა მტკიენეულად,  
და დღღებულ ღრუში ჩახტა.  
როცა ჩახტა — გონჯი იყო,  
მოხუცი და დღაღარღნიღი,  
იქიღან კი, — მძღღე, ტანღდი,  
და კბღუკი გამოვიღა.

„ღა ოსსეღს დღუბრუენღა,  
სიყმღაწვიღღე, სიღამაზე,  
მგკრამ ვაღი, რომ უეცრად  
იკ ოვიღნიც გარღაიკმენღ!  
გღღაიკე ბებერ ქღღად,  
და ბილიკზე ყღვეარჯენით,  
წღჩანჩღღღა ტანმოხრიღი,  
მიმღვეღი ღღღბის უკღან.  
მგკრამ ღღღბღა რომ შეხეღღღს  
ღღღყარეღს წღღმს ხარხარეღ;  
და სიციღი უღღიერი  
გაისმოღღა შემკრთალ ტყეში.

„ღსსეღმ კი არ დღსტოღვა,  
ბებერს გღჟყეღა ნეღღ-ნეღღა,  
და აიღღ წიღის ხეღი,  
ციღ ზღმთღარში მუხის ხმეღი  
გღყინეღი ფოთღის მსგღესი,  
და უწოღღა მღს ძვირფღასი,  
ნიღნიმუში უთხრა ბებერს.  
ზღღ ოს ცრღღად მღღღღღა,

სანადიმო ადგილს ყველამ,  
და ჩამოსხდნენ იმ ვიკვამში,  
მწუხრის ვარსკვლავს რომ აუგო  
ხალხმა — ნაზ და ლეთიურ მნათობს.

„ოცნებებში გახვეული  
იჯდა ჩუმი იქ ოსიგო,  
და ოსიგოს გარდა ყველა  
ხუმრობდა და იცინოდა,  
ის არც სეამდა, არცა სკამდა  
არც სხეებივით საუბრობდა,  
არც ისმენდა სხვის ნაუბარს,  
მხოლოდ სევდით უყურებდა  
ხან ოგინის და ხან ზეცას,  
ვარსკვლავებით მოელვარეს.

„და გაისმა იქ ჩურჩული  
ჩუმი, ნაზი, მომხიბლავი,  
ზეციის შორი ვარსკვლავების,  
შორეული სივრცის ზგერა;  
ის ამბობდა: „ო ოსიგო,  
საყვარელო ჩემო შვილო.  
დამსხვრეული არის ჯადო  
ბოროტების ძალთა გრძნება,  
შენ რომ ასე დაგატყვევა;  
ჩემთან მოდი, ო ოსიგო!

„ნახე გემოთ ეგ საქმელი,  
სანოვაგე შენს წინ მდგარი,  
ნაკურთხი და მომხიბლავი;  
ჯადოსნური აქვს მას ძალა:  
გადაგაქცევს შენ ის სულად;  
ეგ ჯამები და ქვაბები,  
ხე და თიხა არ დარჩება:  
ქვაბი ვერცხლად გადიქცევა,  
ჯამები კი — ვამუშებდა,  
დაიწყებენ ცეცხლის ბრწყინვას,  
ვით-წითელი ნიკარები.

„და ქალბისაც არ გალუნავს  
სამუშაო მეტად ძნელი:  
ფრინველებად იქცევიან.  
მოეხვევათ ვარსკვლავების  
შორეული ნაზი შუქი,  
მზის დასავლის ანარეკლი  
შელამების ცის ღრუბლებზე“.

„რაც ოსიგომ გაიგონა,  
რა სიტყვებიც მას მოესმა,  
ის სხეებისთვის იყო მღერა,  
ფრინველების შორი ხმები,  
ვაგონგასას სევდიანი,  
მარტოობის სიმღერები,  
ჩაღამებულ, და ბნელ ტყეში.

„უცებ ხახლი აძაგაგდა,  
შეინძრა და აძაგაგდა  
და სტუმრებმა იგრძნეს — ზევით  
მიფრინავდნენ ნელა-ნელა.

„მარსკვლივიან ზეცისაკენ,  
ხის ტოტების სიბნელეში  
მიფრინავდა ის ვიგვამი,  
მიფრინავდა — და შა, უცებ  
ხის თეფრებმა იწყეს ბრწყინვა,  
იქცენ წითელ ნიჟარებად.  
აჰა, თიხის 'შაეი ქეაზიცი —  
ვერცხლის ქებათ გადაიქცა.  
და ვიგვამის ხის ლატნები  
ვერცხლის წველებს დაემსგავსნენ,  
მისი სადა სახურავი —  
ბუნჯანკალის ფრთებს ელვარეს.

„ღაიხედა გარს ოსსეომ  
მაგრამ ვერვინ დაინახა,  
ყველა დები თავის კმრებით  
ქცეულიყვნენ ფრინველებად.  
მათ სხვადასხვა ჰქონდათ ფერი:  
ზოგი ჩხართის და კაჰკაჰის,  
ზოგიც შაშვის მსგავსი გახდა.  
და ყველანი ხტოდნენ, ფრენდნენ,  
ისწორებდნენ ფრთებს სიმღერით,  
თვალს მოგპრიდათ მათი ფრთების  
და მარაო — კულის ბრწყინვა.

„ოვინი კი, სულ უნცროსი,  
კვლავ უცვლელად იჯდა ცალკე,  
ის მოხუცად დარჩა ისევ,  
და სხვებს სევდით შეჰპულრებდა.  
და ოსსეომ ისევ ზევით  
აიხედა ნალელიანად.  
მტკივნეულად დაიკივლა,  
სწორედ ისევ, როგორც წინათ  
დაიკივლა მუხის ხესთან.

„ღა ოვინის იქვე წამსვე  
დაუბრუნდა სილამაზე,  
დაუბრუნდა სიყმაწვილე.  
მისი ძონძი ყარყუმების  
ბეწვეულად გადაიქცა,  
ყავარჯენი კი ვერცხლის ფრთად,  
ვერცხლად, თეთრად მოელვარედ.

„შიგვამი კი ფრენით ისევ,  
გამჭვირვალე ღრუბლებს გაჰყვა,  
და ჰაერის მდინარებას,  
და მიაღგა მწუხრის ვარსკვლავს;

ცის ვარსკვლავზე გადმოეშვა,  
როგორც ფიქვი თოვლის ფიფქზე,  
მდინარეზე ხის ფოთოლი,  
ან თავცეცხლას გინგლი წყალზე.

„აღერსიან მისალმებით  
იქ ოსსეოს ბერი მამა  
გამოვიდა მხიარული;  
გრუზა თმები ვერცხლით ენთო,  
თვალეები კი ნაზი სხივით,  
და წარმოთქვა მან: „ოსსეო,  
ჩემო შვილო, ეგ გალია  
სავესე ჭრელი ფრინველებით,  
გაიტანე და დაჰკიდე  
ამ ვიგვამის კართან, გარეთ“.

ჩამოჰკიდა მან გალია,  
და ვიგვამში შემობრუნდა,  
თავის ლამაზ ცოლთან ერთად,  
და ოსსეოს მამამ მაშინ,  
იმ ვარსკვლავის ბრძანებულმა,  
თქვა: „ოსსეო, ჩემო შვილო,  
მე ვისმინე შენი თხოვნა,  
დაგიბრუნე სიკაბუეკე,  
ადრინდელი სილამაზე,  
ყველა დები თავის კმრებით  
მე ვაქციე ჭრელ ჩიტებად,  
რადგან მუდამ დაგციონდნენ.  
რადგან მათ ვერ დაინახეს  
შენს მახინჯ და მოხუც ტანში,  
შენს საცოდავ ტანში გული,  
უკვდავი და ლალი. ნუდამ,  
კაბუეკი და ვნებით სავესე.  
ოვინიმ კი, შენი გული  
შეიყვარა მხოლოდ ერთმა.

„იმ ვარსკვლავზე, ხედავ, მარცხნივ,  
ნისლში მკრთალად რომ კაშკაშებს,  
იქ გვბინო ცხოვრობს ერთი,  
შურიანი ავი სული  
და ბოროტი ჯადოქარი.  
მან გაქცია შენ მოხუცად  
და მის სხივებს მოერიდე  
რადგან, შვილო, ეგ სხივები  
ჯადოსნური ისრებია“.

„ღიდხანს მშვიდათ და თანხმობით  
იყვნენ მწუხრის მშვიდ ვარსკვლავზე,  
ოსსეო და მამა მისი;  
გალიაში ღიდხანს ისხდენ  
ფრთხილებდენ ფრინველები,  
ხტოდნენ ვერცხლის კანდარებზე;  
და ოვინიმ მის მეტულეს

იქ აჩუქა ვაგიშვილი:  
დედის მსგავსი სილამაზით,  
ტანადობით მამის მსგავსი.

„იზრდებოდა ბავშვი წლობით,  
და ოსივებმ სათამაშოდ  
მშვილდ-ისარი გაუქეთა,  
გამოულო მას გალია,  
გამოუშვა ყველა ჩიტი,  
რომ ბიძები, დეიდები  
ყრმას შექცევით დაეხოცა.

„დაფრინადნენ აქეთ-იქით  
მხიარული ფრინველები,  
და აესებდნენ ჰაერს ლალად,  
თავის უფალ სიმღერებით,  
და ელვარე ფრთების ბრწყინებით;  
მაგრამ ბავშვმა თავის მშვილდი  
მოზიდა და გაისროლა,  
პაწაწინა მონადირემ  
გაისროლა შორს ისარი,  
და ერთ-ერთი ჩიტთაგანი  
მოელვარე ჰრელი ფრთებით  
მის ფეხებთან ჩამოვარდა,  
სასიკვდილოდ დაკოდილი.

„მაგრამ, პოი, საოცრებზე.  
ყრმას იქ ჩიტი კი არ დახვდა,  
დახვდა ქალი მშენიერი  
ისრით გულ-მკერდ გაპობილი.

„ჩოცა მისი სისხლის წვეთი,  
ცის ცთომილზე გადმოვარდა,  
მოხვდა ღვთიურ მწუხრის ვარსკვლავს—  
იქ მისნური მოკვდა ძალა,  
და უძლური გახდა ჯადო,  
და კაბუკი მშვილდოსანი,  
უცებ ქვევით გადმოეშვა,  
უცებ იგრძნო თითქოს ვილაც  
მიათრევდა ძირს, სიერცემი,  
მიათრევდა ღრუბლებს შორის,  
ქვევით, მწვანე კუნძულისკენ  
დიადი ზღვის შუაგულში.

„მის უკან კი ბრწყინავ გუნდათ  
ემშებოდნენ ფრინველები,  
როგორც ცვივა შემოდგომით  
დახატული ხის ფოთლოვ;  
და ვიგვამიც ვერცხლისფერი  
ლატანებით შემკობილი,  
ბუზანკალის ფრთების მსგავსი  
მოელვარე სახურავით,  
გადმოეშვა და ოსივებ  
კოლთან ერთად მოიკვანა.



„აქ კი ისევ ფრინველები  
მოკვდავებათ გადაიქცნენ,  
და მიიღეს მოკვდავთ სახეც,  
მხოლოდ სახე—არა ტანი:  
ქონდრის კაცებს დაემსგავსნენ,  
დაემსგავსნენ პოკ-უეჯის;  
და კუნძულის კლდოვან მთებზე  
ზღვის ქვიშაან ნაპირებთან,  
ახლაც მწუხრის ვარსკვლავის დროს,  
შებინდების ეამს მღუმარეს,  
შორეული ზღვიდან მათი  
სამაიით მოჩანს ცეკვა.

„ახლაც ბრწყინავს მათი ბინა  
ჩუმ ზაფხულის საღამოთი,  
და მეთევზეს მხიარული  
ლაპარაკი ესმის ხშირად,  
უმზერს ხშირად იმათ ფერხულს,  
ვარსკვლავების მიმქრალ შუქზე“!

„დამთავრა ეს ამბავი,  
დაასრულა აქ მაგუმ,  
გადაავლო სტუმრებს თვალი  
და ამაყად დაუმატა:  
„არის ქვეყნად დიდი ხალხი,  
სხვებისათვის გაუგებრად,  
მიუწვდომლად დარჩენილი,  
მე ასეთი ბევრი ვნახე;  
იმათ ხშირად დასცინიან  
და მასხარად აივლებენ,  
მაგრამ ვურჩევ დამეინავებს:  
მათ ოსსეო მოიგონონ!“

მხიარული დარჩა ყველა,  
ამ მოთხრობის კმაყოფილი,  
მოთხრობელს უხვად შეაქებდნენ,  
ერთმანეთს კი წასტურჩულეს:  
„ვითომ მაგუ ოსსეოა,  
ჩვენ კი—ბიძა-დეიდები“?

ძველავ ამღერეს ჩაბბაბაბოს  
ვნებიანი სიმღერებით,  
და უმღერა მომღერალმა,  
მათ სიმღერა ტკბილი, ნაზი,  
ახალგაზრდა ქალის სევდა,  
ვარდაქმნილი მწველ სიმღერად  
ძვირფასი რომ აჯონღება,  
საყვარელი ალგონკინი.

„მსტირი, როცა ჩემი სატრფო,  
ვაჟ, მე! სატრფო მაგონდება,  
როცა გული შენსკენ იწევს,  
საყვარელო, ალგონკინო

„შაჰ, მე! როცა ეშორდებოდით,  
სახსოვრად შენ მაჩუქე  
თოვლისფერი ყელსაბამი,  
საყვარელო, ალგონკინო!

„ზამოგყვები, წამჩურჩულე,  
ვაჰ, მე! სახლში, მშობელ მხარეს  
გამომიშვი, წამჩურჩულე,  
საყვარელო, ალგონკინო!

„ის შორს არის გიპასუხე,  
ძალიან შორს, წაგჩურჩულე,  
ვაჰ, მე! მხარე მშობლიური,  
საყვარელო, ალგონკინო!

„როცა უკან მოვიხედე,  
შენსკენ სევდით მოვიხედე,  
ენახე ისევ იქვე იდექი,  
საყვარელო, ალგონკინო!

„წყლის ნაპირას. იდექი მარტო,  
ტირიფის ქვეშ იდექი მარტო,  
და ხე წყალში ყრიდა ცრემლებს,  
საყვარელო, ალგონკინო!

„მსტირი, როცა ჩემი სატრფო,  
ვაჰ, მე! სატრფო მაგონდება,  
როცა გული შენსკენ იწეკვს,  
საყვარელო, ალგონკინო“!

აი, როგორ დიდებულად  
იქორწინა ჰაჰავატამ!  
აი როგორ გაართობდნენ  
მზიარულად სტუმრებს ყველა,  
პო-პოკ-კივის—შლეგი ცეკვით  
აჰგუ—ზღაპრით ჯადოსნურით,  
ჩაჰბაჰბოს—სიმღერებით.

და დამთავრდა აქ ნადიმი  
და სტუმრები დაიშლნენ,  
და ბედნიერ ჰაჰავატას  
დაუტოვეს მინნჰაჰა,  
ლამის ბინდის სამოსელში.

## მინდვრების კურთხევა

ჭაბიაშათას სიმღერა თქვი,  
და უმღერე ამ უღარდელ  
ბედნიერ და კეთილ დღეებს,  
რომ დაუდგა ოჯიბეების  
მიწა-წყალსა აყვავებულს;  
თქვი სიმღერა მონდამინის,  
იღუმალი მონდამინის  
და კურთხევა მინდორ-ველის.

დაიმარხა სამუდამოდ  
სისხლის მსმელი წათი, შუბი,  
დააეიწუდათ ბრძოლის ხმები,  
ხალხთა შორის დადგა ზავი.  
მონადირე თავისუფლად  
საცურაოდ ნავს აგებდა,  
და უგებდა ბადეს წაევებს,  
და იკერდა თევზებს ბადით;  
მშვიდათ შრომას ეწეოდნენ  
ქალები და მცირე, დიდი,  
კრეფდნენ ველურ ბრინჯს ველებზე,  
აკეთებდნენ სახლში ტყავებს.

და ბედნიერ სოფლის ირგვლივ  
გაღამწვანდა ტურტად ყანა.  
და აღელდნენ მწვანე ფრთები  
მონდამინის მაღალ თავზე.  
ნაწნავეები ოქროსფერი;  
და ქალები გაზაფხულზე  
მუშაობდნენ მინდორ-ველად,  
ნახნავეებში სთესდნენ სიმინდს,  
და ქალები შემოდგომით  
მოაგლეჯდნენ სვითელ ნაბადს,  
მოაგლეჯდნენ ფრთებს, ნაწნავეებს  
დამწიფებულ მონდამინისა,  
როგორც უთხრათ ჰაავატამ.

მართელ როცა მორჩნენ თესვას  
ჩვენმა ბრძენმა, შორსმკვრეტელმა  
ჰაავატამ უთხრა ცოლსა:  
„მინეჰაჰა, შენ ამ ღამით  
დაგვილოცო უნდა ყანა;

შემოავლე ჯადოსნური  
შენ ნათესებს. ხაზი ყველგან  
რომ ვერავინ ავნოს ყანას,  
რომ ვერავინ მიგეაროს.

„ღამით როცა ბნელი ბინდი  
დაეცემა არე-მარეს,  
როს ნეპაეინ—ძილის სული  
გამოკეტავს ქოხის კარებს,  
დაეხშობა ყველას სმენა,  
დაეხშობა ყველას თვალი—  
სარეკლიდან აღეჭ, ფრთხილად,  
გაიხადე ტანსაცმელი,  
დაუარე შენ ნათესებს,  
დაუარე ირგვლივ ყანებს,  
მარტო თმეებით შემოსილმა  
ტანთაცმულ მა მხოლოდ ღამით.

„შფრო მოვა კირნახული;  
შენი კვალი ამ ყანაში,  
წრეს დასტოვებს ჯადოსნურსა;  
შემდეგ ვერას გვიზამს მატლი,  
კალიები, კუო-ნე-ში,  
ველარც მახრა, სობბიკაში,  
ველარც მწერი, პა-პოკ-კინა,  
ვერც ძლიერი ვე-მოკ-კვანა,  
ყველა პიის დედოფალი,  
და ვერავინ ვერ გადიარს  
ჯადოქრულ და წმინდა წრესა“!

ასე უთხრა ჰააავატამ;  
ყვავთა ხროვა კი მშვიტია.  
და კავაგი, მეფე მათი,  
მსუნაგი და უძლომელი,  
თავის შავი ბაცაცებით  
ისვენებდნენ იქვე ტყეში,  
იკინოდნენ, გაჰკიდნენ,  
და სიცილი მათი უშნო,  
საძაგელი, საზიზღარი  
ატოკებდა ფიქვის ტოტებს.  
დასცილოდენ ჰააავატას:  
„ო, ეს ბრძენი, ო, შეთქმული“!

შინდორსა და ტყეებს უღრანს  
გადეფარა ღამე მუნჯი;  
დარღიანმა ვავერნეასამ.  
დალონებით იწყო მღერა;  
ნეპაეინმა—ძილის სულმა  
გამოკეტა ვიგვამები.  
მინეჰაჰა ამ დროს სწორეთ  
წამოიჭრა სარეკლიდან,  
გაიხადა ტანსაცმელი,  
და სიბნელით შებურულმა,

უშიშრად და ურცხვენელად  
დაუარა ნათესებსა,  
და გაავლო მინდორ ველზე,  
ჯადოქრული, წმინდა ხაზი.

მხოლოდ ბნელი შუალამე  
შესცქეროდა მის შშვენებას  
და ესმოდა ვავონეასას,  
დაღუმებულ ვავონეასას  
ქალის ჩუმი სულის თქმა და  
მინეჰაჰას გულის ცემა;  
სამოსელი ლამემ წმინდა  
შემოხვია მქიდროდ ქალსა,  
რომ არავის ეთქვა მერე  
ტრაბახით და დაცინვითა:  
„მე მინახავს ის ტიტველი“!

ღღემ რომ თვალი გაახილა,  
დაუძახა ყვავთა მეფემ,  
ქურდ-ბაცაცთა ხროვას შავსა—  
ყვავებს, ყორნებს, კაჰკაჰებსა,  
რომ ჩხაოდნენ ხის ტოტებზე,  
და უშიშრად შეესიენ  
ჰაჰავატას ნათეს ყანებს,  
და სამარეს მწვანეთ მორთულს,  
სადაც იწვა მონღამინი.

ზონიერმა ჰაჰავატამ  
ეს წინასწარ ყველაფერი,  
განსკერიტა და მოიფიქრა:  
მას ესმოდა ფრინველების,  
ჩხავილი და ქირღვა გესლით.  
„კარგი, ჩემო მეგობრებო,  
„კო“-კაგაგი — ყვავთა მეფემ,  
შენ და შენი ქურდთა ხროვა  
დაიხსომებს ჰაჰავატას“!

ზაიდვიძა უთენია,  
და მთლად თავის ნათესები  
შემოფარგლა ხაფანგებით,  
და გამართა ყველგან ქსელი.  
თვით კი დაწვა ფიჰვის ტყეში.  
ჩაესაფრა და მოთმენით  
მოელოდა ყვავებს, ყორნებს,  
მოელოდა ქურდ-ბაცაცებს.

ზალე ფრთოსან ავაზაკებს,  
მთელი ყანა ნათესები  
დაეფარათ ჰრელი ფრთებით,  
ქვილით და ჩხავილითა,  
მათ ლაიწყეს ყანის რბევა.  
თუმცა ყველა ფრთხილი იყო,  
გაიძვერა, გამოცდილი,

მაგრამ მაინც ვერ შენიშნეს  
დამლუპველი მათი მახე,  
და უეტრად ყველა მოხვდა  
ჰააჲეტას გაბმულ ქსელში.

მაშინ რისხვით ჰააჲეტა  
გამოვიდა საფაროდან,  
და ყველაზე თავზე ტყვეებს  
თავს დაეცათ შიშის ზარი.  
უზოგველად ხოცდა ყველას,  
გულმოსული ჰააჲეტა.  
და დახოცილ ათეულებს  
ის კიდებდა ქიგოებზე,  
წმინდა ყანის ნაპირებთან  
ნიშნად შურისძიებისა.

ღა კაგაგი--ყვეთა მეფე  
მხოლოდ ის ლა შეიბრაღა--  
აღარ მოჰკლა ჰააჲეტამ,  
წაიყვანა სახლში მძველად,  
და ტირიფის მაგარ თოკით  
ბამოაბა სახურავზე.

შენ კაგაგი, როგორც ბელადს,  
ყანალობის თაოსანსა,  
ავეაჯათა წამქეზებელს,  
შენ აქ გტოვებ ჩემთან მძველად,  
ნიშნად რომ ეს მტრობა ჩემთან  
არ გაგივლით აწი გულში“!

ღა ტყვე დარჩა სამუდამოდ  
ჰააჲეტას ქოხის თივზე,  
თვალში ჰქონდა ჰუღამ რისხვა,  
და როცა მზე დილით ადრე  
შეაველებდა სხივებს ყანას,  
დაიწყებდა ბრაზით ჩხავილს  
დაიწყებდა ფრთების ფრთქილის,  
სურდა თავის აშეება და  
ეძახოდა ამხანაგებს,  
მოითხოვდა მათგან შველას.

მალიოღა ზაფხული და  
შავონდაზი ვნების ოხვრით,  
სამხრეთიდან ჩრდილოეთით  
აგზავნიღა ალურ კოცნას.

ღა სიმიღი მზეზე ნელა,  
იზრდებოღა, მწიფდებოღა,  
გაიკეთა თავი, ფოჩი,  
და ფერადი ტანსაცმელი,  
ტაროები მოელვარე,  
ამოვესო ტკბილი წვენიღ,  
და გახლეჩილ ფუჩჩიღიდან  
ელვარებდა ძვირფას თვლებათ.

და მოხუცმა ნოკომისამ  
ასე უთხრა მინნეჰაპას:  
„აი, ფოთლის ცვენის თვეცა;  
მინდვრის ბრინჯი მოეწიეთ,  
და სიმინდიც მწიფე არის,  
ღროა ჩავდგეთ ჩვენ ყანაში,  
და მონდამინს შევებაროლოთ --  
მოუხსნათ ფოჩი, ტაროები,  
ტანსაცმელი ყვითელ-მწვანე“!

და მაშინვე მინნეჰაპა,  
ნოკომისა მასთან ერთად  
გაეშურა ყანისაკენ.  
დაუძახეს სხვა ქალებსაც,  
დაუძახეს ახალგაზრდებს,  
რომ სიმინდი მოიწიონ,  
გაარჩიონ ერთად ტარო.

სურნელოვან ფიქვის ჩრდილში  
ტყის ნაპირას რბილ ბალახზე,  
მოხუცები, მეომრები,  
დამჯღარიყენენ ყველა ერთად,  
აბოლებდნენ ყალიონებს,  
დინჯათ ჩუმად უცქეროდნენ  
ხალისიან მუშაობას.  
დინჯათ ჩუმად უცქეროდნენ,  
უხაროდათ მათი შრომა,  
ახალგაზრდა ქალ-ვაყების  
სიცილი და სიმღერები.  
და მღეროდნენ ქალწულები  
ვით ვიგვამის ოპჩებო,  
კაჰაჰივით კისკისობდნენ,  
იცინოდნენ და ლალობდნენ.

თუ ბედნიერ გოგოს ტარო  
შებგდებოდა აღისფერი,  
მწიფე მეტად მოელვარე,  
იძახოდა ყველა -- „ნეშკა! --  
ბედნიერო, მალე აღბათ,  
შენ გაჰყვები ლამაზ ქმარსა“  
„უგჰ!“ ისმოდა ჩრდილში მჯღომი  
მოხუცების მოწონება.

თუ კი ვინმე იპოვიდა  
ტაროს ჭიანს, ნაზიანებს,  
და დაფარულს თითქოს ჯანგით,  
დაიწყებდნენ ერთად სიცილს,  
ერთად მღერას და სიარულს,  
ტანში მოხრით, ბებერავით,  
მიდიოდნენ და მღეროდნენ:  
„ვაგემინი... ველის კურდი  
პემოსელი, ავაზაკი“!







დღე სიცილი, როგორც ხარი  
წკრიალებდა ამ ყანებში,  
ამ დროს ჰააფატას სახლზე  
გასქვიოდა ყვავთა მეფე  
და კავაგი შებურბილი  
უძლურებით, ცოფით, ბრაზით  
ბორბავდა და ნაძვებიდან  
ხმას აძლევდნენ შეუწყვეტლივ,  
მისი შავი ბაცაყები —  
„უგჰა!“ ისმოდა ჩრდილში მჯდომი  
მონუცების მოწონება.

## წარწერანი

იმ დროს ბჟობდა ჰაფავატა,  
„ხედავ! როგორ სწრაფად ჰქრება  
ცხოვრებაში ყველაფერი!  
მობუცების ხსოვნიდანაც  
ჰქრება დიდი გადმოცემა,  
ძველ მებრძოლთა გმირობანი,  
ხელოვნება ვებინოსი  
და მიღების დიდი სიბრძნე,  
უცხო ხილვა და სიზმრები  
ჯადოსნური ჯოსაკილის!

„ღიქვაცები მოკვდებიან,  
და იმათთან ჰქრება ხსოვნაც,  
ჩენი სიბრძნეც, ჩენი ცოდნა,  
ვერ შიადწევს იმ თაობას,  
იღუმალ რომ მიმაღულა  
მომავლის უხმო ბინდში!

„წინაპართა საფლავებზე,  
აღარ დარჩა არც ნიშანი  
ვინ მარხია, ჩვენ არ ვიცით,  
ვიციტ მხოლოდ — წინაპრები.  
რა მოდგმაა, ან რა ტომი  
ან ტოტემი რაა მათი:  
დათვი, წავი თუ არწივი,  
აღარ ვიცით; ვიცით მხოლოდ  
ეს ხალხია — წინაპრები.

„თუ შევხვდებით ჩვენ ერთმანეთს —  
ვლაპარაკობთ, მაგრამ როცა  
დავშორდებით, — აღარ ძალგვიძს  
ერთმანეთთან ლაპარაკი.  
საიდუმლოს ჩაებარებით  
გამოგზავნილ ვინმე შიკრიკს.  
ის შიკრიკი, — ვინ გაიგებს? —  
როგორ უშნოდ ასხეაფერებს,  
ამახინჯებს ნათქვამ ამბავს,  
ან ვინ იცის, ვის უამბობს  
დაბარებულ საიდუმლოს!“

ასე ბეობდა ჰაგავატა,  
მოარული უღრან ტყეში,  
როცა მეტად აფიქრებდა  
თავის ხალხის ბედ-იბაღი.

ბოზარიდან გამოაწყო  
მრავალფერი საღებავი,  
და ნიშნები გამოხატა:  
გლუვ არყისა სუფთა ქერქზე,  
ბივრი ნაკეთი და ნიშანი  
საოცარი, საიდუმლო  
და ყოველი იმათგანი  
ანიშნებდა სიტყვებს, ფიქრებს.

ზიტჩი-მანიტო ძლიერი,  
ამ ცხოვრების შემოქმედი  
კვერცხის მ გავსად დაიხატა;  
წერტილები აღნიშნავდნენ  
ოთხივე მხრის ზეცის ქარებს.  
„დიდი სული ყველგან სუფევს“,  
ლალადებდა ეს ნიშანი.

ზიტჩი-მანიტო ძლიერი,  
ბოროტ სულთა დიდი მეფე.  
სხვა ნახატზე დიად გველად,  
კინებიკად აღინიშნა.  
„ქვემძროშია ავი სული,  
ვერაგი და ხერხიანი!“  
ლალადებდა ეს სიმბოლო.

მეტრი რკალი აღნიშნავდა  
ამ ცხოვრებას; სიკვდილს — შავი;  
და მათ მერმე ფერადობდნენ  
ვარსკვლავები, მზე და მთვარე,  
კაცი, მზეცი და ქვემძრომი,  
ყველაფერი, რაც კი სახლობს  
ტყეში, მთაში, მდინარეში.

ღეღამიწა მან ფერადი  
გრძელი ხაზით გამოხატა,  
ზეცა მასზე მოხრილ რკალად,  
ნიშნად დღისა — შუა ალაგს,  
ცარიელი დარჩა სივრცე,  
ღამისათვის — ეს ადგილი  
ამოივსო ვარსკვლავებით.  
წერტილები აღნიშნავდნენ:  
მარცხნივ მყოფი — აღმოსავლეთს,  
მარჯვნივ მყოფი — მზის დასავალს,  
ზევით, ცქიტში, კი — შუადღეს,  
და მის ქვევით ტალღის მსგავსი  
ხაზი — ლურბლებს, ავდარს, წვიმას.


შიგვამისკენ მიმავალი,  
ნატერფალი ნიშნავს პატივს,  
სანადიმოდ მოწოდებას;  
ხელები კი სისხლიანი,  
ზეცისაკენ აპყრობილი —  
არის რისხვა და მუქარა.

შააგატამ ეს ნიშნები  
გაოცებულ ხალხს უჩვენა,  
განუმარტა მნიშვნელობა.  
და თქვა: «ხელაფთ, წინაპართა  
საფლავებზე არც ნიშანი  
დარჩა სადმე! რას უყურებთ,  
წადით ყველა და აღნიშნეთ  
საფლავებზე გვარის ნიშნად,  
მამა პაპათ ძველი ხატი,  
რომ თაობამ მომავალმა  
წინაპრები განასხვავოს!»

და დახატა მაშინ ყველამ,  
ჯერ წაუშლელ საფლავებზე  
თავის გვარის ძველი ხატი,  
და ტოტემი თავის ტომის:  
დათვისა და ირმის სახე,  
წავის ხატი, კუ და წერო,  
და ეს იყო ნიშნად იმის,  
რომ იმ ქვის ქვეშ ის ემარხა  
ვინც უფროსი იყო გვარის,  
ვინც ტოტემი მოიგონა.

ჯადოქრები, ვებიწონი,  
მისნები და მკურნალები,  
შესალოცი სიმღერისთვის,  
აღნიშნაენდნენ არყის ქერქზე,  
ირმის ტყავზე, ყოველნაირ  
იღუმელ და საშიშ ნაკეთებს,  
მობრქვევილეს და უცნაურს,  
და ყოველი იმათგანი,  
ჯადოსნურ აზრს ანიშნებდა,  
ან სიმღერის იყო მცველი.

ბი, დიდი შემოქმედი  
დიად ნათელს მოაფენს ზეცას;  
აი, დიდი კინებიკო,  
იგრიხება და სისხლიან  
ქოჩორს იწვედნს ზეცისაკენ;  
აი, ცაში მზე ბრწყინვალე,  
აი, მთვარე მკრთალი, ცოვი;  
აი, წერო, ბუ, არწივი,  
და გრძნეული თეთრი ვარხვი,  
აი, ცაში მიმავალი,  
თავწაპრილი უცხო ხალხი,  
და ძლიერი მეომრების





ტახი, ისრით დახერტილი;  
აი, ცისკენ აპყრობილი  
ბნელ სიკვდილის მკაცრი ხელი,  
საფლავები და გმირები,  
მძლავრი ხელით რომ უჭირავთ  
ორივენი, ცა და მიწა.

ამის მსგავსად ააქრელეს,  
არყის ქერკი, ირომის ტყაეი;  
სანადირო და გმირული,  
საომარი სიმღერები,  
სიმღერები მკურნალების  
და გრძნეული ვებინების—  
ყველაფერი დაიხატა;  
და ყოველი ის ნახატ  
ჯადოსნურ აზრს ანიშნებდა  
ან სიმღერის იყო მკველი.

არც სიმღერა დაივიწყეს  
ენებიანი სიყვარულის,  
შელოცვაზე უფრო მძლავრი,  
წამლულზე უფრო მკრელი,  
და საშიში ყოველ ომზე.

აი, როგორ აღინიშნენ  
სიყვარულის სიმღერები:  
მეწამული მკრელი ფერით  
დახატული იყო კაცი:  
ეს—მიჯნური მომღერალი.  
აზრი იყო: „ჩემი ძალა  
ჯადოსნურად მეფობს ყველას“!

შემდეგ კაცი ზის და მღერის,  
გრძნეულ დაფდაფს გრძობით უკრავს;  
აზრი არის: „ყური მიგდე!  
შენ სიმღერა გესმის ჩემი!“  
მერმე ისევ ის ფიგურა  
მაგრამ ახლა სახლში მჯდარი;  
ამ ნახატის აზრი არის:  
„მე ეიქნები შენთან ერთად,  
ჩემს სიყვარულს არ აქვს ზღვარი“!

შემდეგ—კაცი ქალთან ერთად  
სდგას, უჭირავს ქალის ხელი  
ისე მაგრად, მტკიცედ, თითქოს  
ორის ხელი ერთი გახდა.  
აზრი არის: „შენ გულს ვხედავ  
და ალექსილს მორცხვად ლოყებს“!

მერმე—ქალი შუა ზღვაში  
ზის კუნძულზე, შუა ზღვაში,  
ამ ნახატის აზრი არის:  
„მართალია შენ შორს წახვედი,



ან კუნძულზე დარჩი სადმე,  
მაინც ჩემსკენ წამოიყვანს  
სიყვარულის ჩემი ბაღე\*1

შემდეგ—ქალი მიწოლილი,  
და მძინარე ტკბილი ძილით,  
მას მიჯნური მიჰპარვია  
და ალერსით ჩასჩურჩულებს,  
ამბობს: „თუმცა შორს წახვედი,  
მღუმარებია სამეფოში,  
ძილის მხარეს, მაინც ჩემი  
სიყვარულის გესმის ხმები!“

ბოლოს იყო ეს ნახატი:  
გული იღო ფართო წრეში,  
ჯადოსნური რკალის შუა.  
ამ ნახატის აზრი იყო:  
„შენი გული მუდამ შიშვლად  
არის ჩემთვის გაღებული!“

ასე ბრძენმა ჰაავატამ  
შეაჩვია ხალხი ხატვას,  
შეასწავლა მას იღუმალ  
წარწერების ხელოვნება,  
წერა გლუვი არაყის ქერქზე,  
თეთრი ირმის სუჟუთა ტყავზე,  
უპატრონოდ მიტოვებულ,  
საფლავებზე წინაპართა.



—

## ჰამაპატას ზოდება

**ტორღ** სულემს აწინებდა:  
ჰა ავატას, ჩაბაბაბოს,  
მათიეტებილი მეგობრობა,  
და კეთილი განზრახვები;  
ამიტომაც შეიკრიბნენ,  
და კავშირი დადეს შტკიცე  
ორ მეგობრის დასალუპათ.

ჰაავეტა ბრძენი, ფრთხილი,  
აფრთხილებდა მეგობარსაც:  
„ჩემო ძმაო, იყავ ჩემთან,  
ერთი წუთით ნურსად წახვალ,  
და ერიდე ბოროტ სულემს!“  
უღარდელი ჩაბაბაბოს  
ამ რჩევაზე იცინოდა,  
შეარხივლა ხუკუკუ თმასა,  
ამშვიდებდა ჰაავეტას:  
„შენ ნუ შიშობ, ჩემო ძმაო.,  
ბოროტი და მავნე სული  
ვერ გაივლის ჩემთან ახლოს.“

მართელ ზამთარს დაეფარა  
ყინულებით დიდი ზღეები,  
და გაშებულ მუხის ფოთლებს,  
ჰგლეჯდა ტოტზე ქარიშხალი,  
არ დგებოდა ტოტზე თოვლი,  
და ნაძვები იდგენ თოვლში,  
როგორც თეთრი ვიგვამები,  
ხელთ აიღო მშვილდ-ისარი,  
გაიკეთა თხილამური;  
არ დაუგდო ყური ძმასა,  
იმის თხოვნა-ვეღრებასა,  
ბოროტ სულემს არ შეუღრკა  
და წავიდა ჩაბაბაბოს  
მშველ-ირემზე სანადიროთ.  
ვით ისარი გაფრენილა,  
რბოდა ზღვაზე ხარ-ირემი,  
მონადირეც ვით გრიგალი  
სდევდა ირემს გაშმაგებით;  
გატაკებულს ნადირობით,  
დააეიწყდა ჩაბაბაბოსს  
ჰაავეტას დარიგება.

იჯდა წყალში სული ავი,  
აქ ეშოვა მას საფარი,  
და მზაკერულად ჩაუტება,  
მონადირეს ზღვის ყინული;  
ჩაითრია ნოჰლერალი  
ზღვის შირეში, და დალუპა;  
ენ, ტაჰიშ, იმ ზღვიების მიფემ,  
დაკოტების ფოლდმა ღმირთმა,  
ის დაახიო გიტრი-გუემის  
ყინულოვან მორეეებში.

ნაპირიდან ჰაჰაჰატამ  
დაიყვირა ისე მწარეთ,  
და ისეთი შეშფოთებით,  
რომ ყმულილი მორთეს მგლებმა,  
შიშით შეკრთენ ბიხონები,  
მთაში მენმა იგრილა,  
და გაისმა: „ბეიმ-ვაჰა“!

ჰაჰაჰატამ ამის შემდეგ  
შეიღება შუბლი შავად,  
მოსასხამი მოიხურა  
და ვიგვამში შვიდი კვირა  
მწარე მოთქმით იძახოდა:  
„დაილუპა, მოკვდა ნაზი,  
ტკბილზმიანი ჩაჰაჰაბაზოს.  
მან დაგეტოვა სამუდამოდ,  
ის წავიდა სხვა მხარეში,  
სადაც ისმის ზეციური  
სიმღერები და გალობა.  
ო! ჩემი ძმა! ჩაჰაჰაბაზოს“.

ღა გარდული ფიქრში სოკი,  
თავის წიწვის მარაოებს,  
მარაოებს მუქს და მწვანეს  
აფარებდა ჰაჰაჰატას,  
მასთან ერთად მწუხარებდა  
ნუგეშობდა ჰაჰაჰატას.

ჰა! მოვიდა გაზაფხულიც  
და ტევრები მოელოდა,  
მოჰლერალის გამოჩენას.  
და ოხრავდა ლელი ველად,  
და ოხრავდა სიბოფიშა.

ლტრჯფრთიანი ოვეისა  
ის ტოტიდან იძახოდა:  
„რად დაგეტოვე სამუდამოდ?  
ჩაჰაბაბაზოს, ჩაჰაბაბაზოს“!

ღა ოპეი წითელგულა  
იმღეროდა ვიგვამიდან:

„ჩაბაბაბოს! ჩვენო ტკბილო  
რად დაგეტოვე სამუდამოდ“?

ტყეში ლამით, სიბნელეში  
სულ ისმოდა სევდიანი  
ვაგონების დატირება:  
ჩაბაბაბოს, ჩაბაბაბოს!  
რად დაგეტოვე სამუდამოდ?  
ტკბილბზიანო ჩაბაბაბოს“!

შეიკრიბნენ მაშინ მიდი,  
ჯოსაკიდნი, ეებივები;  
ჰაბავატას ქოხის ახლო,  
ააშენეს ტყეში ბინა --  
და ვიგვამი უწმინდესი;  
შემდეგ დინჯად, ნელა, ჩუმად  
ინახულეს ჰაბავატა.  
თან წაიღეს პარკი, ჩანთა,  
ტყუის წავის, თახვის, მაჩვის,  
სადაც ჰქონდათ შენახული  
სამკურნალო ბალახები.

როცა მათი ახლოს მისვლა  
გაიგონა ჰაბავატამ,  
სწრაფი შესწყვიტა ოხერა, კენესა  
და ძახილი მეგობარის.  
აღგა, უბრად ჩამოიხსნა  
მოსასხამი მობურული,  
და სახეზე მოიცილა  
მწუხარების შავი ფერი,  
და ლფთური ვიგვამისკენ,  
ვით მძინარე გაჰყვა უკან.

იქ ბალახის წვენი მისცეს  
ჯადოქრული, შელოცვილი,  
პიტნა მწვანე, ნამა-ვესკი  
და ძირტკბილა, ვებინო-ვესკ  
შემდეგ ეყვანს დაჰკრის ნელა,  
და იმღერეს შელოცვები,  
საიდუმლო ჰიმნი ტკბილი:

„შე ვარ შენთან, მე ვარ თვითონ —  
მე არწივი ყოელის შემდეგ,  
შეიკრიბეთ, ყური მივდეთ  
თეთრფრთიანო ყორანებო,  
მეხმარება გრავინვა ზეცის,  
უხილავი სული მშველის.

ჰველგან მესმის მათი ხმები,  
და ძახილი მალალ კიდან!  
მშაო! ძალა მოიკრიბე,  
განიკურნე ჰაბავატა!“

„ჭი-ო-შა-ევა!“ დაიძახა,  
დაიძახა ერთად გუნდმა  
„ვეჟ-შა-ევა!“ — უპასუხა  
ერთად გუნდმა ჯადოსნურმა.

„მეგობრებო-გველნო ყველა:  
„მოსმინეთ, მოსმინეთ,  
მომინოს ტყავს მე შევარხე  
მანგი, იხვო, მოგკლავ ახლა,  
გაგიგმირავ ისრით გულშეკერდს,  
ძმაო, ძალა მოიკრიბე,  
განიკურნე ჰაჟაეატა,  
„ჭი-ო-შა-ევა!“—დაიძახა  
დაიძახა ერთად გუნდმა  
„ვეჟ-შა-ევა!“—უპასუხა  
ერთად გუნდმა ჯადოსნურმა.

„შა, მოველი მოვეი დიდი.  
ელაპარაკობ და შიშს ვთვავ,  
ელაპარაკობ და თრთის ყველა.  
ჩემი ქოხი, წმინდა ქოხი,  
როცა მივალ — ცა ზანზარებს  
ცა ცახცახებს ჩემ ფეხს ქვევით.  
ძმაო ძალა მოიკრიბე.  
ხმა გაიღე ჰაჟაეატა!“  
„ჭი-ო-შა-ევა!“—დაიძახა,  
დაიძახა ერთად გუნდმა,  
„ვეჟ-შა-ევა!“: უპასუხა  
ერთხმად გუნდმა ჯადოსნურმა.

და არხედნენ პარკებს ხელში;  
ასრულედნენ მიღთა ცეკვას,  
ჰაჟაეატას ირგვლივ გუნდი —  
წამოიჭრა და შეშფოთდა,  
განიკურნა სევდისაგან.  
როგორც ჰქრება ვაზაფხულზე  
და წყალს მიაქვს ყინულები,  
ისე გაჰქრა დღე მწუხარე;  
როგორც ცაზე ჰქრება ნისლი —  
ისე გაჰქრა ფიქრი შავი.

შემდეგ იმის მეგობარსა —  
ჩაბაბაბოსს შეევედრენ,  
რომ წამოდგეს სამარიდან,  
დიდი ზღვების წიალიდან,  
იმოდენა ძალა ჰქონდა  
ამ შელოცვებს და მათ ძახილს  
რომ მოესმა ჩაბაბაბოსს  
გიტჩი-გუმის მორგებში  
ეს ძახილი, შელოცვები.

წამოიჭრა ჩაბაბაბოსს,  
ყურს უგდებდა ჰიმნის მღერას;

და მარჩილი შელოცების,  
დადგა ქობის კარის ბქეზე.  
იქ მას მისცეს სარკმელიდან  
ნაკვერცხალი ანთებულო,  
და უწოდეს მკედართა ქვეყნის,  
სულთა ქვეყნის გამგებელი.  
წამოსვლისას დაავალეს,  
კოცონების გაჩაღება,  
მიცვალებულ სულებისთვის,  
როცა სევდის გზით მიდიან  
შორს პონიმას სამეფოში,  
საიქიო ქვეყანაში.

შიატოვა მისმა ლანდმა  
გულის სწორნი, ნათესავნი,  
მშობლიური მინდორ-ველი;  
როგორც კვამლი, როგორც ლანდი  
გადაველო ტყეს და მთებსა,  
მიიმალა ჩაბაბაბოს.  
სადაც ხეებს მიეკარა,  
არ შეტოკდა იქ ხის ტოტი,  
სადაც ბალახს დაბიჯა,  
არ დახრილა იქ ბალახი,  
არ ისმოდა შარი-შური.

ასე ოთხი დღე და ღამე  
მიდიოდა ნელი ბიჯით,  
მიცვალებულთ ბილიკებით.  
და ამ გზაზე მიმავალი,  
მიცვალებულთ სკამდა მარწყესა;  
მუხის ტოტით გადაცურა,  
სევდიანი მათი წყალი,  
და ვერცხლის წყლის ტბები ფართო  
გადასცურა ქეის ნავითა,  
და ნეტართა ქვეყანაში;  
სულის ჩრდილის სამკაროში,  
მიიტანა ის მდინარემ.

გზაზე ნახა მან მრავალი  
მკრთალი სული, დატვირთული  
და დაღლილი მძიმე ბარგით:  
ტანსაცმელით, იარაღით,  
ქოთნებით და საკმელებით,—  
და ეს იყო მეგობრების  
საჩუქარი და საგზალი.

და ჩიოდნენ მწარედ სულნი  
„ნეტავ რატომ გვაკისრებენ  
ჩვენ ცოცხლები ამ ტვირთს მძიმეს.  
გვიჩვენია ჩვენ სიტიტელე,  
გვიჩვენია ჩვენ შიმშილი,  
ასეთ მძიმე ტვირთის თრევას! —

ჩვენ დაგვალა ბარგმა მძიმემ  
და ამ გზებმა შორეულმა.“

პაპავატამ კი დიდი ხნით  
თავის ქოხი მიატოვა,  
გაეგზავრა აღმოსავლეთს,  
წარემართა დასავლეთით,  
ასწავლიდა ყველგან ყველას,  
როგორც უნდა მოეხმარათ,  
სამკურნალო ბალახები.  
ასე წმინდა ხელოვნება —  
სნეულების მკურნალობა  
შეასწავლა ადამიანთ.

---

## პო-პოკ-კივის

ქმ გიმლეებთ, პო-პოკ-კივის,  
მობდენილი ღენაღიზნი,  
როგორ ლაღად, კანნიერად,  
აღელვებდა მუღღრო სოფელს,  
რა საოცრად გაურბოდა,  
ჰაჰაეტას შურის გებას,  
და როგორი მოჰყვა ბოლო  
მის მრავალგვარ გარდაქცევას.

ზიტჩი-გუმის ნაპირებზე,  
დიიდი ზღვის ნათელ წყალთან  
ნეგო-ვოჯუს ქვიშის მთებზე  
~~ჰქონდა ჰოხო-პო-პოკ-კივისს.~~  
იგი იყო ვინც იტეკვა,  
ჰაჰაეტას დიდ ქორწილში.  
ვინც იტეკვა ასე შმაგად  
იქ სტუმრების გასართობად,  
მათხოვარის შლეგი ცეკვა,  
იგი იყო, ვინც ფეხებით  
დააგროვა ქვიშის მთები,  
მიაყარა ნეგო-ვოჯუს.

ახლაც უქმი პო-პოკ-კივის  
გამოვიდა ვიგვამიდან,  
აჩქარებით გაეშურა  
მახლობელი სოფლისაკენ,  
იქ აგუს სახლში ნახა  
ჰაბუკების დიდი კრება,  
ლექის მთხრობელს რომ უსმენდნენ,  
ძველ-ძველ ამბებს ყურადღებით.

უამბობდა მათ ძველ ზღაპარს  
ის ოჯივის, კვირნის ამბავს,  
ზეცის თალი რომ გახვრიტა  
და შეეცოცდა ნელ-ნელ ცაში.  
და ზაფხულის ცხელი დარი,  
სამუღამოთ გადმოუშვა.  
სულ პირველად როგორ სცადა  
ეს ამბავი ტბების წაგმა,  
მერე თახვმა, მაჩვმა, ვეფხმა  
თავი როგორ გამოსცადეს,



მთის მწერვალზე როგორ აძვრნენ,  
მიახალეს შუბლი ზეცას,  
სცემეს ზეცას, მაგრამ ზეცა  
მხოლოდ ოდნავ გაიბზარა.  
ფოცხვერზედაც მიღდა ჯერი,  
მანაც თავის ბედი სცადა,  
დაიწია როგორც ციყვმა,  
ხელი ზურგზე გადაიწყო.

„ისკუბა და,—თქვა მაგუმ  
ისკუბა და უტებ ქვევით  
გაიბზარა ზეცის თალი,  
ვით ყინული გაზაფხულზე  
გალევიძებულ ნაკადს ზევით;  
კვლავ ისკუბა და უტერად,  
გაიბზარა ზეცის თალი,  
ვით ყინული გაზაფხულზე  
აღიდებულ ნაკადს ზევით.  
ერთიც სცადა და მაშინვე  
გატყდა ზეცის მტკიცე თალი,  
და ფოცხვერი შეძვრა შიგნით,  
თალის უკან მიიშალა,  
და ოჯიგიც ხერხიანად  
იმავე წუთში შეხტა ცაში“.

„ჩესმის“,—უთქვამს პო-პოკ-კივის,  
როცა კარის ზღურბლზე გაჩნდა:—  
მე მომწყინდა ეგ ზღაპრები,  
მოხუც მაგუს თქმულენანი  
ვგონებ უფრო მეტად, ვიდრე  
ჰააფატას სიბრძნე დიდო.  
მე მაქვს სულ სხვა გასართობი,  
მაგ ამბებზე უფრო კარგი“.

საზიშო, ამაყ სახით  
გან მგლის ტყავის ჯუღზანიდან,  
ამოიღო ნელა ჯაში  
და ნაკვთები პოგასენის;  
დიდი გურზი, პოგემოგონ,  
ერთი კობტა თევზი, კიგო,  
ორი გველი, კინებიკი,  
და პაიკი წყვილი ერთად;  
სამი იხვი; ოთხიც რგვალი  
რვალის დისკო, ოზაგამიკ.  
ყველა ნაკვთი დისკოს გარდა,  
ძელისგან იყო გამოკერილი, -  
შედებილი ორივე მხრიდან  
ზევით წითლად, ქვევით თეთრად.  
ოთხივე დისკო—შავი რვალის,  
ცალი მხრიდან მოელვარე.

შან ხის ჯამში მოათავსა  
და არია ეს ნივთები,

მერე დაბლა გადმოყარა  
და ხმამალა იწყო ახსნა:  
„წითელი მხრით დაჯდა ყველა,  
მაგრამ გველი, კინებიკი  
რვალის დისკოს მოვლევარე,  
გვერდზე დადგა; ერთად ყველა  
ასოცდაათს და რვას უდრის!“

მერე ისევ აურია,  
მოათესა ისევ ჯამში,  
გაღძოყარა იატაკზე  
და დაიწყო კვლავ ძაბილი:  
„ორთავ გველი თეთრი დაჯდა,  
პაიკებიც თეთრით დასხდნენ,  
დანარჩენი-წითელ მხარით:  
ანგარიშით ორმოცდაათს  
და რვას უდრის ერთად ყველა!“

ასე სთვლიდა პო პოკ-კივის,  
ასწავლიდა ასე თამაშს,  
და უხსნიდა მრავალ წესებს  
ახვადასხვა გვარ მნიშვნელობას.  
ოცი თვალი ხარბი მხერით  
უუუერებდა პო-პოკ-კივისს.

„ზევრი ვნახე,—თქვა ააგუმ:  
თამაშობა მრავალგვარი,  
უცხო ხალხის, უცხო მხარის,  
თამაშობა ბევრი ვსცადე.  
ვინც შებედავს მოხუც ააგუმს,  
უნდა იყოს მარჯვე ბიჭი.  
თუმც თავს იქებ, პო-პოკ-კივის,  
მინც წუთში დაგამარცხებ,  
გაკვეთილსაც მოგცემ ახლავ  
პოვასენის მაგ თამაშში!“

ჩამოსხდნენ და წამოიწყეს  
ბერებმა და კაბუკებმა,  
საოცარი გასარაობი.  
სდებდნენ ვამპუმს და ტანსაცმელს,  
იარალს და მორთულობას,  
ითამაშეს რიგრაეამდე,  
ითამაშეს სანამ ბოლოს  
ხერხიანმა აენადიზხიმ  
არ მოუგო ყველას ერთად.  
წამოილო ვამპუმები,  
უკეთესი ტანსაცმელი,  
საომარი იარაღი,  
ჩიბუხები, თალისები.  
ყოველგვარი მორთულობა.  
ოცი თვალი მის წინ ხარბათ,  
ელვარებდა მგლური მხერით.

ბოლოს უთქვამს პო-პოკ-კივის:  
„ჩემს ვიგვამში ვარ მე მარტოდ,  
ხეტიალშიც დამქირდებდა  
ერთი კარგი ამხანაგი,  
თანაშემწე, მეშინოვა,  
ვინც ატარებს ჩემთვის ჩიბუხს.  
ამ მონაგებს ერთად დაესდებ  
ამ იორალს, ფრთებს, ვამპუმებს,  
დაგროვებულ მორთულობას,  
მე ყველაფერს დავსდებ ერთად  
ამ ყმაწვილის მოსაგებად!“

ის ქაბუკი იქნებრდა  
თექვსმეტი წლის კობტა ბიკი.  
შვილი ძობუც ააგუს მისა.

მით ჩიბუხის ფერფლში წითლად,  
მოელვარე ცეცხლის ალმა,  
ისე მკაცრად ვაიელვა,  
პირქუშ ააგუს თვალთა მზერამ  
„უგპ“!—პასუხად დაიღმუელა,  
„უგპ“!—სტუმრებმაც დაიგროვინეს.

და დაბლუჯა ძელიან ხელით  
მან ბედითი ჯამი სწრაფად,  
ფიგურები იატაკზე  
ვაშმაგებით ვადმოჰყარა.

მორიგ გველი წითლით დაჯდა,  
პაიკებიც წითლით დასხდნენ,  
წითლით დაჯდა სამთავ იბვიც,  
შავით—ოთხივ რვალის დისკო,  
თეთრით—მხოლოდ თევზი, კიგო;  
ყველა რიცხვით იყო ხუთი.

მოლიმარე პო-პოკ-კივის  
წამოდგა და ჯამში უცებ,  
გადაჰყარა ფიგურები,  
აისროლა მალა ჯამით  
და მიწაზე გადმოშალა;  
წითლად, თეთრად, შავი ფერით  
აელვარდა პოგასენი,  
და პაიკი; ინაანევეგ,  
სხვების შუა მარჯვედ დადგა,  
როგორც მარჯვე პო-პოკ-კივის,  
იღვა მარტოდ და ამბობდა:  
„ხუთ ათეულს უდრის ყველა,  
მოგებაა ისევ ჩემი.“

მსკი თვალი მის წინ ისევ  
აელვარდა მგლური მზერით,  
როცა ადგა და ვიგვამი  
მიატოვა ამაყურად;

უკან გაჰყვა შეშინოვა,  
შეილი მოხუც ააგუს ძმისა,  
ტანადი და კობტა ვაეი,  
და წაილო ვამუშევი,  
იარალი, ირმის ტყავი,  
ჩიბუხები, და ყარყუმის  
ბეწვეული მეტად ძვირი.

„იქ წაილე ჩემს ვიგვამში,  
ნეგო-ვოჯუს ნაპირებზე!“ —  
თქვა პატრონმა და ვიგვამი  
ზარათი მიუთითა.

თამაშობამ და თამბაქომ  
დაუწოთლეს შას თვალეში,  
მაგრამ მკერდი სიხარულით,  
ისუნთქავდა დილის ჰაერს.  
ყველა ჩიტი სტვენდა ტბილად,  
ხმაურობდა ნაკადული  
და ლამაზი აენადიზნის  
მკრედში გულიც იმღეროდა,  
ნაზად, ტბილად, როგორც ჩიტი,  
სცემდა ლალად, როგორც წყარო.  
და მისდევდა აენადიზნი  
დილის ბინდში სოფლის შარას,  
თავს ირთობდა მარათი,  
მოკაზმული გედის ფრთებით,  
და მიაღვა ბოლოს ვიგვამს,  
ჰაავეატას მყუდრო სადგურს.

ჩუმად იდგა მყუდრო ბინა  
და არავინ გამოსულა  
კარში სტუმრის შასახვედრად;  
ფრინველები ელურტულეზდნენ  
მხოლოდ კართან და ვარშემო  
ხტოდნენ, სტვენდენ, ფრთხაილებდნენ,  
და კენკავდნენ დაყრილ მარცვლებს;  
კავავი კი, ყორნის მეფე,  
ქანდარიდან შეხვდა მტრულად,  
დასჩხავლა და ცეცხლის თვალი  
შეანათა პო-პოკ-კივისს.

„შინ არავინ დარჩენილა,  
წასულია ყველა მინდვრად!“  
თქვა თავისთვის მან და გულში  
გაატარა ავი ზრახვა, —  
„წასულია ჰაავეატა,  
და სულელი მინნეჰაჰა,  
ნოკომისაც შინ არ არის,  
უპატრონოდ დარჩა ქობი“.

პორანს ყელში წაუქირა,  
მოუგრიხა ყელი, როგორც

წამლეულის ჯუზდანს გრეხენ,  
დაახრო და ქანდარაზე,  
უსიციოცხლოდ ჩამოჰკიდა;  
ჩამ-ჰკიდა, ვით აუგი  
საქმე მისი პატრონისთვის;  
ჰაჰავატას საძრახისი.

შერე კარი შემოალო,  
მიმოფანტა აქეთ-იქით,  
საუჯახო ნივთი ყველა  
გადაჰყარა სადაც მოხვდა,  
კაშჩის და წაეის ტყავი,  
ფოცხვერის და თახვის ბეწვი,  
და ყარყუმის ბეწვეული  
მიმოჰფ-ნტა, ვით აუგი  
საქმე მოხუც ნოკომისას,  
მინნეჰაჰას საძრახისი.

შზრუნველი მღერით, სტვენით,  
გამოვიდა და ტყისაკენ  
გაეშურა უღარდელად-  
დაუსტვინა ციყვებს, ზევით,  
მუხის შტოზე ჩამომსდარბენს,  
რკოს რომ ჰკრეფდნენ და უშენდნენ  
ნაჩენჩხს დაბლა პო-პოკ-კივისს.

შმღეროდა ტვერის ჩიტებს,  
ხშირ ფოთლებში მიმალულებს,  
ქიკქიკით რომ პასუხობდნენ,  
ისეთივე ლალი მღერით—  
ფრიალო კლდის ნაპირიდან,  
გაჰყურებდა გიჩი-გუმის,  
ამაყურად კლდის მწვერვალზე,  
ღია კლდეზე მარტოდ იწვა  
და ბოროტად მოელოდა  
ჰაჰავატას დაბრუნებას.

ღა პირალმა, ხელგაშლილი,  
ის შუადღის მზეში სთვლემდა;  
ქვევით ტალღა ხმაურობდა,  
ქვევით წყალი ყრიდა შეხვებს,  
ზევით ზეცა გაშლილიყო,  
უსამანო ლურჯი ზეცა.  
მის გარშემო მიმოფრენდა,  
ფრინველების დიდი გუნდი  
ჩხაოდა და პო-პოკ-კივისს  
ლამის გრძელი ფრთებით სცემდა.

ღა მან ბევრი ჩამოჰყარა,  
ამოჰხოცა მან იქ ბევრი,  
მან ათობით გადაჰყარა

ფრინველები გიტჩი-გუმში,  
მაგრამ ქმლოს კაიოშემა,  
მეთოელიამ იცნო იგი,  
ლაუძახა დანარჩენებს:  
«ეს—თავხედი პო-პოკ-კივის  
გვხოცავს აველას ჩვენ ასობით!  
ჰააააატა სად-ლა არის!  
შეუთვალეთ ჰააააატას!»!

---

## პო-პოკ-კივის ღმინა

როს დაბრუნდა ჰააგაიატა,  
მოაწია თავის სოფელს,  
შემოედვა რისხვის ალი,  
რადგან ნახა, რომ სულუველა:  
პატარა და დიდი ერთად  
მოუცვია შფოთს და ლელვას,  
რადგან ნახა პო-პოკ-კივისს,  
თუ რა საქმე ჩაედინა.

იხრობოდა სიბრაზისგან,  
აუვარდა კბილთა ღრკენა,  
შეაჩვენა მტერი ავი  
გაჰკიოდა, როგოც ბუკი.

„მოველაჲ იმას,—ბუტბუტებდა,  
ვნახავ, მოველაჲ ამ ავაზაკს.  
რა გინდ გზები იყოს შორი,  
რა გინდ გზები იყოს ძნელი,  
ჩემი რისხვა დასძლევს ყველას  
დაეწევა შურისგება!“

დაუძახა მან მეზობლებს  
და მაშინვე და სასწრაფოდ  
დაედევნა გაჰყვა კვალსა,  
ტყეზე, სადაც გაუვლია,  
გიტჩი--გუმის ნაპირებზე:  
მაგრამ ვერცინ ჰპოვა მტერი,  
ნახეს მხოლოდ ის ადგილი,  
ბალახები მოცვის ბუჩქთან  
სადაც იწვა ისევეებდა,  
სადაც მის ფეხს გაეთელა  
ბალახი და ყვავილები.

უცებ მწვანე მუსკოდებზე,  
დაინახეს პო-პოკ-კივისს,  
გაქცეული თავხედურად  
დასცინოდა თავის მღვგრებს.  
მალა მთიდან ჰააგაიატამ  
დაუძახა, დაუყვირა:  
„რა გინდ შორი იყოს გზები,  
რა გინდ ძნელი იყოს გზები,

ჩემი რისხვა დასძლევს ყველას  
დაჯეწება შურისგება!

სა-ლკლდეებზე, მდინარეზე,  
ბუჩქებზე და ულრან ტყეზე,  
მიფრინავდა და მიპჭროდა,  
ვით ქურციკი ხტოდა მაღლა  
გაიძვერა პო-პოკ-კივის.  
და შეჩერდა ბოლოს უცებ,  
ერთ ქალაში და ტბის პირად  
სათავეზე რომ აეგოთ  
წინდახედულ და ფრთხილ წავებს.

ის შეჩერდა ფართოდ გაშლილ  
მდინარესთან, მორევებთან,  
სადაც წყალში იზრდებოდა  
ხეები და ქოთანები,  
სადაც ლელი და ლერწამი  
ირჩეოდა ჩურჩულითა.

მა მორევთან პო-პოკ-კივის  
შედგა მოწნულ ფაცერებზე,  
გადიოდა შიგ ტალღები  
ნაკადული რბოდა ზევით.  
და მორევის ღრმა ძირიდან  
ამოცურდა წავი ნელა,  
უცხო სტუმარს მოულოდნელს  
გაკვირვებით მიაშტერდა.

ამ წავის წინ პო-პოკ-კივის  
დაფიქრებით დამდგარიყო,  
ფეხთან ნაზად ეღუტულებდა,  
ნაკადულის ვერცხლის ტალღა.  
წავს დაუწყო საუბარი.  
და თან უთხრა ეს ღიმილით:

„მეგობარო, ჩემო ამიკ!  
ნება მომეც დავისვენო,  
დავისვენო შენ ვიგვაშში,  
ამ მდინარის გრძელ ტალღებში,  
და ამიტომ გევედრები  
მომეც სახე ამიკისა“!

წავმა ფრთხილად უპასუხა,  
გაჩერდა და უპასუხა:  
„წავალ ერთი სხვა წავებსაც  
ვკითხავ რჩევა-ღარიგებას“!  
თქვა ეს, სწრაფად ყვინთა წყალში  
როგორც ლოდი დაიძირა,  
დაიმალა ზამბახების,  
ფოთლების და ლერწმის ჩრდილში.



და მორევთან პო-პოკ-კივის  
სიფრიფანა ფაცერს მდგომი  
მოელოდა წავის მოსვლას.  
გაურკვეველ ბუტბუტითა  
ქავლი ვერცხლის სტემა ფეხებს,  
ფაცერიდან ქებებზე დენით  
იღვრებოდა ნაკადული,  
მიმავალი ველისაკენ;  
ირგვლივ ტვერი მწვანე ფოთლით,  
და ტოტებით შრიალებდა;  
ტოტებს შორის სხივი, ჩრდილი  
დაფარული რბილ ბალახზე  
ელავდა და თამაშობდა.

ნელა-ნელა თითო-თითოდ  
შეიკრიბა წავის ჯარი,  
ჯერ გამორჩნდა ერთის თავი,  
შემდეგ კიდევ და მესამეც,  
მალე ფართო ტბის ზედაპირს,  
მოეფინა დინგი ბევრი  
შავად მზეზე მოკრიალე.

მშააკური ღიმით ტუჩზე  
წაეგბს ეტყვის პო-პოკ-კივის:  
„მეგობრებო, თქვენ ვიგვამში  
მყუდროება არის ტბილი,  
თქვენ ყველანი გამოცდილი,  
და ბრძენი ხართ უსათუოდ.  
მეც მსურს ახლა გადავიქცე,  
გავბდე წავი და ამიკი.  
და გთხოვთ ახლავ შემისრულოთ  
ეს თხოვნა და ეს სურვილი!“  
„კარგი, კარგი — ეტყვის ამიკი,  
ეტყვის წავთა მეფე ამიკი:  
მაშ, ჩამოდი ჩვენთან წყალში  
მაშ, ჩამოდი აქ წავებთან!“

და წავებთან ღრმა მორევში  
ჩაიძირა პო-პოკ-კივის;  
ტანსაცმელის მაგიერად  
შემოედვა შავი ბეწვი  
კრიალა და გაგლესილი,  
ტერფზე ორი მელის კუდი  
შეუერთდა ერთ შავ კუდათ,  
გადაიქცა წავად კაცო  
გახდა წავი პო-პოკ-კივის.

„მეგობრებო, — უთხრა წავებს, —  
მსურს სიმაღლე, სისხო დიდი,  
მსურს ყველაზე ვიყო დიდი.“  
„კარგი, კარგი — ეტყვის ამიკი, —  
აი ჩოცა მოხვალ ჩვენთან,

ჩვენ ვიგავში და წყლის ფსკერზე  
იქ გახდები ათჯერ მეტი.“

ბნელ ტალღებში მიჰყვებოდა,  
წაფებს ასე პო-პოკ-კივის,  
წყლის ქვეშ, სადაც ეგდო ფსკერზე  
ტრ-ტრები და ხის ჯირკები,  
და ვიგვამის თაღს მიადგა  
ის წაფებთან ერთად მალე.  
აქ ის კიდევ შეიცვალა:  
გახდა ათჯერ მეტი, დიდი,  
და წაფებმა უთხრეს მაშინ:  
„შენ ბელადი იყავ ჩვენი  
და ბატონი იყავ ჩვენი.“

მაგრამ დიდხანს ველარ დატკბა !  
ამ პატივით პო-პოკ-კივის:  
ზამბახებს და ანწლებს შორის  
საკუშავოთ მდგარმა წაფმა  
დაიყვირა: „ჰააავატა  
სათავეზე ჰააავატა!“

ამას მოჰყვა ხმაურობა  
საუბარი და ყვირილი,  
და სათავის ლაწა-ლუწი,  
წყალიც უცებ ატორტმანდა  
და დაიწყო წყალმა კლება,  
და გაიგო ყველამ შიშით  
რომ სათავე გამოინგრა.

სახურავიც ჩაიღწა  
მათი ფართო ვიგვამისა,  
ჩანგრეული სახურავით  
შემოიქრა მზის სხივები,  
და წაფები სწრაფად, შიშით  
აშურებდნენ ღრმა მორიგებს,  
მაგრამ ჩვენი პო-პოკ-კივის,  
დიდი მეტად, ზორბა, მსხვილი  
ველარ გაჰყვა მათ კარებში:  
გაბერილი როგორც ბუშტი  
საკვებით და ზეიადომით.  
ჰააავატა მას ზევიდან  
უყვიროდა, უძახოდა:  
„პო-პოკ-კივის ტყვილა ცდილობ,  
არას გარგებს სახის შეცვლა,  
ვერსად წახვალ პო-პოკ-კივის.“

არ ზოგავდნენ სცემდენ კეტებს,  
პო-პოკ-კივისის სცემდნენ ისე  
თითქოს ფშვნიდნენ ტაროს ხმელსა.  
დაუშტვრიეს თავის კეფა,  
საკაცებზე დადგეს შემდეგ,  
და წაიდგეს სოფლისაკენ,

მაგრამ ჩვენი პო-პოკ-კივის  
მისი სული—ჯიბი მაინც  
ვერ მოექლათ ასე უტებ.

ზართხალეზდა და ბორგაედა,  
ქანაობდა გრეხით, მანჭვით,  
როგორც ფარდა ფანჯარაზე  
შერხეული ქარის ფრთებით.  
მოიკრიბა ისევე ძალა  
და მიიღო კაცის სახე,  
წამოიჭრა და გაიქცა  
პო-პოკ-კივის გაიძვერა.

• მაგრამ მაინც ჰაჰაეატას  
ტუქში ველარ დამალა;  
როცა ლურჯი, რბილი ბინდი  
მოსდებოდა არე-მარეს,  
მწვანე ფიჭვის ტოტებს შორის,  
შემდეგ ვიწრო ბილიკებით,  
როგორც ქარი, ქარიშხალი  
მიიწვედა პო-პოკ-კივის,  
გლეჯდა ტოტებს ლაწა-ლუწით,  
მაგრამ მაინც მას ხმაურში,  
ვით ზაფხულის წვიმა-თქეში,  
ეწეოდა უღმობელად  
მას მელგარი ჰაჰაეატა.

ჰა შეეკრა სუნთქვა ბოლოს,  
და შეჩერდა პო-პოკ-კივის  
ფართოდ გაშლილ ტბის ნაპირზე,  
სად ლელის და ზამბახთ შორის  
დასცურავდნენ წყლის ბატები.  
ხან მალაედა მათ ხის ჩერო,  
ხან ბრწყინავდნენ მზის სხივებზე  
ზევით სწევდნენ ფართო ნისკარტს,  
ყვინთაობდნენ ცისფერ წყალში.

ღა მათ ეტყვის პო-პოკ-კივის:  
„პეშნეკე! ჰა, ჩქარა, ახლავ  
მსურს გადვიქცე ამ ტბის ბატად,  
მხოლოდ მინდა ვიყო დიდი,  
ათჯერ უფრო ლონიერი,  
ვიდრე თქვენ და სხვა ბატები!“

ღა გადიქცა ის წყლის პატად,  
ვებერთელა გახდა ბაჭი,  
მოგლესილი ფართო მკერდით,  
უხარმაზარ ფრთებით ზურგზე,  
დიდი ფართო ნისკარტითა,  
მაშინავე ტყიდან უცებ  
ძახილით და ხმაურითა  
გამოვარდა ჰაჰაეატა.

და ხმაურით წამოიჭრა  
ტბის სარკიდან, ლერწმებიდან  
აფერენილი ბატთა გუნდი,  
ასე უთხრეს პო-პოკ-კივის:  
„იყავ ახლა მეტად ფრთხილი,—  
მოერიდე ცქერას ქვევით,  
რომ არ მოხდეს რამ ხიფათი  
რომ არ მოხდეს მარცხი რამე!“

ზაბედულად გზას გაუდგნენ,  
ჩრდილოეთით ველურ მხარეს,  
შორეული ედვით გზები,  
მიფრინავენდნენ ხან პურუსში,  
ხან ელვარე სხივების ქვეშ;  
ილამებდნენ, თავს ირჩენდნენ  
ლაქაშებში, ჭაობებში.  
დღით ადრე გუნდი ისევ  
მიფრინავდა, ფრთებში ედვათ;  
სამხრეთისკენ მჭროლი ქარი

და უცრად გაიგონეს  
შორეული ხმა, ძახილი,  
გაიგონეს კაცის სიტყვაც,  
იმ სოფლიდან რომლის თავზე  
მიფრინავდა ბატის გუნდი.  
ხალხს უკვირდა, უცქეროდა  
პო-პოკ-კივისს და მის ფრთებსა,  
ჯერ არ ნახულს უზარმაზარს,  
და ეს ფრთები მეტი იყო,  
ვიდრე სახლის კარის ფარდა.

მას ესმოდა ეს ყვირილი,  
ჰაააატას ხმა ესმოდა,  
და ძახილი ააგუსი,  
დაავიწყდა რჩევა ბატთა  
გადმოხედა მაღლით მიწას—  
და უშაღვე ქარმა დაჰკრა,  
აიტაცა, შემოკცა,  
და ბზრიალით წამოიღო,  
ჩამოსტყორცნა მიწისაკენ.

და ცდილობდა ის ამაოდ  
გასწორებას, შეჩერებას.  
გრივალევით ეშვებოდა,  
ლაქვარდიდან მიწისაკენ.  
ხან ზედავდა მიწას ქვევით,  
და ხან ბატებს მაღლა ცაში,  
უცქეროდა: დედა-მიწა  
თითქოს მისკენ მიიწევდა,  
და ლაქვარი შორდებოდა.  
მას ესმოდა ხმა, ყვირილი  
და სიცილი აღამიანთ.  
უცებ გუნდი მიიბაღა,

ახლოს იყო ვიგყამები;  
დედა-მიწის შურდულივით  
დაენარცხა, დაეტაკა.  
და წყლის ბატი, მკვდარი ბატი  
ხალხის თვალწინ გადმოვიარდა.

მაგრამ უცნობი გაიძვერამ,  
მისმა სულმა მაშინავე  
გადაიკვია კაცის სახე,  
პო-პოკ-კივის გაჩნდა ისევ,  
და გაიქცა, გაჰქრა ისევ.  
ჰაჰაჰაჰა გაჰყვა უკან  
დაედევნა, უძახოდა:  
„რა გინდ ძნელი და საშიში  
იყოს ჩემი გზა და დევნა,  
მინც რისხვა ჩემი დასძლევს  
დაგეწყება შურისგება!“

ჰა, მათ შორის დარჩა ბიჯი:  
დაეწია ჰაჰაჰაჰა,  
მაგრამ უცებ პო-პოკ-კივის  
გაეხვია მტვერში, ბულში,  
გაჰქრა მუხის ფულეროში.  
გადაიქცა გველად წამში,  
და ფესვებში შეძვრა გველი.

ჰა მარჯვენა ხელით სწრაფად,  
ნაფოტებთან დაფშენა მუხა  
ჰაჰაჰაჰაჰა, მაგრამ ისევ  
გაიძვერა პო-პოკ-კივის  
გადაიქცა უცებ კაცად.  
და გაიქცა ვით გრიგალი,  
მალალ მთების წითელ კლდისკენ,  
ნაპირიდან რომ დასცქერის  
გიტჩი-გუმის არე-მარეს.

მთის მოხუცმა დიდებულმა,  
მთის მანიტომ ყოვლის შემძლემ  
გადუშალა ხევი დენილს,  
გადუშალა წინ ნაპრალი, —  
დაეშალა ჰაჰაჰაჰაჰა  
ქვის მრისხანე სასახლეში.  
მან მიიღო პო-პოკ-კივის,  
თაქაზით და აღერსიათა  
გვირაბების სიზნელეშ.

მარეთ კიდევ ჰაჰაჰაჰაჰაჰა  
კარმოკეტელ მესაველთან,  
ხელთათმანით, მინჯიკეგონ,  
გვირაბების იწყო მტვერევა,  
და მრისხანეთ გაჰკიოდა:  
„კარი, კარი... ჰაჰაჰაჰაჰაჰა  
უნდა მოსპოს პო-პოკ-კივის!“

არ გაალო კარი მეფემ,  
ხმა არ გასცა ჰააფეტას  
თავის ბნელი გვირაბიდან,  
საზარელი ნაპრალიდან.

და აღაპერო ცისკენ ხელი  
მოუწოდა, სთხოვა შველა  
ვევესიმოსს, ანნემიკის;  
და მოვიდნენ ბნელში უცებ  
შორეული გრგვინის მთიდან,  
თან მოჰქონდათ ღამე ბნელი,  
გრივალით და ქარიშხალით,  
გაიარეს გიტჩი-გუმი,  
როს მოესმა პო-პოკ-კივისს  
ანნემიკის გრგვინვა მძიმე,  
როცა ნახა ელვის ცეცხლის —  
ვევესიმოს თვალთა მხერა,  
აცახცახდა, მოიკუტა.

და გვირაბის კარის ბქესთან,  
ელვამ თავის მძიმე ლახტით,  
დაამტერია სალი კლდენი;  
მეხმა დაჰკრა შუა გულში;  
„აქ სად არის პო-პოკ-კივის!“  
ეს იკითხეს მრისხანებით,  
და დაიმტერა კლდე პიტალო,  
და უსულო ნანგრევთ შორის  
გაიძვერა პო-პოკ-კივისს,  
მშვენიერი პო-პოკ-კივისს,  
გაისრისა, დაიღუპა.

ბედნიერმა ჰააფეტამ  
ამოიღო გვამის სული,  
და თქვა: „ჰოი, პო-პოკ-კივისს  
შენ არასდროს არ მიიღებ  
აწი კაცის სახეობას,  
შენ არასდროს არ იცეკვებ  
უდარდელი სიცილითა,  
მაგრამ მაღლა, ცის ლავარდში  
იცურებ და ინავარდებ,  
შენ იქნები აწი კინჯუ —  
ცის არწივი-მეომარი!“

და აქამდე ხალხში დარჩა  
არაკები, ლექსნი, თქმები,  
იმ ლამაზი ძენადიზნის;  
ზამთარში კი როცა სოჟლად  
დასეირნობს ქარიშხალი  
და ვიგვამის ბუხრის მიღში  
ჰკივის და სტვენს გიეი ქარი, —  
„ეს ეშმაკი პო-პოკ-კივისს,  
ველურ ცეკვით დაჰქრის ველად!“  
ამბობს ქარზე მაშინ ყველა.

## კვაზინდის სიკვდილი

ქორს გასულა ერებს შორის  
ხმა კვაზინდის დიდებისა,  
და ვერაინ ველარ ბედავს  
შეხვედრას და მასთან შებნას,  
მაგრამ ბოროტ პოკ-უეჯებს,  
შურით სავეე ქონდრის კაცებს,  
ბოროტ სულებს გმირის სამტროდ  
მოუწყვიათ შეთქმულება.

„თუ კვაზინდი, ეგ თავბედი,  
თავგასული მაწანწალა,  
ისევ ქვეყნად ივლის მტრულად  
და მიღეწავს რაც კი ხელში  
მოხვდება ან გზაში ნახავს,  
და თავისი ვერავობით  
გააოცებს მთელს ქვეყანას, —  
რა მოელის პოკ - უეჯის?  
ვინ უშველის პოკ-უეჯის?  
გადაგვთლავს სოკოსავით  
ჩაგვიძახებს წყალში ყველას.  
და სხეულებს შესაქმველად  
მისცემს წყლების ბოროტ სულებს!“

ასე უთქვამთ ქონდრის კაცებს  
უმსჯელიათ ასე ყველას,  
და სასიხლოდ შეფიცულებს  
გადუჭრიათ მისი მოკვლა,  
გადუჭრიათ ავი კაცის  
ქვეყნისაგან მოშორება.

კვაზინდს მთელი თავის ძალა  
კეთაში აქვს მოქცეული, -  
და იქავე არის მისი,  
საშიში და სუსტი მხარეც:  
იმ ადგილის გარდა სხვაგან,  
ვერ გასჭრიდა იარაღი,  
მაგრამ გმირის დასაჭრელად,  
ერთად-ერთი იარაღი,  
მხოლოდ ფიქვის ლურჯი გირჩა,  
ან და ნაჭის გირჩა იყო.  
არაგინ კი არ იცოდა







მოკვდავთ შორის უცნაური,  
ბედისწერის საიდუმლო,  
მხოლოდ ცბიერ ქონდრის კაცებს,  
პოქ-უეჯებს შეუტყვიათ,  
თურმე როგორ მოხერხდება  
იმ მოსისხლე მტერის ძლევა.

ღა ამგვარად შეაგროვეს  
ნაძვისა და ფიჭვის გირჩა,  
ტაკვამინოს ულრან ტევრში  
შეაგროვეს მრავლად გირჩა,  
მოიტანეს მდინარესთან,  
და დააწყეს გროვა-გროვად  
ნაპირებზედ, სადაც წყლისკენ,  
დაკიდულან წითლად კლდენი,  
შემდეგ იქვე ჩაუსაფრდნენ  
და დაუწყეს მტერს ლოდინი.

მს ზაფხულის ნაშუადღევს  
დიდ სიციხეში თურმე მოხდა,  
როცა დიდი სიციხისაგან  
ჩაეძინა მთვლეშარ პაერს,  
უმომაროდ იდგა ჩრდილი,  
ჩაეძინა მდინარესაც  
და მის ბრწყინავ ზედაპირზე,  
მოუსვენარ მწერთა ზროვა,  
სრიალებდა და ბზუილით  
აღვიძებდა მძინარ მდელოს.

ქვაზინდი კი, იმ დროს ქვევით  
მისცურავდა მდინარეში,  
მიპყევებოდა ტაკვამინოს,  
ნელ-ნელ მისი არყის ნავი,  
და დასიცხულს სთვლემდა თითქოს  
ტყის მოღალულ სიჩუმეში.

ნაპირისკენ გადაზნექილ  
არყის ხშირი ტოტებიდან,  
გადმოეშვა ძილის სული  
შემორტყმული უჩინარი  
სულთა ჯარით და ამალით;  
ნებავენი — ძილის სული,  
ვით ბრჭყვიალა დაშ-ჟო-ნეში,  
შტოდან ჩემად გადმოეშვა  
და დაიწყო ნელი ფრენა,  
მიყურებულ კვაზინდს ზევით.

როგორც შორი ტალღის ღელვა  
შემოესმა მას ჩურჩული,  
როგორც შორი ტალღის ცემა  
ან ფიჭვნარში ნელი ქარი,  
და მან მუბლზე იგრძნო კიდევ  
ჰაეროვან შუბის წვერი,

ძილის სულთა ურიცხვ ჯარმა  
მას რომ ჩუმაღ დაუშინა.

პირველივე შუბის შემდეგ  
მოეკიდა მძიმედ თვლებმა,  
მეორეზედ — უმოძრაოდ  
მიანება ნიჩაბს თავი,  
მესამედ კი — მის წინ ბნელით  
დაიფარა მთელი მდგლო,  
და მთვლემარე კვაზინდს მალე  
დაეფინა მძიმე ძილი.

მიჰყებოდა ასე ნაკადს  
და ბრძასავით იჯდა ნავში,  
და მისდევდა ტაკვამინოს,  
ტყით დაფარულ მის ნაპირებს,  
ათრთოლებულ არყის ხეებს,  
წინ უვლიდა მისი ნავი,  
ჩასაფრებულ კონდრის კაცებს,  
ომის ბანაკს პოკ-უეჯის.

იქ ისინი იდგნენ ყველა,  
შეტაკების მოლოდინში,  
და უშენდნენ ფიჭვის გირჩებს  
გაშიშვლებულ გმირის კეფას  
„მტერს სიკვდილი!“ — შორს ისმოდა  
შეძახილი პოკ-უეჯის.

ზაღაფარდა წყალში იგი  
თავით ქვევით, როგორც წაფი,  
გაღაფარდა მთვლემარე წყალში;  
და კვაზინდის მცირე ნავი,  
დარჩენილი მარტოდ-მარტო,  
ტაკვამინოს ტალღებს გაჰყვა  
უგემოდ და უპატრონოდ.

ასე მოკვდა ხალხის გმირი,  
მაგრამ მისი ხსოვნა დარჩა,  
და როდესაც ზამთრის ქარი,  
შიშველ ტყეში ლეწდა ტოტებს,  
აწვალებდა ტყეში ტოტებს,  
იძახოდა ხალხი მაშინ:  
„ეს კვაზინდი დადის ტყეში,  
და აგროვებს ერთად ფიჩხნარს,  
რომ დაანთოს დიდი ცეცხლი  
და კოცონი გააჩალოს!“

## მოჩვენებაები

**თუ** დაკოდის ველად ბიზონს  
დააფრინდა ძერა მალლით  
იქ მეორეც ამ დავლისთვის  
გამოჩნდება მოკლე ხანში.  
მეორეს კი ლაქვარდ ციდან,  
უკან მოსდევს კიდევ სხვები,  
და სულ პალე გუნდი მათი,  
ფართოდ გაშლილ შავი ფრთებით  
დაბნელებს არე-მარეს.

პრც ხიფათი დაღის მარტო:  
დარაჯობენ ურთ-ერთს მუდამ:  
თუ კი ერთი თავს დაგატყდა  
მას მეორეც გამოჰყვება,  
სხვებიც თითქოს იჩქარიან,  
ჩიტებივით ჰფრენენ, ჰფრენენ.  
და დაცემულ მსხვერპლის ირგვლივ  
იწყებს ნაფარდს მათი გუნდი:  
და სამყაროს გარს ეღებო  
ტანჯვისა და სევდის ბინდი.

ქვლავ დაღვრემილ ჩრდილოეთზე  
გადმოვიდა პიბოანი!  
ყინულოვან სუნთქვით ყველგან  
ქვლავ აქცია მდინარენი.  
თმების გრძელი ნაწნავიდან  
მდინარეზე, ტბებზე, ველად  
გადმოფრინდა თოვლის ფიფქი,  
და დაფარა მინდორ-ველი,  
რბილი სწორი სუდარითა;  
თითქოს თვითონ ყოვლის შემძღვემ  
გაასწორა თავის ხელით.

ჩოს\_მღეროდა ტყეში ბუქი,  
მონადირე თხილამურით  
უგზო-უკვლოდ დადიოდა;  
ვიგვამებში თბილათ, ცეცხლთან  
ხელსაქმობდნენ დიაცები;  
ფშენილდნენ სიმინდს, ტყავს თელავდნენ;  
ჭაბუკები და ცირები  
თამაშით და ცეკვა-მღერით,

თბილამურის სრიალითა,  
ატარებდნენ დროს მხიარულს.

მართხელ ღამით მინნეჰაჰა  
იჯდა მოხუც ნოკომისთან,  
და ვიგვამში კერისთან  
ყურს უდებდნენ ფიზლად, ჩუჰად:  
ხომ არ მოდის ჰაჰავატა  
სანადიროდ წასული და  
დარჩენილი საღლაც გვიან.

ღა ხატავდა უცნაურად  
ცეცხლის ალი იმათ სახეს;  
ნოკომისას თვალში ცეცხლი  
კიაფობდა, თამაშობდა,  
როგორც მთვარის ვერცხლის შუქი,  
მინნეჰაჰას თვალში ცეცხლი,  
ჰგავდა სხივებს ტბის სარკეზე  
მოელვარეს, მოკიაფეს,  
კვამლი ღრუბლად გროვდებოდა  
მიდიოდა ზევით მილში,  
და ვიგვამის კუთხეებში  
ტანმოხრილი კართოდა ლანდი.

ძარის ზღურბლზე ნელა-ნელა  
გადაიხსნა ფარდა თხელი:  
ალი უფრო მოეკიდა  
და აღელდა უფრო კვამლი,  
ორმა უცხო ქალმა უბრად,  
გაღიარეს ქარის ბჭეზე,  
შემოვიდნენ მერმე ქოხში,  
შემდეგ დასხდნენ ბნელ კუთხეში  
დაჯდნენ და იქ გაისუღრნენ.

ზარეგნობით, ტანსაცმელით  
ჰგავდნენ უცხო ქვეყნით მოსულთ;  
ფერმკრთალები, პირქუშები  
რალაც უცხო სივლით გულში;  
კანკალებდნენ სიტყვითა  
და კუთხეში იყენენ ჩუჰად.

ღამის ქარი ხომ არ ღმუის  
ბუხარზე და სახურავზე?  
იქნებ ბუა, — კუ-კუ-კუ-კუ  
რომ აკენესდა ნაძვარებში?  
ხმა გაისმა სიჩუმეში:  
„სულემბა დაკრძალულთა,  
წარმომდგარნი საფლავიდან,  
აქ პონიშას ქვეყნებიდან —  
საიქიო ქვეყნებიდან  
ჩამოსულნი, შეხიზნულნი!“

ტყუთ წასული სანადიროთ,  
შინ დაბრუნდა ჰაჰავატა,

და დაფარულს თეთრი ოვლით  
მხრებზე ეღვა ხარ-ირემი.

ძვირფას მინნეპასს ფეხთან  
გადმოაგდო თავის დაელა;  
ახლა უფრო მშვენიერი  
მოეჩვენა მინნეპასს,  
ვიდრემ იმ დღეს როს მოვიდა,  
დაკოტების ქვეყანაში  
სამიჯნუროთ, სატრფიალოდ.  
დაღვა მის წინ ხარ-ირემი,  
თავის ჩუმი ზრახვის ნიშნად  
თავის სიყვარულის ნიშნად.

როცა ტვირთი ჩამოიხსნა,  
დაინახა ორი ქალი,  
და გულში თქვა: „ვინ არიან?  
უცნაური სტუმრებია?“  
ვინაობა არ უკითხავს,  
მხოლოდ ნაზი მისალმებით  
მიიწვია მაგიდასთან  
უთხრა შემდეგ „მოისვენეთ!“

სტუმრებმა კი ჰაავეატას  
ერთი სიტყვაც არ აღირსეს;  
მაგრამ როცა დასხდნენ ვახშმად,  
მოიტანეს ხარ-ირემი,  
წამოიჭრნენ ადგილიდან,  
სტაატეს ხელი მსუქან ნაკრებს  
მინნეპასს ულუფასა,  
თავებდურად და უზრდელად,  
სკამდნენ ირმის ხორციის ნაკრებს,  
სკამდნენ ხარბათ, ვით ნადირნი,  
და რომ მოჩნენ—ბნელ კუთხეში  
გაინაბნენ, დაიმუდრენ.

სიტყვა არ თქვა მინნეპასამ,  
უბრად იყო ჰაავეატაც,  
სიტყვა არ თქვა ნოკომისამ;  
სახე მათი იყო მშვიდი.  
მხოლოდ ჩუმად მინნეპასამ  
თქვა ნაზად და შებრალებით:  
„ალბათ სტანჯაეს მათ შიმშილი;  
დე წაიღონ რაც კი უნდათ,  
სკამონ, გაძლენ, შიათ ძლიერ!“

დღე მრავალი ჯერ აინთო  
მერე დაჭრა დღე მრავალი,  
ლამემ ბეგრი დღე დაბერტყა,  
როგორც ბერტყაეს ფიჭვი ტყეში  
თოვლის ფიჭვებს ტოტებიდან;  
გადიოდა დღეები და  
სტუმრები კი უბრად ისხდნენ,

ლამით, თუ გინდ ქარბუქშიდაც  
მიდიოდნენ ახლო ტყეში,  
აგროვებდნენ ფიქვის გირჩას,  
აგროვებდნენ ფიქვს ცეცხლისთვის,  
მაგრამ როგორც თენდებოდა  
მოვიდოდნენ სახლში ისევ.

ნადირობის შემდეგ როცა  
ბრუნდებოდა შააგატა,  
როცა ვახშმად დასხდებოდნენ  
და დასკრიდნენ ირმის ხორცსა,  
ფერწასული ორი ქალო,  
აშურებდა სუფრას უბრად,  
უკითხავად სქამდნენ ხარბად  
ხარ-ირემის ხორცს ქონიანს,  
მინნეჰაჰას ულუფასა;  
როს შესქამდნენ ისევ ჩუმად  
მიდიოდნენ ბნელ კუბხეში.

საყვედური არასოდეს  
არ უთქვია შააგატას,  
არასოდეს არ აღშფოთდა  
არც მოხუცი ნოკომისა,  
გულისწყრომა არ გამოთქვა  
არასოდეს მინნეჰაჰამ;  
და ითმენდა ყველა ჩუმად,  
რომ უფლება სტუმართ წმინდა  
არ შელაზონ მკაცრი მზერით,  
არ შელაზონ უხეშ სიტყვით.

მრთიელ ლამით როცა ცეცხლი  
სულს ლაფავდა ფერფლის შიგნით,  
ცახცახებდა სუსტი შუქით,  
შააგატამ სიბნელეში,  
გაიგონა ოხვრა, კენესა,  
გაიგონა მწარე მოთქმა.

ლოგინიდან ფრთხილად ადგა  
და როს თავის სარეცელზე,  
გადასწია ირმის ფარდა,  
დაინახა, რომ აჩრდილნი —  
ეს ფერმკრთალი ორი ქალი,  
ეს სტუმრები უცნაურნი,  
სტირიან და ცრემლებს ღვრიან  
შუალამის სიბნელეში.

უოხრა მაშინ: „ო, სტუმრებო!  
რა აწამებთ ასე თქვენ გულს,  
რა გაწუხებთ ასე მწარეთ?  
ნოკომისამ იქნებ რამე  
გაწყენიაა უნებურად?  
ან იქნება მინნეჰაჰას  
დაავიწყდა თავის ვალი-ჭ“

და აჩრდილნი შედგნენ უცებ,  
მათ შეწყვიტეს ცრემლი, მოთქმა,  
და ჩურჩულით უთხრეს ასე:  
„მიცვალე ბუთი ჩვენ ვართ სულნი,  
ჩვენ ვცხოვრობდით უწინ თქვენთან.  
ჩვენ პონიშას ქვეყნიდან ვართ,  
საიქიოს კუნძულიდან,  
და მოვედით აქ იმიტომ,  
რომ გასწავლოთ, დაგარიგოთ.

„სივდის მოთქმა აღწევს ჩვენთან  
ნეტარების სოფელს მაღლა:  
ეს ცოცხლები დაკრძალულებს  
კვლავ უხმობენ ქვეყნად მოსვლას,  
გვაწუხებენ უქმი სევდით.  
და მოვედით ჩვენ ამ ქვეყნად,  
მაგრამ მალე ცხადი გახდა,  
რომ ვართ ყველგან ბარგი მეტი,  
რომ ყველასთვის ჩვენ ვართ უცხო:  
არაფერი გაგვიანია,  
ჩვენთვის აღარ შეიძლება  
სამარიდან დაბრუნება.

„უს გახსოვდეს, ჰააეატა,  
და უთხარი ყველას, ყველგან  
რომ დღეიდან არასოდეს  
არ აკრთობდეს, აწუხებდეს  
მათი მოთქმა და გოდება  
გამგზავრებულთ პონიშასკენ —  
ნეტარების სამეფოში.

„სამარეში ნუ დებთ ტვირთსა,  
ნურც ბეწვსა და ნურც სამკაულს,  
ნურც ქაბს, თასებს, თიხის ჯამებს, —  
ჩვენ გვაწამებს ტვირთი მძიმე,  
ჩვენ როგვეცი თხოლოდ პური,  
და სამგზავროდ მხოლოდ ცეცხლი.

„მთხი მძიმე დღე და ღამე  
მიდის სული პონიშასკენ:  
და აიტომ საფლავებზე,  
პირველ დღიდან მეთობემდე  
უნდა ენთოს უჭრობელი  
კოცონები დღისით, ღამით  
რომ ანათოს სულის გზები,  
გაანათოს სევდის ბინა.  
მსიარული ცეცხლის შუქით.

„ჩვენ მივდივართ, ჰააეატა  
და მშვიდობით, საზღადავით.  
ჩვენ დღიხნით გამოვცადეთ  
მოთმინება თქვენი მტკიცე.  
და იყავი შენ ურყევი,



დიდებულო პაპავატა!  
და ნურც აწი გადატყდება  
შეუდრეკი შენი სული,  
რადგან გელის უფრო ძნელი  
განსაცდელი, ტანჯვა, ბრძოლა“!

ღა უეცრად ჩამობნელდა  
დიფარა ბინდით ბინა,  
პაპავატამ სიჩუმეში,  
გაიგონა ტანსაცმელის  
შრიალი და ხმაურობა,  
გაიგონა რომ ვილაკამ  
გადასწია კარზე ფარდა,  
დაინახა ვარსკვლავები,  
იგრძნო ლამის ცივი სუნთქვაც,  
მაგრამ სულნი ველარ ნახა —  
აჩრდილები სევდიანი,  
წამოსულნი პონიმიდან  
საიქიო გვეყენებიდან.

## ზიმშილი

მპ, ზამთარო, ულმობელო!  
ოპ, სასტიკი ყინვის დღენო!  
ტბებზე უფრო მეტად, ძეჯად  
გაიზარდა ყინვის ძალი;  
ველზე უფრო მალა, მალა  
აიწია თოვლის ზეამა!  
თოვლის ზეაეებს ტყეში, სოფლად  
ქარი უფრო (ძლაგრაად. ხეიტაეს!

ღამარხულა ვიგვამიდან  
ძლივს ძლივობით მიდიოდა  
მონადირე შიშველ ტყისცენ;  
თათმანებით, თხილამურით  
ის ამაოდ ძრწოდა ტყეში,  
ის ამაოდ დაეძებდა,  
შიშველ ტყეში რამე ნადირს.  
არც კურდღელის, არც ირემის  
არ მოჩანდა თოვლზე კვალი.

აზრდილივით იღვა ტვერი,  
უდაბური და ბრწყინვალე,  
გაშიშვლებულ ხეებს შორის  
შიმშილისგან ძალმიხილი  
ეცემოდა, ვერ დგებოდა,  
სიცივისგან ძალმიხილი,  
და კვებოდა მონადირე  
გაშიშველ ებულ ხეებს შორის.

მპ, ძლიერო ბაჟკადვეინ!  
ოპ, მრისხანე აკოზივინ!  
ოპ, მდღმარე, ავო-პოგოკ!  
ოპ, ბავშვების მწარე ტანჯვაე!  
ოპ, ქალების მძაფრო სევდაე!

მთელი მიწა ავად გახდა  
მთელი მიწა დამშეულა,  
დამშეულა გარს ჰაერი,  
დამშეულა თვითონ ზეცა,  
და მშიერი ვარსკვლავები  
მგლის თვალებით ელვარებენ!

ჭააგატას მყუდრო ვიგვამს  
კვლავ ესტუმრა ორი სული,  
ისეც უხმოდ, უპატივოდ  
უსალამოდ ჩაესახლა,  
არც კი შესდგა კარის ზღურბლთან  
გაემართა შიგ პირდაპირ;  
მინნეჰაპას გვერდით დაჯდა,  
და ჯიუტი შუველი მზერით,  
ჩაეარდნილი ღრმა თვალები  
მიაბჯინა მინნეჰაპას.  
და თქვა ერთმა: „შემომხედე!  
მე ვარ მძლავრი ბაჟუადევინი!“  
მეორემ სთქვა: „შემომხედე!  
მე ვარ დიდი აკოზივინი!“

ამ სიტყვებმა, ამ თვალებმა  
აათრთოლეს მინნეჰაპა,  
შეურხიეს ნაზი გული;  
სარეცელში გადაეარდა,  
დაიფარა უხმოდ სახე,  
და სრცევით აცახცახდა,  
აენტო და აკანკალდა,  
იმ სიტყვებით, იმ თვალებით!

შეშლილივით გადაიჭრა  
ჭააგატა შიშველ ტვერში;  
მწუხარება გულში ედო,  
სახეზე კი—გაკაცი სევდა:  
შუბლზე ესხა სიმწერის ოფლი  
და მიჰქროდა შიშველ ტვერში.

ხელში ჰქონდა იფნის მშვილდი  
და კაპარტი ეგდო ზურგზე,  
ბეწვეულში გახვეული  
თათმანებით, მინჯიკევონ,  
შორს გაიჭრა თხილამურით  
უსაზღვრო და ღია ტვერში.

„ზიტჩი-მანიტო, ძლიერო!  
უდაბურ და მშვიერ ზეცას  
შევედრა გამწარებით:  
„ შეგვიბრალე, ყოვლად შემწევე!  
მოგვეც საზრდო, თორემ ვკვდებით,  
მინეჰაპას მიეც საზრდო,  
თორემ კვდება მინნეჰაპა!“

ზარინდებულ ტყის სიღრმეში  
უსაზღვრო და შიშველ ტვერში  
ყრუდ გაისმა ეს ძახილი,  
ეს ძახილი მარტოდ-მარტო,  
მაგრამ არცინ უპასუხა  
მარტოობის მწუხარ ძახილს,  
მხოლოდ ეჭომ დაიძახა:  
„მინნეჰაპა, მინნეჰაპა!“

მზის ჩასვლამდე დადიოდა  
ჰააიატა მღვრიე ტყეში,  
ულრან ტყეში, სადაც ერთხელ  
შინ მიჰყავდა მინნეჰაჰა,  
მიდიოდა ცოლთან ერთად,  
დაკოტების შორი მხრიდან.  
მწველი იყო ის ზაფხული!  
ფრინველები კიკიკობდნენ,  
ნაკადული იცინოდა,  
ელვარებდა მზის ნათელში,  
და ჰაერი ყვავილების  
სურნელებით რყო საესე,  
და ამბობდა მინნეჰაჰა  
მაშინ ნაზი სიყუარულით,  
ხმით, რომელიც არ ცახცახებს:  
„გამოგყვები, ჩემო ქმარო“!

ვიგვამში კი ნოკომისთან  
ასალ მსხვერპლის მოდარაჯე,  
გარინდებულ სტუმართ გვერდით  
უკვე იწუვა სარეცელზე  
და კვდებოდა მინნეჰაჰა.

„მესმის! - უცებ დაიძახა:  
გესმის ჩქერა და ქუხილი  
მინნეჰაჰას ჩანჩქერების?  
ის შეძახის მე, ნოკომის“!

„არა, შეილო!“—თქვა მოხუცმა:  
მხოლოდ ფიქვნარს არხვეს ქარი“!

„შენე! — ისევე დაიძახა:  
ხელავე, ჩემი მამა მარტოდ  
დგას კარებში და შეძახის  
მშობლიური ვიგვამიდან“!

„არა, შეილო!“—თქვა მოხუცმა:  
ეგ ხომ კვამლი აღის რხეით“!

„აჰ! შეჰყვირა მინნეჰაჰამ:  
ეს პოგოკი შემომცქერის,  
სიბნელიდან მახვენს თვალებს,  
გაყინული ცივი ხელით  
სიბნელეში მიკერს ხელებს.  
ჰააიატა! ჰააიატა“!

და საბრალო ჰააიატამ  
შორეული ტყის სიღრმეში  
დათოვლილი მთების იქით,  
გაიგონა მინნეჰაჰას  
ეს ძახილი სევდით საესე,  
სიბნელიდან რომ ეძახდა:  
„ჰააიატა, ჰააიატა“!

უბილიკო თეთრ მინდვრებზე,  
თოვლით მოხრილ ტოტებს ქვევით,  
აჩქარებით გაეჭანა  
სახლისაკენ მძიმე გულით;  
და უეცრად შემოესმა  
ნოკომისას მწარე მოთქმა:  
„ვაპონოვინ! ვაპონოვინ!  
ნეტავი მე მომკვდარიყავ,  
წაესულიყავ სამარეში!  
ვაპონოვინ! ვაპონოვინ!“

და შევარდა ის ვიგეაშში  
და შეხედა ნოკომისას,  
მწარე მოთქმით ატოკებულს;  
ნახა ნაზი მინნეპაპა  
უმოდრაოდ მწოლიარე,  
და ისეთი საშინელი  
ხმა აღმოხდა მწუხარების,  
რომ შეირყა კენისთ ტვერი,  
ყრუ ძახილით აცახცახდა,  
რომ მაღალი ვარსკვლავებიც  
მწუხარებით აკანკალდნენ.

მერმე დაჯდა უხმოდ, მშვიდათ  
მინნეპაპას სარეცელზე,  
მის გაყინულ ფერხთა გვერდით,  
იმ ფეხების, აწ ვერასდროს  
რომ ვერ წაელენ ქმრის სურვილით,  
აწ ვერასდროს რომ ვერ გავლენ  
პაჰაეტას შესახვედრად!

მართავ ხელით აიფარა  
სეღდიანი, ბნელი სახე,  
შვიდი დღე და შვიდი ღამე  
იქ უძრავად იჯდა მარტოდ,  
და უსიტყვომ არ იცოდა  
ღამე იდგა, თუ დღის შუქი.

მერე გასკრეს მათ საფლავი,  
ატირებულ მატუქს ქვევით,  
ყრუ და პირქუშ ტვერში გასკრეს  
მინნეპაპას ღრმა საფლავი,  
და ყარყუმის თეთრი ბეწვი,  
გადააცვეს მინნეპაპას,  
დააყარეს თეთრი თოვლი,  
მათ ყარყუმის ბეწვის ფერი,  
და დამარხეს მინნეპაპა  
ატირებულ მატუქს ქვევით.

ხალამოთი ცეცხლის შუქით  
გაანათეს მთელი მდგელო,  
რომ სულ ენთოს ოთხი ღამე  
გზა კურთხეულთ კუნძულისკენ.





ვიგეამიდან ჰააიატა  
უყურებდა ცეცხლის ნათელს,  
ყრუ ტუქში რომ შუქსა ჰფენდა,  
ბნელ მატუქის მტირალ ტოტებს.  
და უძილო ლოგინიდან,  
მინნეჰაჰას ლოგინიდან,  
დგებოდა და შესცქეროდა  
შორეული ცეცხლის ბრიალს,  
რომ ცეცხლი არ ჩამქრალიყო,  
არ დაეგდო სული ბნელში.

„ოჰ, მშვიდობით!— თქვა მან ბოლოს:  
ოჰ, მშვიდობით, ჩემო კარგო!  
ჩემი გულიც შენთან ერთად,  
დასამარდა, მინნეჰაჰა!  
ჩემი ფიქრი შენსკენ იწევს  
შენსკენ მოჰქრის, მინნეჰაჰა!  
არ დაბრუნდე, არ მოხვიდე,  
აქ საშრომლად, საწამებლად,  
სად შიმშილი და ციება  
სტანჯავს სხეულს, სტანჯავს გულებს.  
ჩემი საქმეც ალბათ მალე  
დასრულდება, გათავდება,  
შენს ნაკვალევს გამოვყვები  
მეც პონიმას სამეფოში,  
კურთხეულთა კუნძულისკენ,  
სად არყოფნა არის მეფე!“



## თეთრი ქაცის ნაკვალევი

დიდ მინდორზე მდინარესთან,  
მთლად გაყინულ მდინარესთან  
თავის ქოხში სევდიანი  
ერთი ბერი კაცი იჯდა.  
მხრებზე ჰქონდა დაფენილი  
თმები როგორც თოვლის ხროვა,  
და ნაბადი თეთრი ტყავის—  
ვობივაჟონ დაფლეთილი,  
უფარაედა მალალ სხეულს.  
შუა ცეცხლი ნელი შუქით,  
სულს დაფაედა ჩაფერფლილი;  
კანკალებდა სიცივითა  
ეს მოხუცი უცნაური,  
და მოეჭრა თვალი მისთვის  
თოვლის გრიგალს, თოვლის კრიალს,  
და დაეხშო ყლრი მისთვის  
ქარიშხალის გიჟურ სტვენას,  
უსიერი ტევრის გუგუნს.

ნაკვერცხალი თეთრი ფერფლით  
იყო უკვე დაფარული,  
და კვდებოდა შუა-ცეცხლი  
როცა ქოხში შემოვიდა,  
ტანწერწეტა ახალგაზრდა.  
ლაწვებს საესეს მოსდებოდა  
ბროწეულის ყვავილთ ფერი,  
და თვალეზი, სათნო მზერით,  
გაზაფხულის ვარსკელავს ჰგავდა,  
ამშვენებდა შუბლს მაღალსა  
სურნელოვან ბალახთ კონა.  
გალიმეზით სხივებს ჰფენდა,  
როგორც გიზის არე-მარეს;  
ჰა, შემოდგა ფეხი ქოხში  
ყვაივლებით, და ყვავილნი  
სურნელებით იყო საესე.

„ჩემო შვილო, — თქვა მოხუცმა,  
მე მახარებს სტუმრის ხილვა.  
დაჯექ ჩემთან, აქ კილომზე,  
მოიწიე ცეცხლთან ახლოს,  
დავუცადოთ ერთად ცისკარს.

მომიყვები შენ ცხოვრებას,  
შენ შეხვედრებს, ამბებს უცხოს;  
მე გიამბობ თუ რამდენი  
აქ გმირობა ჩავიდინე“!

და ჩიბუხი ზავის უცხო,  
ძველი მეტად, ამოილო,  
თავი ჰქონდა წითელი ქვის,  
ტარი ლერწმის, კრელი ფრთებით;  
გამოტერნა ხმელი ქერკით  
მოუკილა ცეცხლი, შემდეგ  
მიაწოდა უცხო სტუმარს,  
და დაიწყო საუბარი:

„საკმარისი არის ჩემთვის  
შეეუბერო დედა-მიწას,  
რომ შეჩერდენ მდინარენი,  
და გაქვადენ ყველგან წყალნი“!

და ღიმილით თქვა სტუმარმა:  
„საკმარისი არის ჩემთვის  
შეეუბერო დედა-მიწას,  
რომ აყვავდეს მინდორ-ველი,  
და ამღერდეს ხევში წყალი“!

თქვა მოხუცმა კუშტი სახით:  
„საკმარისი არის ჩემთვის  
ეს ჰალარა ჩემი თავი,  
შევარხიო მრისხანებით,  
რომ დაფაროს თოვლმა მიწა,  
ჩამოცვინდეს ხეს ფოთოლი,  
დაილუპოს, დაჰკნეს მდელო;  
გადაფრინდეს ყანა, ბატი  
შორეულ და თბილ ქვეყნისკენ;  
სადაც მივალ, ყველგან შიშით,  
ნადირები ტყის და ველის  
აფარებენ თავს გვირაბებს,  
იძინებენ სოროვებში,  
დედა-მიწა კი მაშინვე  
გამაგრდება, როგორც კაცი“!

„საკმარისი არის ჩემთვის—  
მას სტუმარმა უპასუხა —  
ღიმილით და სათნოებით,—  
შევარხიო თმის კულული,  
რომ წამოვა თბილი თქეში,  
მორწყავს მინდორს, ყანებს, ველებს;  
გააცოცხლებს ბალახს, ყვავილს;  
ქაობებს და ტბების სარკეს,  
დაუბრუნებს ყანას, ბატებს,  
კვლავ ჩამოვლენ ჩიტ-მერცხლები,  
ამღერდება ხშირი ტევრი;  
სადაც მივალ ყველგან მდელო,

აქრელდება ყვეაილებით,  
ტუე დაიწყებს მღერას, სტვენას  
ჩამოდგება ტყეში ჩრდილი“.

საუბარში ღამე ნელა  
გაიპარა, დაილია;  
და აისის ქვეყნებიდან,  
ვერცხლის ძვირფას სასახლიდან,  
როგორც უცხო მეომარი,  
მოხატული ნაირფერად  
გამ-ვიდა მზე სიმღერით:  
„მეც აქა ვარ, გაიხარეთ,  
წიხით — გიწისით სხივოსანით!“

ჩაუვარდა ენა მოხ-ცს.  
მიწამ სუნთქვა იწყო ტფილი,  
და ამღერდა ტკბილად ქოხთან  
ოპეჩი და ოვეისა.  
ნაკლული არაკრაკდა,  
ბალახების ნაზი სუნი  
შემოიჭრა ქოხში უცებ,  
და გამოჩნდა ნათლად მზეზე  
და სეგვონმა დაიხახა  
მკვდარი სახე მოხუცისა —  
და ეს იყო პიზოანი.

ჩქარი ქარის თანამგზავრად,  
როგორც ფრთიან ისართ გროვა;  
მიფრინავდნენ ჩრდილოეთში  
გედის გუნდი, მანაბიზი.  
და ერთმანეთს ხნას აძლევენ,  
მისტურავდნენ როგორც თეთრი,  
უცნაური რაღაც ჯაჭვი,  
გალუნული შეილდზე ლამბა,  
ლამბა ირმის ძარღვებისა,  
და გამწყდარი მშვილდზე უცებ.

ტყერებში და მინდორ ველზე,  
სტვენდა ლურჯი ოვეისა,  
ვიგვამების სახურავზე  
ოპეჩები წითელგულა,  
და ოპიმი, შტრედი, ნაძვის  
ჩეროებში ღულუნებდა.  
და მწუხარე შაავატამ,  
მღუმარემ და სეგვიანმა  
გაიგონა ხმა ხალისის,  
გაიგონა — გამოვიდა,  
თავის ბნელი ვიგვამიდან,  
რომ უმზიროს და შეიტკბოს  
გაზაფხულის მზე, სხივები,  
სილამაზე ცის და მიწის

## ჰადავატას გამგზავრება

ტიტჩი-მუშის ნაპირებზე,  
ღიადი ზღვის ნათელ წყალთან,  
ზაფხულის ერთ ლამაზ დილას,  
ჰადავატა ისვენებდა,  
და ვიგვამის იდგა კართან.

პერი კი საესე იყო  
რალაც შვებით და სიგრილით,  
მიწაც თითქოს მოილხენდა  
და მეზობლად მომდგარ ტყეში  
დაფრინავდა ოქროსფერი,  
მოფუსფუსე ფუტკრის გუნდი,  
ტკბილი თაფლის მკეთებელი,  
მზის ნათელში მობრქევილღე.

ცას გაჰქონდა ბრწყინვა მშვიდი,  
გიტჩი-გუმიც მშვილად იდგა,  
სიღრმიდან კი ხტოდა ნამა,  
და ელავდა მზის ნათელში;  
ტბის ნაპირის უღრანი ტყე  
მეზობლობდა სუფთა სარკეს,  
და უმზერდა კენწეროთა  
მალალ ჩრდილებს უძრავ წყალში.

ჰადავატას მალალ შუბლზე  
გამქრალიყო სევდის კვალი,  
როგორც ჯანლი მდინარიდან  
ან მინდვრიდან ნისლის თექა,  
სიხარულის აჩნდა ღიმი,  
საზეიმო ლამ ნიშანი,  
თითქოს ხილვას მისცემოდა  
საოცარს და საოცნებოს,  
ან ღიადი ამბის ლოდინს –  
ისე იდგა ჰადავატა.

ჩამავალი მზისკენ ჰქონდა  
ორი ხელი მას გაწვდილი,  
და გასული თითებს შორის,  
მის სახეზე შუქი სცემდა,  
ჰადავატას შიშველ ნხრცებზე  
ისე ჩანდა სხივის ლაქა,

როგოც მუხის ხშირ ფოთლებში  
შემოკრილი მზის ნათელი.

წყალში ცურვით, წყალზე ფრენით,  
შორეული ნისლის ბინდში,  
დილის ნისლში მოხაზული,  
შორს გამოჩნდა წყალში რალაც,  
მოსტურავდა, მოფრინავდა  
ნაპირისკენ ახლოს, ახლოს,  
ვარხვი იყო იგი, შადა  
ოჟ შინგების-ტბების იხვი.  
თუ შუა-შუაგა, ლურჯი ყანა,  
ან და ბატი — ვო-ბი-ვევა,  
წყლის ნაკადთან რომ თამაშობს  
მოლაპლაპე თეთრი ფრთებით.

არც ვარხვია და არც ირხვი,  
არც ბატია და არც ყანა,  
წყალში ცურვით, წყალზე ფრენით,  
რომ გამოჩნდა დილის ნისლში,  
ის არყის ხის ნავი იყო,  
და ხან ჩანდა მზის ნათელში,  
ხან კი ისევ დაძირული  
ყვინთაობდა ტბაში ცელქად.

ღა იმ ნავით ნაპირისკენ  
მოდითადა ჟუცხო ხალხი,  
მოდითადა უმოჩესი  
დილის ქვეყნის სამეფოდან.  
და ვებონის ქვეყნებიდან  
მოაფრენდა ნავი მისანს  
თეთრკანიან ლოცვის ქურუმს,  
მხლებლებითა და ამაღით.

ძეთილშობილ ჰაავეატას  
გაეწვდინა მათკენ ხელი,  
აქ დახვედრის კეთილ ნიშნად  
ის ზემით იღვა სავსე,  
სანამ არყის მცირე ნავი,  
არ მოადგა კლდოვან ნაპირს,  
სანამ თეთრი სახის კაცი,  
ამკერდზე გუვართი, არ მოვიდა  
და შავეებით შემოსილი  
გადმოვიდა იმ ნაპირზე.

ჰაავეატამ ალტაცებით  
მოახსენა ახალმოსულთ;  
„უცხოელნო, ლამაზია  
ეს მზე, როცა თქვენ მოხვედით  
თქვენ მოგელით ჩვენი ხალხი,  
და კარები ყველა ღია,  
ვიგვამებში შესასვლელად  
თქვენ მოგალით ყველას გულთ!

„არასოდეს უღბენია  
დედა-მიწას ასეთ შვიგის,  
არასოდეს უბრწყინვია  
მზეს ასეთი ალტაცებით,  
არასოდეს ეს ჩვენი ტბა  
არ ყოფილა ასე მშვიდი,  
თქვენს, მარადეამს აბორგებულს  
მ-ააშორეთ კლდე და ქვიშა.

„არასოდეს ეს თავბაქო  
არ ყოფილა ასე ტკბილი,  
არასოდეს არ ჰქონიათ  
ჩვენ ველ-მინდვრებს ეს იერი,  
ახლა თქვენ რომ მოგვაჩვენეთ,  
თქვენი მოსლით ჩვენთან შორით“!

მაშინ შავით შემოსილმა  
უპასუხა თავმდაბლურად,  
და სიტყვები უთხრა უცხო:  
„მშვიდობა შენ ჰაჰავეტა,  
მშვიდობა შენ და შენს ერებს,  
მოგანიჭოთ ქრისტემ ყველას,  
შენდობა და ღეთის წყალობა,  
სინხარული დედამ ღეთისამ“!

შემდეგ ქველი ჰაჰავეტა  
შინ წარუძღვა უცხოელებს.  
ბიზონისა და ყარყუმის,  
ტყაეი მისცა დასაჯდომათ  
და მოხუცი ნოკომისაც  
მოჩილებით წინ დაუდგა,  
საქმელები ცაცხვის ჯამით,  
წყალი, არყის ხის თასებით  
და ჩიბუხიც, ზავის ნიშნად,  
გასტენა და მათ მიართვა.

მოხუცები სოფლის ყველა,  
ერის ყველა მემორები,  
ეებიენონი — ჯადოქრები,  
ჯოსაკიდნი და მიდები,  
მისნები და მქურნალები,  
იქ მივიდნენ, მათთან ყველა.  
„რა კარგია — უთხრეს, — ძმებო,  
რომ მოხვედით ჩვენთან შორით“!

პარების წინ დასხდნენ ჩუმად,  
ჩიბუხები ააბოლეს,  
და დაუწყეს უცხოელებს  
ვიგვამის წინ მათ ლოდინი.  
სანამ შავით შემოსილი  
ვიგვამიდან არ გაეიდა,  
და სალამი თავმდაბალით,  
კვლავ სიტყვები უთხრა უცხო;

„რა კარგია — შათ თქვეს, ძმებო,  
რომ მოხვედით ჩვენთან შორით!“  
მაშინ შავით შემოსილმა  
ძისი მოსელის თქვა მიზანი,  
იქ შეკრებილ ხალხს უამბო  
საარაკო რამ მოთხრობა.

შფროსებმა უპასუხეს:  
„მოვისმინეთ თქვენგან თქმული,  
მოვისმინეთ თქვენი სიბრძნე!  
მოვიფიქრებთ ჩვენ მაგ ამბავს.  
ოჰ, რა კარგი ჰქმნით, ძმებო,  
რომ მოხვედით ჩვენთან შორით!“

შემდეგ აღდგენ, აიშალნენ  
და გასწია ყველამ მარტოდ;  
ქალებსა და ახალგაზრდებს  
უთხრეს უცხოთ ნაამბობი,  
ამ ცხოვრების შემოქმედმა,  
დღეს დილით რომ მოუგზავნა.  
მათ ვებონის ქვეყნებიდან.

შუადღემ რომ მოაწია  
და ჰაერი დაამძიმეს,  
სიჩუმემ და დიდმა ხეატმა,  
მთელემარე ხმით აჩურჩულდა  
ტყე დასიცხულ ვიგვამს გვერდით,  
მთელემარე ხმით უწყო ცემა,  
ტალღამ თავის შიშველ ნაპირს.  
ყანებში კი განუწყვეტილ  
კრიკინებდა პა-პოკ-კინა.  
პააგატას დალღილ სტუმრებს,  
ცხელ ვიგვამში დაეძინათ.

ნელა-ნელა დამწვარ მდელოს  
მოეფინა ღამის ბინდი,  
გრძელი ღამის ახლოს ყოფნამ  
მზის სხივები გაამძაფრა,  
და ისროდა მზე გრძელ ისრებს  
ულრაზი ტყის შუა-გულში,  
თითქოს სურდა, რომ გაეპო  
დაჩრდილული მისი მკერდი,  
დასცემოდა ყოველ საფარს  
და ენახა საიდუმლო.  
პააგატას დალღილ სტუმრებს  
კვლავ ეძინათ, ჩუმ ვიგვამში.

პააგატა აღდა ფეხზე  
და მივიდა ნოკომისთან,  
რომ მშვიდობა ეთქვა მისთვის  
და თან ასე წასჩურჩულა:

„შე მივიღვარ ო, ნოკომის,  
მე გზა დიდი მაქვს სავალი,







დასავლეთის მხარეს მივალ,  
კივადინის მშობელ მხარეს,  
სადაც ჩემი ქარი დაჰქრის,  
ჩრდილო-დასავლეთის ქარი.  
მაგრამ სტუმრებს, უცხო სტუმრებს,  
შენ გიტოვებ მოსაელელად,  
რომ არავინ აენოს რამე,  
რომ არავინ უქმნას ავი,  
რომ არ იგრძნონ გულში შიში,  
არ მოაკლდეთ კარგი ბინა,  
და არასდროს არ მოხვიდეთ  
ჰააფატას საბუდარში!\*

ასე თქვა და მიატოვა  
მშობლიური მან სახლ-ქარი,  
მიამურა თავის სოფელს,  
მეომრებს და ყველას კარგებს,  
განუმარტა თავის ხვედრი,  
უთხრა გამოსათხოვარი:  
„მე მივდივარ, ხალხო ჩემო,  
შე გზა დიდი მაქვს საეგლი,  
ბევრი მთვარე და ზამთარი,  
დადგება და ისევ წავა,  
სანამ კიდევ მოვიდოდე,  
ჩემი ხალხის სანახავად.  
ჩემს სტუმრებს კი თქვენ გიტოვებთ,  
მოუსმინეთ მათ ბრძულ სიტყვას,  
მოუსმინეთ მათ სიმართლეს.  
ამ ცხოვრების შემოქმედმა,  
მოგიგზავნათ თქვენ ისინი  
დილის შორის ქვეყნებიდან“.

წყლის ნაპირზე იღვა იგი  
როცა ისევ მოტრიალდა,  
და საღამო უძღვნა ხელით;  
სარკესავით ბრწყინავ წყალში  
მან ჩაუშვა თავის ნაეი,  
მოკენჭილი ნაპირიდან,  
მან ჩაუშვა წყალში ნაეი,  
წასწურაწულა: „დასავლეთით!“  
და შორეულს გზას გაუღვა.

და მზემ უკვე ჩაბაეალმა  
ღრუბლებს მისცა სისხლის ფერი  
და ზეცას კი ცეცხლი მოსდო  
მინდორივით მოელვარეს;  
მიწენარებულ ტალღებს ზევით  
როგორც გრძელი სისხლის კვალი  
მიდიოდა მზის მდინარე,  
და მისდევდა ნელი ცურვით  
ჰააფატას მცირე ნაეი  
მისცურავდა ჰააფატა  
სულ პირდაპირ, დასავლეთით,

დასაელეთით, სადაც ჩანდა  
ალისფერი მზის დაისი,  
ღამის ბინდი და ღრუბლები,  
მზემ რომ მაინც ვერ გააფანტა.

ღა. ხალხი კი ნაპირიდან  
აღეწებდა თვალყურს, სანან  
ჰააგატას მცირე ნავი  
ბრწყინვალე ზღვამ არ დაჰფარა.  
სანამ ნისლმა არ ჩასძირა  
ვით ახალი მკრთალი მთვარე,  
მიმალული ნელა-ნელა  
მეწამული ფერის ზღვაში.

ღა წარმოთქვა ყველამ ერთად:  
„გზა მშვიდობის, საშუღამოთ!  
თქვეს: მშვიდობით, ჰააგატა“!  
და ტყეებიც მარტოდ მდგარნი  
შემრიალდნენ მწუხარებით,  
და აღმოხდათ ყველას ოხერა:  
„ოჰ, მშვიდობით, ჰააგატა“!  
და ტალღებიც ასკდებოდნენ  
ზღვის ნაპირებს მქუხარებით,  
ოხრადნენ და იმსხვრეოდნენ:  
„ოჰ, მშვიდობით, ჰააგატა“  
და შუჰ-შუჰ-გა, ლიბრი ყანჩა  
მიყრუებულ ქაობებში  
სევდიანად გაჰკიოდა:  
„ოჰ, მშვიდობით, ჰააგატა“

ასე გაჰქრა ჰააგატა,  
საყვარელი ჰააგატა,  
მზის დიდების დასაელღეზე,  
შელამების წითელ ნისლში  
ის წავიდა მშობელ მხარეს,  
კივადინის მშობელ მხარეს,  
სადაც მისი ქარი დაჰქრის  
ჩრდილო-დასაელეთის ქარი,  
კურთხეულთა კუნძულისკენ  
შორს, პონიმას სამეფოში,  
სადაც მხოლოდ უსასრულო  
აქ--არყოფნა არის მეფე!

## ინდიურ სიტყვათა ლექსიკონი

აკოზიენ — ციება  
ალგონკინ — ოჯიბევი (ინდ. ტომია)  
ამიკ — წავი  
ამო — ფუტკარი  
ანნემიკი — ავდარი  
აჯიდომო — წითელი ციყვი  
ბეიმ-ვაეა — ქუხილი  
ბიმაგუტ — ყურძენი  
ბაჟუკადეინ — შიმშილი  
გიზის — მზე  
გიტჩი-გუმი — დიადი ზღვის წყალი; უზენაესი ტბა  
გიტჩი-მანიტო — დიადი სული; სიცოცხლის შემოქმედი  
დაშ-კეო-ნემ — კალია ერთგვარი  
დაპინდა — გომბეშო  
ევა-ია — ნანა  
ენკტაპი — წყლის სული  
ეპოკეა — ლერწამი  
ეპასსო — ჯურღლევი; ჩრდილოეთი  
ეაგომინ — ავაზაკი  
ეაუა — გარეული ბატი  
ეა-ეა-ტეაზი — ციკინათელა  
ეაუბიკ — კლდე  
ეაონეასა — მელამურა (ფრინ.)  
ეაპუმ — ნიჟარის სამკაული  
ეაპონოვინ — გოდების ხმა  
ეეპინო — ჯალოქარი  
ეეპინო-ვესკ — ძირტკბილა  
ეეპონ — აღმოსავლეთის ქარი  
ეეპონ-ანონგ — აღმოსავლეთის ვარსკვლავი; ცისკრის ვარსკვლავი  
ეევესიმო — ელვა  
ეე-მოკ-კეანა — მატლი  
ეენდიგო — გიგანტი, დეკაკი  
ეენონა — ჰაავატას ღედა, ნოკომისას ქალი  
ეეგეამი — ინდოელთა სახლი  
ეო-ბი-ეაუა — თეთრი ბატი  
ეობივაჰონ — თეთრი ტყავის ნაბადი  
თვეები:  
თხალამურის თვე — ნოემბერი  
მარწყვის თვე — ივნისი  
ნათელი ღამეების თვე — აპრილი  
ფოთლების თვე — მაისი  
ფოთლების ცვენის თვე — სექტემბერი  
იზა — სირცხვალი  
ინაინივეგ — კაცო, ან პიკი პოგასენის თამაში  
იშუდა — ცეცხლი; კუდიანი ვარსკვლავი  
10. ჰაავატის სიმღერა.

კაბიზონოკა — ჩრდილოეთის ქარი  
 კაგაგი — ყორანი  
 კაგო — ნუ  
 კაგპ — ზღარბი  
 კაიოშქ — მეთოვლია (ფრინ.)  
 კენოზა ქარყლაპია (თევზი)  
 კიგო — თევზი (საერთოდ)  
 კიჟადინ — ჩრდილო-დასავლეთის ქარი; შშობლიური ქარი  
 კინებიკ — გველი  
 კინაჟ — ომის არწივი  
 კეაზინდ — ღონიერი კაცი  
 კეო-ნეშ, ან დაშ-კეო-ნეშ — კალია ერთგვარი  
 კო — არა  
 კუ-კუ-კუჰუ — ბუ  
 მანაბიზა — გელი  
 მანგ — გარეული იხვი  
 მან-გო-ტეაზი — ყოჩალი, გამბედავი  
 მანომონი — გარეული ბრინჯი  
 მასკენოზა — ქარყლაპია (თევზი)  
 მგდეგოშკა — ტალღის ცემა ნაპირზე  
 მემა — ხეკაკუნა  
 მემინოვა — ჩიბუხის მტვირთველი  
 მეჯეკივის — დასავლეთის ქარი; ჰააგატის შამა  
 მეჯისოგვონ — დიდი მარგალიტის ფრთა, ჯადოქარა და ჯანმრთელობა-  
 მანიტო (სული)  
 მიდა — მქურნალი ;  
 მინაგა — მოცივი  
 მინე-ევა — საშური ხმაურობა, ხეებში ქარის შრიალის მსგავსი  
 მ. ნეპ.ჰა — მოცინარე წყალ-; ჩ. ნჩქერი მდინარეზე, რომელიც მისასიპს უფრ.  
 სნელინგის ფორტსა (სიმაგრეს) და წმ. ანტონის ჩანჩქერის შუ.  
 მინნეჰაჰა — მოცინარე წყალა; ჰააგატას მეუღლე  
 მინჯიკეგონ — ჰააგატას ხელთათმანები  
 მიშე მოკვა — დიდი დათვი  
 მიშე-ნამა — დიდი ზუთხი  
 მისკოდიტ — გაზაფხულის სილამაზე  
 მონდამინ — ინდიური სამინდი  
 მუშკოდაზა — როპო (ფრინ.)  
 ნამა — ზუთხი  
 ნამა-ეესკ — პიტნა  
 ნეგო-ვოჯუ — უზენაესი ტბის ქვიშის ბორცვები  
 ნეპავინ — ძილი; ძილის სული  
 ნოზა — მამა  
 ნოკომისა — დიდიღედა; ვენონას ღედა  
 ნეშკა — შეხე! შეხე!  
 ააგუ — დიდი ცრუპენტელა და მესლაპრე  
 აენადიზი — უქმი და მოთამაშე ად.მიანი; ინდოელთა დენდა  
 ოდამინ — მარწყვი  
 ოვეჰსა — ერთგვარი ლურჯფრთიანი ფრინველი  
 ოინი — ოსნეოს ცოლი  
 ოზაეაბიკ — რვეალი სპილენძის ფ.გურა პოგასენის თამაშში  
 ოკაჰაისი — სუფთა წყლების თევზი  
 ომიმი — მტრედი  
 ონევე — გაიღვიძე!

ოპერი — წითელგულა (ფრინ.)  
ოსსეო — მწუხრის ვარსკვლავის ვაჟი  
ოჯიგი — კვერნა  
პა-პოკ-კინა — კალია  
პემიკან — ირმის ან კამეჩის მშრალი და დანაყილი ხორცი  
პემოსედ — ქურდი  
პიბოან — ზამთარი  
პიზეკი — ბიზონი  
პიშნეკე — გარეული ქათამი  
პოგასენი — სფეროს თამაში  
პოგეეოგონ — საომარი გურჯი  
პოგოკ — სიყვდილი  
პოვეტინ — მდინარეა ამერიკელი ინდოელების ქვეყანაში  
პოკ-უეჯი — ტყეების გარეული ქონდრის კაცები; პიგმეები.  
პონიმა — საიქიო; აქ-არყოფნა  
პო-პოკ-კივის — ლამაზი ენადიზხი  
საეა — ქორქილა (თევზი)  
სან-ჯი-ტეჰე — უშიშარი  
სეგონ — გაზაფხული  
სიბოვიშა — ნაკადული  
ტოტემი — საგვარეულო ღერბი  
უგუდვოში — მთვარის თევზა (თევზი)  
უგპ — დიად  
შაბომინ — მოცხარი  
შადა — ვარხვი (ფრინ.)  
შაეონდაზი — სამხრეთის ქარი  
შა-შა — დიდინის წინათ; უხსოვარი დრო  
შინგების — ტბის იხვი  
შოენენმეშინ — შემობრალე!  
შოგაში — ზღვის კიბორჩხალი  
შოგოდაჰა — მშიშარა  
შოშო — მერცხალი  
შუპ-შუპ-გა — ლიბრი ყანჩა  
ჩაბაჰბოს — მოუღერალი; ჰაეატას მეგობარი; სუოების ქვეყნის პართელა  
ჩიმონ — არყის ხის ნაღვი  
ჩიტოვეკ — აკაურა (ფრინ.)  
ჯიბი — მოჩენება, სული  
ჯოსაკიდი — მისანი, წინასწარმეტყველი  
ჰაეატა — ბრძენი, მასწავლებელი; მეჯიკიისის (დასავლეთის ქარას) და ენონას  
(ნოკომისას ქალის) ვაჟიშვილი

**გივი გაჩილაძემ თარგმნა:**

შესავალი  
ოთხი ქარი  
ჰაეატა და მეჯეკივის  
ჰაეატას მეგობრები  
ჰაეატას თევზაობა  
ჰაეატას ნიშნობა  
მწუხრის ვარსკლავის ვაჟი  
წარწერანი  
პო-პოკ-კივის  
კეაზინდის სიკვდილი  
შიშშილი  
ჰაეატას გამგზავრება

**გივილ კატარძემ:**

ზავის ჩიბუხი  
ჰაეატას ბეშეობა  
ჰაეატას მარხვა  
ჰაეატას ნაეი  
ჰაეატა და მარგალიტის ფრთა  
ჰაეატას საქორწინო ნაღიმი  
მინდირების კუროხევა  
ჰაეატას გოდება  
პო-პოკ-კივისის დღენა  
როჩენებები  
გზაფხული

---

რედაქტორი კონ. გამსახურდია

## შეცდომების გასწორება

წერია	უნდა იყოს
გვ.—11 ქვ-მე 9 სტ. ნაწი	წაწი
იქვე ქვემოდან მე-7 სტ. ბეზონებთან	ბიზონებთან
გვ 16 ზემოდან მე-26 სტ. ჩოკტოვები	ჩოკტოვებში
გვ. 17 ქვემ. მე-7 სტ. დიდი	დალი
იქვე ქვემოდან მე-2 სტ. ფრთები	ფრთებით
გვ. 18 ქვ. მე-8 სტ. მამობრუნდენ	გამობრუნდენ
გვ. 28 ქვ. მე-3 სტ. იქ დარჩა	დღეს მორჩანს
გვ. 57 ზემოდან მე 6 სტ. უგუდლოში	უგუდლოში
იქვე ზემოდან მე-16 სტ. საუდა	სოუდა
გვ. 61 სათაური ჰადავატა და მარგალიტის მთა	ჰადავატა და მარგალიტის ფრთა
გვ. 63 ქვემოდან მე-4 სტ. ბროლის	ბრძოლის
გვ. 68 ზემ. მე-14 სტ. წულის	წულის
გვ. 73 ქვ. მე-17 სტ. კოკულასაგან	გირჩებისგან
იქვე ქვ. მე მე-12 სტ. ძლიეს	ძილს
გვ. 81 ქვ. მე-11 სტ. უწყინარი	წყინარი
გვ. 84 ქვემ. მე-19 სტ. ხე და თიხა არ დარჩება	ხედ და თიხად არ დარჩება
გვ. 97 ზემოდან მე-8 სტ. გლუე არყისა სუფთა ქერქზე	გლუეი არყის სუფთა ქერქზე
გვ. 109 ზემოდან მე-12 სტ. თეთრი	თეთრით
გვ. 112 ზემ. მე-23 სტ. ნაჩენჩს	ნაჩენჩს
გვ. 116 ზემ. მე-17 სტ. ირჩეოდა	ირჩეოდა
გვ. 123 ზემ. მე-24 სტ. ხროვა	ჯარი
გვ. 124 ქვ. მე-11 სტ. უგემოდ	უგემოდ
გვ. 136 სათაური თეთრი კაცის ნაკვალევი	გაზაფხული
გვ. 141 ზევ. მე-2 სტ. შვების	შვებით
იქვე ზემ. მე-14 სტ. მოსლით	მოსვლით
იქვე ზემოდ. მე-27 სტ. და მოხუცი ნოკომისაც	და მოხუცმა ნოკომისაც
იქვე ქვ. მე-14 სტ. ვებინონი	ვებინონი
იქვე ქვ. მე-2 სტ. სალამი	სალამით
გვ. 143 ზემ. მე-11 სტ. მოხვიდეთ	მოწვიდეთ
გვ. 144 ქვ. მე-10 სტ. დასაველზე	დასაველზე